www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 17 მაისი, 2004 წელი. №115 (664)

ფასი 50 თეთრი

**პოლიტიკა**

### ვალტერ შვიმერი: „ჩვენი მხრიდან კონფლიქტი არ ყოფილა"

ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ვალტერ შვიმერმა, მოსკოვში ვიზიტის დროს, რადიოსადგურ "ეხო მოსკვიში" გამართული პრესკონფერენციის შემდეგ "24 საათის" რამდენიმე შეკითხვას უპასუხა.

A3

**ეკონომიკა**

### მოსახლეობას საბანკო მომსახურების საფასურის გადახდა არ ევალება

ენერგეტიკის მომხმარებელთა ომბუდსმენი სკანდალურ განცხადებას აკეთებს. მისი თქმით, არსებობს იმის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომ გაზის საფასურის კეთილსინდისიერ გადამხდელებზე ბანკებმა ფულის გაკეთება სცადეს.

A4

**უცხოეთი**

### სანქცირებული წამება?

დღე არ გავა, ერაყის თემაზე ერთი მეორეზე შთამბეჭდავი ცნობები არ გავრცელდეს – მსხვერპლიანი აფეთქებები, საბრძოლო მოქმედებების ქრონიკები, ხოლო ბოლო ორი კვირა საინფორმაციო საშუალებები "აბუ ღრაიბის" ციხის ისტორიებმა მთლიანად დაიპყრო. ამერიკა რეალურად ექცევა ერაყული სინდრომის ქვეშ და, ალბათ, ერაყის თემა მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებშიც გადამწყვეტი აღმოჩნდება.

A5

**საზოგადოება**

### რაზეა დამოკიდებული მომავალი

აღმოჩნდა, რომ დაწყებითი კლასების დამთავრების შემდეგ ყოველ მეხუთე ბავშვს უჭირს გაარჩიოს, რომ ვაჟა-ფშაველას "სათაგური" ქართული მოთხრობაა, ხოლო ასტრიდ ლინდგრენის "კარლსონი" - თარგმნილი. მათ ლადო ასათიანის ლექსების კრებული სასკოლო სახელმძღვანელო ჰგონიათ და სარჩევით სარგებლობა არ შეუძლიათ.

A7

**ომბუდსმენი**

### მომავალ ორშაბათამდე!

ოდესღაც, შორეულ წარსულში, მოსკოველი ჟურნალისტისადმი მიცემული ინტერვიუ ასლან აბაშიძემ ჩადენილი მკვლელობის აღწერით შეამკო. თხრობისას მან სპეციალური სამხედრო ტერმინოლოგია გამოიყენა: "я вынужден был самостоятельно накрыть огневую точку".

B1

**ამინდი**

| | |
|---|---|
| თბილისი | 19 |
| ქუთაისი | 16 |
| ბათუმი | 13 |
| სოხუმი | 13 |
| ფოთი | 14 |
| თელავი | 19 |
| ზუგდიდი | 16 |
| გორი | 15 |
| ახმეტა | 19 |
| ჭიათურა | 14 |
| გაგრა | 12 |
| სამტრედია | 16 |

**უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9400 |
| ევრო | 2.2902 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4061 |
| რუბლი | 0.0667 |

# ჩვენ ფოქსკიდსელები ვართ!





ლევან ხერხეულიძის ფოტოები

ფოქსკიდსის ტურნირის გამარჯვებული გუნდები ზუგდიდის "ოდიში" და ლანჩხუთის "გურია".

## სააკაშვილის თაობა ვლადიმირ პუტინს იწვევს

სტანისლავ ბელკოვსკი
რუსეთის ეროვნული სტრატეგიის ინსტიტუტის პრეზიდენტი

*მეორე საპრეზიდენტო ვადის პირველივე დღეებში ვლადიმირ პუტინი იმ პრობლემებს შეეჯახა, რომელზეც პირველი ვადის დროს საგულდაგულოდ ხუჭავდა თვალს. საქართველოს იურისდიქციაში აჭარის მოქცევა და აჰმად კადიროვის სიკვდილი კრემლის პოლიტიკის ლოგიკური შედეგია. შედეგია იმ პოლიტიკისა, რომელსაც კრემლი ყოფილი საბჭოთა სატელიტების მიმართ ატარებდა და რომელიც რეალურ პოლიტიკას კი არა, პიარ-ტექნოლოგიებს ეფუძნებოდა.*

2004 წლის პირველი დეკადის ტრაგიკულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ვლადიმირ პუტინის მეორე ვადა სულაც არ იქნება მშვიდი სტაბილურობისა და უდრტვინველი კეთილდღეობის პერიოდი. უახლოესი ოთხი წელიწადი რუსეთის ლიდერისაგან იმ არაორაზროვან კითხვებზე პასუხის გაცემას მოითხოვს, რომელსაც ისტორია წამოჭრის.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ინაუგურაციამდე ორი დღით ადრე, აჭარა მთლიანად მოექცა საქართველოს კონტროლის ქვეშ. ინაუგურაციიდან ორი დღის შემდეგ კი მოკლეს კრემლის მიერ ხელდასხმული ჩეჩნეთის პრეზიდენტი. ასლან აბაშიძის რეჟიმის დამხობაც და აჰმად კადიროვის მკვლელობაც ერთი ჯაჭვის რგოლებია. იმ პრობლემების ჭაჭვისა, რომლის წინაშეც რუსეთი დგას და რომელსაც იგი, კრემლის ინტელექტუალური დაცვის გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, გვერდს ვერ აუვლის.

ბევრი დამკვირვებელი ფიქრობს, რომ ბათუმში ხელისუფლების ცვლა მხოლოდ ლოკალური მნიშვნელობისაა და, რაღა თქმა უნდა, პირდაპირ ლახავს რუსეთის ინტერესებს. ეს არის და ეს. გავრისკავ და არ დავეთანხმები ამ თვალსაზრისს. აბაშიძის კრახი სერიოზულ ეჭვქვეშ აყენებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის როგორც პოსტსაბჭოთა სივრცის ორგანიზაციული ფორმის შემდგომ სიცოცხლისუნარიანობასა და მისი არსებობის მიზანშეწონილობას. თანამეგობრობა ჩამოყალიბდა 1991-1992 წლებში, როგორც სამდონიანი სტრუქტურა. პირველი დონე არის რუსეთი, როგორც გარდაცვლილი ქალბატონის – იმპერიის ერთადერთი ჭირისუფალი; მეორე დონე – დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკები, რომელთაც ამ ჭირისუფლის ეკონომიკური კეთილგანწყობა სჭირდებათ და ამიტომაც, ხანდახან ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიან, თითქოს აღიარებენ მისი, როგორც ლიდერის წამყვან როლს; მესამე დონე – არაღიარებული სახელმწიფოები (ფაქტობრივად, ხუთ მაისამდე მათ რიგებში

გაგრძელება A3 გვერდზე

## ასლან აბაშიძე გამოჩნდა, მაგრამ იმალება

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

მოსკოვში გამქრალი ასალან აბაშიძე თითქოს გამოჩნდა. მის კვალს ტელეპროგამა "ვრემენას" წამყვანმა, ცნობილმა ჟურნალისტმა ვლადიმირ პოზნერმა მიაგნო და საკუთარ პროგრამაში მიიპატიჟა.

როგორც "ორტ"-ს თანამშრომლებთან საუბარში გაირკვა, ასლან აბაშიძე პირადად პოზნერმა მიიწვია თავის გადაცემაში.

პროგრამა "ვრემენა", როგორც წესი, კვირა დილით იწერება ხოლმე და ეთერში იმავე საღამოს გადის.

გაგრძელება A3 გვერდზე

## საფინანსო ამნისტია - ხელისუფლების "გულმავიწყობის" მსხვერპლი

თამარ ხორბალაძე

*სულ რამდენიმე დღე დარჩა 1 ივნისამდე - სწორედ ამ დრომდე აძლევდა საქართველოს ხელისუფლება ბიზნესმენებს ვადას, რომ დამალული გადასახადების დეკლარირება ნებაყოფლობით მოეხდინათ, ამის საპასუხოდ კი დავალიანების დიდი ნაწილის "პატიებას" სთავაზობდა. შეპირების არსი საკმაოდ საინტერესო გახლდათ, თუმცა ფაქტი ის არის, რომ დღეს 17 მაისია და პარლამენტში შესაბამისი კანონპროექტი ჯერ ისევ არ შესულა. ამასობაში კი, პროკურატურა და საფინანსო პოლიცია ერთმანეთის მონაცვლეობით ინტერესდებიან ბიზნესმენების საფინანსო დოკუმენტაციებით და ბიუჯეტს "ნებაყოფლობითი შემოწირულობებით" ავსებენ.*

საქართველოს ხელისუფლებამ ბიზნესმენებთან "ახალი წესებით" თამაშის შეპირება ჯერ კიდევ ვარდების რევოლუციამდე გააჟღერა. ვარდების რევოლუციის შემდეგ ორი არჩევნები იყო მოსაგები -

გაგრძელება A4 გვერდზე

## ბავშვები ისწავლიან, თუ განათლების სისტემა გარდაიქმნება

დალი კუპრავა
ნინო ცინცაძე

*შეფასებისა და გამოცდების ცენტრის მიერ ოთხწლედში ქართული ენის სწავლების კვლევის შედეგების გამოცხადებამ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეზონანსი გამოიწვია - არიან ადამიანები, რომლებმაც ეჭვი კვლევის მეთოდში შეიტანეს და შედეგებს არ ენდობიან. თუმცა, საზოგადოების დიდი ნაწილისათვის მიღებული შედეგები შოკის მომგვრელია და უტყუარად მიმანიშნებელი, რომ განათლების სისტემა რადიკალურ ცვლილებას მოითხოვს. განათლების დღევანდელ მდგომარეობაზე, მიღებული შედეგების მიზეზებსა და ვითარების გამოსწორების გზებზე საუბრობენ: სასკოლო განათლების რეფორმის პროექტის დირექტორი გიგი თევზაძე, ეროვნული სასწავლო გეგმების ქვეკომპონენტის უფროსი სიმონ ჯანაშია, შეფასების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები - თამარ ოთხმეზური, ნინო გორდელაძე; დაწყებითი კლასების პედაგოგი დალი გულავა, კვლევის მონაწილე პედაგოგები - გვანცა ჩხენკელი და ნინო აბრამიშვილი; პედაგოგიური აკადემიის აკადემიკოსი ნათელა ვასაძე, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნათელა იმედაძე, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნათელა მაღლაკელიძე, ლიტერატორი ტატო ძნელაძე.*

გაგრძელება A6 გვერდზე

## ქართული მუსიკა ისეთივე ლამაზია, როგორიც თავად ქართველები და მათი ქვეყანა

ინგოლშტადტის ქართული კამერული ორკესტრი 40 წლისაა

გიორგი ჭანელიძე
მიუნხენიდან

ქალაქში საზეიმო განწყობა სუფევს. სულ რაღაც 5 წლის წინ გერმანიაში მცხოვრებმა ქართველობამ ინგოლშტადტის ქართული კამერული ორკესტრის 35-ე წლისთავი შედარებით მოკრძალებულად აღნიშნა. დრო სწრაფად "გარბის" და როგორც ერთ დროს გახმაურებული სარეკლამო რგოლი საქართველოს ტელეარხებიდან გვახსენებდა, "მას ვერაფერი შეაჩერებს". დღეს, საქართველოს სახელმწიფო კამერულ ორკესტრს (ამჟამად "საქართველოს კამერული ორკესტრი ინგოლშტადტში") კვლავ იუბილე აქვს. იგი 40 წლისაა. დიახ, 40 წელია, რაც კოლექტივი ჩვენს შორის არსებობს, დაუღალავად იღწვის ქართული მუსიკალური ხელოვნების უკვდავსაყოფად და ჩვენი ქვეყნის სახელსა და ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებს კონტინენტიდან კონტინენტზე მუხლჩაუხრელად დაატარებს.

გაგრძელება B3 გვერდზე



40 წლის ორკესტრი.

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 საზოგადოება | A8 ექსკლუზივი

B1 ომბუდსმენი | B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 - B7 "საოჯახო ტოტო" | B8 სხვადასხვა

# ასლან აბაშიძე გამოჩნდა, მაგრამ იმალება

პირველი გვერდიდან

ამჯერად, თურმე, ვლადიმირ პოზნერმა ტრადიციას უღალატა - რადგანაც კვირა დილით მოსკოვიდან მიფრინავდა, პროგრამის ჩაწერა შაბათს, 15 მაისს, 14 საათზე დაინიშნა. პროგრამა "ვრემენას" ერთ-ერთმა პროდიუსერმა კოლეგებთან საუბარში აღნიშნა, რომ **"აბაშიძე პირადად პოზნერის სტუმარია და მას არ შეუძლია სურპრიზის სახით სტუმარს სტუდიაში სხვა ჟურნალისტები დაახვედროს ანუ გარკვეული პროვოკაცია მოუწყოს".** ჟურნალისტებმა ფარხმალი არ დაყარეს და ქუჩაში ჩასაფრება გადაწყვიტეს. ოსტანკინოს მიდამოებს დაახლოებით ათამდე უცხოური ტელეკომპანიის ჟურნალისტი ზვერავდა. იმ კორპუსს, სადაც "ორტ" მდებარეობს, ათამდე სადარბაზო აქვს. რეპორტიორები ოთხ ჯგუფად დაიყვნენ. ტელეცენტრის ცენტრალურ გამოსასვლელთან რუმინეთის ტელევიზიის ჟურნალისტი ჩასაფრდა, რომელმაც სახელდახელოდ სასტვენი იშოვნა და, როგორც კი აბაშიძე ფოიეში გამოჩნდებოდა, უნდა დაესტვინა. სხვებმა დანარჩენი სტრატეგიული წერტილები დაიკავეს. აბაშიძის მოლოდინში ჟურნალისტებს ცხვირწინ ჩაუარეს ჩუბაისმა, ნემცოვმა, კახა ბენდუქიძემ, როგოზინმა, ვალტერ შვიმერმაც კი, მაგრამ მათთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ჟურნალისტების უყურადღებობამ ნიუსმეიკერები გააოგნა. "რა ხდება, აქციაა?" -იკითხა ბორის ნემცოვმა...

...ქუჩაში ხუთსაათიანი ლოდინი უშედეგოდ დასრულდა. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, აბაშიძის ესკორტმა ოსტანკინოს ტექნიკური ცენტრის მიწისქვეშა გვირაბით ისარგებლა და მე-11 სტუდიიდან სპეციალური გასასვლელით დატოვა შენობა.

# აჭარის რეგიონში დიდი რაოდენობით იარაღი ამოიღეს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შს სამინისტროს ინფორმაციით, 6 მაისს განხორციელებული მშვიდობიანი რევოლუციის შემდეგ, რეგიონის მოსახლეობისაგან დიდი რაოდენობით იარაღი იქნა ამოღებული. ჟურნალისტებს აჭარის შს მინისტრი დავით ღლონტი აცხადებს, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ აჭარის მოსახლეობისათვის იარაღის ნებაყოფლობით ჩასაბარებლად მიცემული ათდღიანი ულტიმატუმის ვადა უკვე ამოიწურა.

"ამ პერიოდის განმავლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობისგან სამი ათასი ერთეული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 400-ზე მეტი ხელყუმბარა, 56 ყუმბარმტყორცნი და სხვა სახის ასაფეთქებელი ნივთიერებები ამოვიღეთ", - აცხადებს აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი მინისტრი.

მინისტრის თქმითვე, ულტიმატუმის ვადის ამოწურვის მიუხედავად, მოსახლეობასთან ინტენსიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები იარაღის ჩაბარების თაობაზე.

რაც შეეხება ტყეში გახიზნულ შეიარაღებულ პირებს, აჭარის შს მინისტრის განცხადებით, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, მათ მიმართ ყველა სათანადო ღონისძიება განხორციელდება, მათ შორის, გამორიცხული არ იქნება საპოლიციო სპეცღონისძიების ჩატარება დამნაშავეთა დასაკავებლად.

"აჭარაში განიარაღების პროცედურა თითქმის დასრულებულია, თუმცა ავტონომიის მაღალმთიან რაიონებში, შესაძლოა, ცალკეულ მოსახლეს კვლავ ჰქონდეს იარაღი. იარაღის ნებაყოფლობითი არც ერთი ჩამბარებელი დაპატიმრებული არ არის", - აცხადებს უშიშროების მინისტრის მოადგილე გიგი უგულავა.

*პრაიმ-ნიუსი*

# ქობულეთის პოლიციის უფროსად ავთანდილ ბასილაძე დაინიშნა

ქობულეთის პოლიციას ახალი შეფი ჰყავს. აჭარის შს მინისტრმა დავით ღლონტმა ამ თანამდებობაზე ავთანდილ ბასილაძე თანამშრომლებს უკვე წარუდგინა.

ავთანდილ ბასილაძემ ამ თანამდებობაზე დავით გოგიტიძე შეცვალა. დავით გოგიტიძე აჭარის ყოფილი შს მინისტრის ჯემალ გოგიტიძის ძმა გახლავთ. ბოლო დრომდე ავთანდილ ბასილაძე ქობულეთის პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილედ მუშაობდა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შს მინისტრმა დავით ღლონტმა პოლიციის ახალ შეფს რადიკალური ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდა. ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის დასაწყებად კი ერთკვირიანი ვადა მისცა.

*ინტერ-პრესი*

# თუ შეგიძლია ოცნება, შეგიძლია მისი ასრულებაც...



*ჩარლზ სტრომმი ბავშვებთან ერთად.*

*გასული წლის დეკემბერში, როდესაც ამერიკის ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი თელავს ესტუმრა, მან ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატიც მოინახულა. იმ დღიდან მოყოლებული, ამერიკის საელჩო და ხაზინის წარმომადგენლები სკოლა-ინტერნატს მზრუნველობას არ აკლებენ. 15 მაისს, ამერიკელების დახმარებით, თელავის სკოლა-ინტერნატის 80 მოსწავლე თბილისში ჩამოვიდა. ბევრმა მათგანმა დედაქალაქი პირველად ნახა; "მაკდონალდსში", ზოოპარკსა და ცირკში კი ყველანი პირველად იყვნენ.*

"თუ შეგიძლია ოცნება, შეგიძლია მისი ასრულებაც, ღმერთის სამყაროში ხომ ყველა კეთილი ოცნება სრულდება!" - ეს სიტყვები ამერიკის შეერთებული შტატების ხაზინის წამომადგენლის ჩარლზ სტრომმის სავიზიტო ბარათზე წერია. იგი, უკვე კარგა ხანია, რაც თელავის სკოლა-ინტერნატში მცხოვრებ ბავშვებს ოცნებების ასრულებაში ეხმარება. **"ნიუ იორკ ტაიმსში" გამოქვეყნდა სტატია თელავის ბავშვთა სახლზე და ამან ჩვენი ყურადღება მიიპყრო. იქ არსებული მდგომარეობით ამერიკის ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსიც დაინტერესდა და გვთხოვა, სკოლა-ინტერნატს ჩვენი საქველმოქმედო ფონდიდან დავხმარებოდით. მე ძალიან მოხარული ვარ, ასეთ კეთილ საქმეს რომ ვაკეთებ",** - განაცხადა ამერიკის ხაზინის წარმომადგენელმა ჩარლზ სტრომმა.

თელავის სკოლა-ინტერნატში 178 ბავშვი სწავლობს, აქედან 40 - პანკისის ხეობის მკვიდრია. ამ ბავშვების ისტორიები ერთმანეთს ჰგავს. ისინი სოციალურად გაჭირვებული ოჯახებიდან არიან. ინტერნატში ისეთებიც სწავლობენ, რომლებსაც მშობლები საერთოდ არ ჰყავთ. ორი წლის წინათ ინტერნატის ხელმძღვანელობამ შენობის ახლოს ორი დატოვებული ბავშვი იპოვა. ბიჭების სავარაუდო ასაკი ექიმების მეშვეობით დადგინდა. ისინი აპრილის თვეში იპოვეს და მათ დაბადების დღესაც ამ თვეში აღნიშნავენ. როგორც ინტერნატის დირექტორმა ომარ ფეიქრიშვილმა გვითხრა, დალხინებული ადამიანი ამ სკოლაში შვილს არ მიაბარებს. **"178 მოსწავლე მყავს და თითოეული მათგანის ოჯახს უაღრესად უჭირს. თუმცა, რასაც ზოგიერთი მშობელი კადრულობს, გაჭირვებაც აღარ ჰქვია. ძნელია, ახსნა მოუძებნო, როდესაც დედა ჩაცმულ ბავშვს წაიყვანს და საცვლისამარას დააბრუნებს",** – აღნიშნა მან.

ბატონ ომარს ორი ჩემპიონის აღზრდა დღესაც საამაყოდ აქვს. ერთ-ერთის ტალანტი სწორედ მან აღმოაჩინა: **"სკოლის დირექტორად ახალი დანიშნული ვიყავი, როდესაც კლასში გატეხილი სკამი ვნახე. გამიკვირდა, - ნეტა რომელ ბავშვს აქვს იმის ძალა, რომ სკამის გადატეხა შეძლო-თქო. გავიკითხე და აღმოჩნდა, რომ თამაზ მეთიაშვილს გაუტეხავს. ამის შემდეგ გადავწყვიტე, სპორტის რომელიმე სახეობაზე მიმეყვანა. მან ჭიდაობა აირჩია. შემდეგ თამაზი ევროპის ჩემპიონი გახდა. მეორე იყო დათო მეხრიაშვილი. ის მსოფლიო ჩემპიონია".**

ამერიკის საელჩოსა და ხაზინის წარმომადგენლებთან ერთად ბავშვების კეთილდღეობაზე ქართველი ქველმოქმედებიც ზრუნავენ. ამირან თავართქილაძე ერთ-ერთი მათგანია, ვინც თელავის სკოლა-ინტერნატს ხშირად სტუმრობს. ქართველი და ამერიკელი ქველმოქმედების წყალობით, თელავის სკოლა-ინტერნატს ახალი სასკოლო და საყოფაცხოვრებო ინვენტარი აქვს. ბავშვების ჩაცმა და კვებაც სწორედ მათ ითავეს.

*თამარ დვალი*

# საქართველოს, შესაძლოა, რამდენიმე ომბუდსმენი ჰყავდეს

არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტი" საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვას ითხოვს. როგორც ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ლევან რამიშვილი აცხადებს, მთლიანად უნდა შეიცვალოს კონსტიტუციის მეორე თავი (საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი), რათა გათვალისწინებული იქნას ევროკავშირის კონსტიტუცია და მისი ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია. "თავისუფლების ინსტიტუტი" უკვე ამზადებს ამ ცვლილებათა პროექტს და დაახლოებით ორ კვირაში იგი საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი გახდება. პროექტი ომბუდსმენის ინსტიტუტის რეფორმირებასაც ითვალისწინებს. კერძოდ საუბარია სახალხო დამცველის უფლებამოსილებების გაზრდასა და სპეციალიზებული ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღებაზე. "საქართველოში ომბუდსმენის ინსტიტუტმა ადამიანთა უფლებების დაცვის საქმეში ვერ გაამართლა. ეს განპირობებული იყო როგორც სუბიექტური, პიროვნული ფაქტორებით, ისე ინსტიტუციური პრობლემებითაც. თუ ეს ინსტიტუტი იქნება სპეციალიზებული და იარსებებენ მართლმსაჯულების, სამხედრო საქმეების, ადმინისტრაციულ უფლებებზე ზედამხედველის, მომხმარებელთა უფლებების დამცველი ომბუდსმენები, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდება", - აცხადებს ლევან რამიშვილი.

ცვლილებების პროექტს, კანონით გათვალისწინებული ყველა პროცედურის გავლის შემდეგ, პარლამენტი განიხილავს. "თავისუფლების ინსტიტუტის" ამ ინიციატივას ყოფილი სახალხო დამცველი დავით სალარიძე ნაჩქარევად მიიჩნევს. "მსგავსი პრაქტიკა უცხოეთის მრავალ ქვეყანაშია დამკვიდრებული, თუმცა მისი საქართველოს სინამდვილეში გადმოტანა ჯერჯერობით ნაადრევია. ჯერ არსებული ინსტიტუტი უნდა ავამოქმედოთ სრული დატვირთვით და შემდეგ ვიფიქროთ მის შეცვლაზე. მთავარი პრობლემა, რის გამოც ქვეყანაში ვერ მუშაობს ომბუდსმენის ინსტიტუტი, არის სახალხო დამცველის კანდიდატურის სწორად შერჩევა. ის ისეთი პირი უნდა იყოს, რომელიც ყველა სოციალური ჯგუფის, პროფესიის და ეროვნების ადამიანს დაიცავს", - აცხადებს დავით სალარიძე. მისივე თქმით, ომბუდსმენს ადამიანის უფლებების დაცვისათვის კანონით მინიჭებული ფართო უფლებები აქვს და თუკი არსებობს რაიმე საკანონმდებლო ხარვეზები, შესაძლებელია, მისი დახვეწა.

*მედია-ნიუსი*

# დავით მირცხულავას საქმემ სტრასბურგის სასამართლომდე მიაღწია

სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მყოფ სათბობ-ენერგეტიკის ყოფილ მინისტრს დავით მირცხულავას თბილისის პირველ საავადმყოფოში დღეს გადაიყვანენ, სადაც მას ოპერაცია გაუკეთდება.

რაც შეეხება მირცხულავას საქმის გამოძიებას, მისი ადვოკატის თქმით, გამოძიება, ისე როგორც პირველ სამ თვეში, წინა საგამოძიებო ვადის გაგრძელების შემდეგაც არაფერს აკეთებს, არანაირ რეაგირებას არ ახდენს დაცვის მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებზეც. შეგახსენებთ, წინასწარი პატიმრობის 6-თვიანი ვადა მირცხულავას 16 ივნისს ეწურება.

ბრალდებულის მიერ წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების სანაცვლოდ შესაძლო თანხის გადახდის საკითხთან დაკავშირებით ეკა ბესელია ამბობს, რომ პროკურატურის მხრიდან იყო გარკვეული საუბრები, თუმცა კონკრეტული ციფრი არ დასახელებულა და არც ბრალდებული აპირებს რაიმე თანხის გადახდას, რადგან იგი თავს უდანაშაულოდ ცნობს და აცხადებს, რომ არანაირი სოლიდური თანხა არ გააჩნია, რომ გადაიხადოს.

"მირცხულავას უკანონო პატიმრობასთან დაკავშირებით, დაცვის მხარეს შეტანილი აქვთ საჩივარი სტრასბურგის სასამართლოში. ევროსასამართლომ ჩვენი საქმე უკვე მიიღო წარმოებაში", - აცხადებს ადვოკატი ეკა ბესელია.

მირცხულავასათვის ოპერაციის გაკეთების თაობაზე გადაწყვეტილება იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის ექიმთა კონსილიუმმა სამ მაისს მიიღო.

*პრაიმ-ნიუსი*

# ბრუცელოზი დედოფლისწყაროში

*დედოფლისწყაროში საგანგაშო მდგომარეობაა. ბოლო ერთი თვის განმავლობაში აქ ბრუცელოზით 10 ადამიანი დაავადდა. ეს ავადმყოფობა რაიონში საქონლის ხორციდან გავრცელდა. როგორც მედიცინის მუშაკები ამბობენ, შესაძლოა, უახლოეს ხანში მოსახლეობა სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს.*

დედოფლისწყაროს რაიონი ოდითგანვე მალარიის და ბრუცელოზის კერადაა ცნობილი. ისეთი საგანგაშო მდგომარეობა კი, როგორიც ახლაა, ექიმების თქმით, არასდროს ყოფილა. თუმცა, ისინი მიზეზებზე ნაკლებად საუბრობენ, მხოლოდ იმას ამბობენ, რომ "პრობლემის ლიკვიდაციისთვის ყველანაირი ღონისძიებები ტარდება". თვით დედოფლისწყაროელები კი ამ მდგომარეობას ასე ხსნიან: **"უწინ საქონელს დროულად უტარდებოდა ანალოგიური დაავადებების საწინააღმდეგო აცრები. ახლა კი ვის რაღაში აინტერესებს. თანაც, ვაქცინები ისეთი ვარგისიანი არ არის, როგორიც ადრე იყო."** უნდა აღინიშნოს, რომ დედოფლისწყაროელების ოთხმოცი პროცენტი მესაქონლეობითაა დაკავებული, მაგრამ, როგორც რაიონის ვეტერინალური სამსახურის მთავარი ექიმი ზაზა ბოსტაშვილი აცხადებს, აცრის პრობლემა ადგილობრივ ფერმებში მოგვარებულია. მოსახლეობის დაავადება კი, ბოსტაშვილის თქმით, აზერბაიჯანიდან შემოტანილი საქონლის ნაწარმით ხდება: **"ცხოველებზე სხვადასხვა დაავადებების აცილების მიზნით, ვცდილობთ, დროულად გავატაროთ ღონისძიებები, მაგრამ "აქილევსის ქუსლი" აზერბაიჯანიდნ შემოყვანილი საქონლის საკითხია. მწყემსები, რომლებიც ჩვენს ტერიტორიაზე საქონელს აძოვებენ, მომთაბარე ცხოვრებას ეწევიან და შესაბამისად ვერ ახერხებენ, საქონლისთვის საჭირო აცრების ჩატარება. ამის გამო, ეს დაავადება თითქმის ყოველთვის, მათ მიერ სარეალიზაციოდ შემოტანილი საქონლის ნაწარმიდან ვრცელდება.,"** - ამბობს ბოსტაშვილი.

იმ სასადილოების მეპატრონეებისთვის, სადაც ბრუცელოზით დაავადებული საქონლის ხორცი შევიდა, ვეტსამსახურს და სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციას გაფრთხილება არ მიუცია. სწორედ ამის შედეგად, გასულ თვეს რაიონში ბრუცელოზის 10 შემთხვევა გამოვლინდა. აი, რას გვიამბობს 20 წლის ვალერი იაკობაშვილი, რომელიც ძმაკაცებთან ერთად სასადილოში ხინკლის ჭამის შემდეგ დაავადდა: **"მე ნამდვილად არაფერი მაწუხებდა. როცა ჩემს მეგობრებს დაეწყოთ შეტევები და ანალიზში ბრუცელოზი ოთხი ჯვრით აღმოაჩნდათ, ამის შემდეგ, გავხდი იძულებული, რომ ექიმისთვის მიმემართა."**

ამ ახალგაზრდების მსგავსად, აპრილში კიდევ რვა ადამიანმა მიმართა ექიმს. **"დაავადება, ძირითადად, სასადილოში მისულ ადამიანებს აღმოაჩნდათ. გარდა ამისა, ბრუცელოზი ცოტა ხნის წინ ერთ კერძო ფერმაშიც დავაფიქსირეთ. ყველაზე საგანგაშო მდგომარეობა კი ამ მხრივ თათრების ფერმებშია. მოსახლეობაც სწორედ მათგან ყიდულობს რძის ნაწარმს და ხორცს, რადგან ისინი პროდუქტს იაფად ყიდიან"**, - ამბობს ეპიდემიოლოგი ლალი ალადაშვილი.

დედოფლისწყაროს საავადმყოფოს ინფექციური განყოფილების ექიმმა მარინა ღვინიაშვილმა ბრუცელოზი ორი დღის წინ კიდევ ერთ ადამიანს აღმოუჩინა: **"ეს იყო 40 წლის ქალბატონი, რომელმაც გვიან ღამით მომაკითხა. ანალიზის შედეგად კი მას ბრუცელოზი დაუდგინდა"**, - განაცხადა ღვინიაშვილმა.

როგორც სპეციალისტები აცხადებენ, დაავადების ფქტები, შესაძლოა, კიდევ გაიზარდოს, რადგან ადამიანში ეს სენი, ინკუბაციიდან ერთ კვირაში იჩენს ხოლმე თავს. რაიონის საავადმყოფოს კი საჭირო მედიკამენტები არ გააჩნია.

*ზვიად რუაძე*

# დეპუტატის მკვლელობის მცდელობის საქმე გახსნილია

ორი დღის წინ, დედაქალაქის პროკურორმა ვალერი გრიგალაშვილმა და პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ დავით კეკუამ ერთობლივი პრესკონფერენცია ჩაატარეს და პარლამენტარ კახა გიუაშვილის მკვლელობის მცდელობის საქმის წარმატებით გახსნაზე ისაუბრეს.

არადა, ეს ის საქმეა, რის გამოც, თავის დროზე, პროკურორმა გრიგალაშვილმა პოლიციელები მკაცრად გააკრიტიკა და საქმის აღძვრითაც დაემუქრა. პროკურორის თქმით, პოლიციამ შემთხვევის ადგილის დაცვა ვერ უზრუნველყო და დანაშაულის კვალი თავადვე გაანადგურა. შესაძლებელია, სწორედ დანაშაულის კვალის წაშლა გახდა იმის მიზეზი, რომ დამნაშავის დაკავება მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ მოხერხდა.

საპარლამენტო ფრაქცია "მრეწველების" წევრ, "ინტელექტ-ბანკის" დამფუძნებელ კახა გიუაშვილზე თავდასხმა 19 იანვარის ღამეს მოხდა. სახლში დაბრუნებულ გიუაშვილს ბოროტმოქმედი ავტოფარეხში შეჰყვა და მანქანიდან გადმოსვლისთანავე მაყუჩიანი პისტოლეტიდან ცხრა ტყვია ესროლა. გიუაშვილს ხუთი ტყვია მოხვდა და იგი გულ-მკერდის, ყელის და ხელის არეში დაიჭრა. უცნობი შემთხვევის ადგილიდან მაშინვე გაიქცა, დაჭრილი კი მეშვიდე სართულზე საკუთარი ფეხით ავიდა. იგი საავადმყოფოში გადაიყვანეს და რამდენიმე ოპერაციის გაკეთების შემდეგ გადაარჩინეს.

შემთხვევის ადგილზე გასულმა სამართალდამცველებმა, მართალია, გაქცეულის კვალს ვერ მიაგნეს, მაგრამ ავტოფარეხიდან, ტყვიის გულებთან და მასრებთან ერთად, მთავარი ნივთმტკიცება - "PSM"-ის სისტემის პისტოლეტი ამოიღეს.

პარლამენტარის მკვლელობის მცდელობასთან დაკავშირებით თავის დროზე რამდენიმე ვერსია გავრცელდა. თავდაპირველად გამოძიებამ გეზი ძვირადღირებული მანქანის გატაცების მცდელობისკენ, ასევე გიუაშვილის სამსახურებრივი და ფინანსური საქმიანობისკენ აიღო.

**"ჩვენ თავიდანვე შევამოწმეთ გიუაშვილის საბანკო საქმიანობა და აღმოვაჩინეთ, რომ "ინტელექტ-ბანკი" ბათუმის ფილიალს 700 ათას დოლარს ედავებოდა. მუშაობა სწორედ ამ მიმართულებით დავიწყეთ. ოპერატიული ინფორმაციებით, სატელეფონო მოსმენებით და სხვა მტკიცებულებებით, საბოლოოდ, უშუალო დამნაშავეებზეც გავედით",** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში თბილისის პროკურორმა.

შეკრებილი ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, სამართალდამცველებმა თბილისის სამ სხვადასხვა ადგილას ოპერაცია ერთდროულად განახორციელეს და გიუაშვილის მკვლელობის მცდელობაში ეჭვმიტანილი სამი პიროვნება დააკავეს - "ინტელექტ-ბანკის" ბათუმის ფილიალის ხელმძღვანელი მიხეილ ნემსიწვერაძე, მისი ძმა ვლადიმერ ნემსიწვერაძე (მათ გამოძიება მკვლელობის შეკვეთაში სდებს ბრალს) და უშუალოდ მკვლელობაში ეჭვმიტანილი, წარსულში მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი დავით მინდაძე.

გამოძიების მასალების თანახმად, ნემსიწვერაძეებმა გიუაშვილის მკვლელობა სწორედ ვალის გამო გადაწყვიტეს, რისთვისაც მინდაძეს 10 ათას დოლარს შეჰპირდნენ. თუმცა, ვინაიდან მკვლელობის მცდელობა მათთვის სასურველი შედეგით ვერ დასრულდა, თანხა მკვლელობის შემსრულებლამდე არ მისულა.

**"მინდაძემ აღიარა დანაშაული, რის შემდეგაც ნემსიწვერაძეებთან მისი დაპირისპირება მოხდა. მართალია, ნემსიწვერაძეები მკვლელობის მცდელობასთან კავშირს უარყოფენ, მაგრამ მკვლელობის შეკვეთას ერთ-ერთი ძმა ნაწილობრივ აღიარებს",** - განაცხადა გრიგალაშვილმა.

ერთი სიტყვით, თბილისის პროკურატურის მტკიცებით, პარლამენტარ კახა გიუაშვილის მკვლელობა გახსნილია და, მიუხედავად იმისა, რომ დაკავებულთა ადვოკატები დასაცავთა უდანაშაულობაზე საუბრობენ, სამივე ბრალდებულს გუშინ ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლომ წინასწარ სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

*თამარ კაციტაძე*

# სოხუმი და თბილისი დიალოგზე შეთანხმდნენ

20 მაისს სოხუმში ოფიციალურ თბილისსა და აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებას შორის დაძაბულობის მოხსნის შესახებ მოლაპარაკება გაიმართება. ამ საკითხზე საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა და აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა სატელეფონო საუბარში შეთანხმდნენ. სერგეი შამბამ უკმაყოფილება გამოთქვა იმის თაობაზე, რომ აჭარაში მომხდარი მოვლენების შემდეგ ქართულმა მასმედიამ გაავრცელა ინფორმაცია თბილისის მიერ აფხაზეთში „აჭარული სცენარის" განხორციელების განზრახვის შესახებ. გოგა ხაინდრავამ, თავის მხრივ, აფხაზი მინისტრი დაარწმუნა, რომ საქართველოს ხელისუფლებას მსგავსი განზრახვა არ აქვს და დაძაბულობის მოსახსნელად მხარეების შეხვედრა და კონსულტაციები აუცილებელია.

*მედია-ნიუსი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ბლოკ "ედპ-ტრადიციონალისტის" ერთ-ერთი ლიდერი ბაჩუკი ქარდავა მიიჩნევს, რომ აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნების ჩატარება სექტემბრისთვის უნდა გადაიდოს. მისი განაცხადებით, აჭარაში საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით სერიოზული ხარვეზების გამოსწორებას დრო სჭირდება. ამასთან, თუ აჭარაში უზენაესი საბჭოს არჩევნები სამართლიანად ჩატარდება და „მანდატების ხელისუფლების კაბინეტებში გადანაწილება" არ მოხდება, მაშინ არჩევნებში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიაც მიიღებს მონაწილეობას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ მდინარე ენგურზე გადასვლის რეჟიმი გაამკაცრა. არძინბას მთავრობის პრემიერ-მინისტრი რაულ ხაჯიმბა კონფლიქტის ზონაში დამატებითი ძალების შეყვანას ადასტურებს. მისი თქმით, თუ საქართველოს ხელისუფლება გალის რაიონში ვითარების პროვოცირებას შეეცდება, ამით, პირველ რიგში, ქართველები დაზარალდებიან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** არასამთავრობო ორგანიზაცია „სახალხო დაცვის ლიგის" თავმჯდომარის ირინა სარიშვილის ინიციატივას, რომელიც ერაყიდან და კოსოვოდან ქართველი სამშვიდობოების გამოწვევასთან დაკავშირებით ხელმოწერების შეგროვებას ითვალისწინებს, ჯერჯერობით, 12 ათასამდე მხარდამჭერი გამოეხმაურა. როგორც ირინა სარიშვილ-ჭანტურიამ განაცხადა, ხელმოწერების შეგროვება აჭარაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო შეწყვეტილი იყო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის (რფკპ) სახელმწიფო სათათბიროს ფრაქციის დეპუტატები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში ბოლო დროს შექმნილი ვითარების გამო შეშფოთებას გამოთქვამენ. რუსი დეპუტატების აზრით, აჭარაში „ვარდების რევოლუციის" ექსპორტმა კანონიერი და პრორუსულად განწყობილი აჭარის ხელისუფლების იძულებით გადადგომა გამოიწვია. რუსი კომუნისტები მიიჩნევენ, რომ პრეზიდენტ სააკაშვილს საქართველოს ეკონომიკის რეალური გაუმჯობესება უჭირს და ამიტომ იძულებულია, ექსპანსია სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკების მიმართულებით გააგრძელოს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბათუმის მერი, აჭარის ავტონომიის დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს წევრი ედვარდ სურმანიძე აცხადებს, რომ რეგიონის ახალი ხელისუფლება არ ცდილობს, აჭარა მეორე პოლიტიკურ ცენტრად გადააქციოს. მისი პოზიციით, აჭარის ხელისუფლება ეკონომიკაზე უნდა იყოს ორიენტირებული. სურმანიძის თქმით, ბათუმში პრივატიზაციის პროცესი გამჭვირვალედ და კანონის დაცვით წარიმართება. ბათუმის მერია კი მიიღებს გადაწყვეტილებას ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორებისთვის პროცედურების გამარტივების შესახებ, რათა მათ ადვილად მიიღონ ინფორმაციები, შეძლონ კონტაქტების დამყარება და მოიპოვონ ლიცენზიები. სურმანიძის განცხადებით, ბათუმის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი ტურიზმი იქნება, რომელიც მოსახლეობას სეზონურ შემოსავალს აძლევს. **პრაიმ-ნიუსი**

# იმერეთის მმართველობა ჭიათურელ ბავშვთა ჯანმრთელობით დაინტერესდა

ჭიათურელების შეშფოთებას, ქალაქში შექმნილ ეკოლოგიურ მდგომარეობასა და სიცოცხლისთვის საშიში საფრთხეების გაძლიერებასთან დაკავშირებით, შაბათს კონკრეტული რეაგირება მოჰყვა - იმერეთის გუბერნატორის ინიციატივით, შაბათს ჭიათურაში ექიმთა ბრიგადა ჩავიდა, რომელმაც 15 წლამდე ბავშვებს სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარა.

შეგახსენებთ, რომ ადგილობრივი მოსახლოების მტკიცებით, ჭიათურაში ონკოლოგიური დაავადებების რიცხვმა იმატა, რისი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი რაიონში მარგანეცის ყოველგვარი უსაფრთხოების და ტექნიკური ზომების დაუცველად მოპოვება გახლავთ.

"24 საათი" უკვე წერდა იმის შესახებ, რომ ჭიათურის მოსახლეობას ხშირად ჯანმრთელობასა და სამუშაოს შორის სამუშაოზე უხდება არჩევანის გაკეთება, რაც გარემოს და ჭიათურის მოსახლეობის ჯანმრთელობას აუნაზღაურებელ ზიანს აყენებს.

აქციაზე, რომელიც გუბერნატორ დავით მუმლაძის ინიციატივით და ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელთა მონაწილეობით განხორციელდა, დავით მუმლაძემ კომენტარი გააკეთა შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ აუცილებელია შეწყდეს მანგანუმის გადატვირთვა სატვირთო მანქანებით და მოხდეს მათი გადაზიდვა სპეციალური საბაგირო გზებით - ამით მავნე ნივთიერებების გარემოში გაფანტვის ალბათობა უნდა შემცირდეს.

შაბათს ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს საკუთარი პოზიცია აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით არ გაუხმოვანებიათ - ექსპერტები დასკვნას რამდენიმე დღეში წარმოადგენენ.

*ნინო ჟღენტი*

**საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე**

2004 წლის 19 მაისს შედგება სახაზინო ვალდებულებების აუქციონი. აუქციონზე გამოტანილი იქნება 5 000 000 (ხუთი მილიონი ) ლარის ღირებულების ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები.

სახაზინო ვალდებულებების დაფარვა განხორციელდება 2004 წლის 1 დეკემბერს.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით არაუგვიანეს 2004 წლის 19 მაისის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ" დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

**აუქციონის კომიტეტი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# სააკაშვილის თაობა ვლადიმირ პუტინს იწვევს

პირველი გვერდიდან

აჭარაც შედიოდა), რომლებიც მხოლოდ მოსკოვის ცუდად შენიღბული სამხედრო-ეკონომიკური მხარდაჭერის წყალობით არსებობენ და, მთლიანობაში, ხელს უწყობენ კონკურენციის სტაბილურად შენარჩუნებას. ყველაზე მძიმე პოსტსაბჭოური დაპირისპირებების დროს, რუსეთს სწორედ ეს არაღიარებული რესპუბლიკები ეხმარებიან გავლენის ბერკეტების, არბიტრისა და მკურნალის როლის შენარჩუნებაში და, ბოლოს და ბოლოს, თანამეგობრობის ყველაზე შორეულ წერტილებში საკუთარი სამხედრო ბაზების ყოლაში, ანუ ხელს უწყობენ რუსეთს, შეინარჩუნოს დსთ-ს ერთპოლუსიანი მოდელი.

დამოუკიდებელი აჭარის დასასრული იმის დასტურია, რომ რუსეთი აღარ არის მესამე დონის სახელმწიფოთა არსებობის გარანტი. სამხედრო და პოლიტიკური დახმარების იმედი ამ ქვეყნებს აღარ უნდა ჰქონდეთ. ამიერიდან მოსკოვს ამ ქვეყნების ლიდერებისთვის მხოლოდ პირადი უსაფრთხოებისა და მათი კაპიტალის ხელშეუხებლობის შეთავაზება თუ შეუძლია.

ასეთი ლოგიკა მთლიანად ასახავს 90-იანი წლების რუსული ელიტის მსოფლმხედველობას, რომლისთვისაც დასავლეთში კაპიტალის ლეგალიზება გაცილებით აქტუალური და მნიშვნელოვანია, ვიდრე ცნებები - "სახელმწიფო" და "ერი".

სავსებით დასაშვებია, რომ უახლოეს ხანებში ვლადისლავ არძინბას მემკვიდრეებს და დნესტრისპირეთის პრეზიდენტს იგორ სმირნოვს სწორედ იგივე ვარიანტი შესთავაზონ – საკუთარი სახელმწიფოს სანაცვლოდ საკუთარი ლეგალიზება, რის შემდეგაც აფხაზეთისა და დნესტრისპირეთის რესპუბლიკების გაუქმება მხოლოდ ტექნიკურ პრობლემადღა დარჩება – ახალ რეალობაში ეს სახელმწიფოები დიდხანს ვერ იარსებებენ. მით უფრო, რომ საკუთარი სატელიტების მხარდაჭერაზე მოსკოვის უარი მათ არსებობას აზრს დაუკარგავს. თანაც, ეს რესპუბლიკები თავიდანვე იმისთვის იბრძოდნენ, რომ სტალინის დროს დაწესებული საზღვრები კითხვის ნიშნის ქვეშ დაეყენებინათ და, ადრე თუ გვიან, რუსეთის ფედერაციის, ანუ შორეული გაიდეალებული მფარველის შემადგენლობაში შესულიყვნენ.

რუსეთისა და მისი სამხედრო ძალის მხარდაჭერის გარეშე დარჩენილ რესპუბლიკებს (დარწმუნებული ვარ, რომ დნესტრისპირეთიდან და აფხაზეთიდან ჩვენი სამხედრო ძალების გაყვანა იმაზე ადრე მოხდება, ვიდრე პუტინი საკუთარ მემკვიდრეს დაასახელებს) ან გამარჯვებულების წინაშე ხელების აწევა მოუწევთ, როგორც ეს აჭარაში მოხდა, ან ახალი პატრონების ძებნა, რომლებიც მათში, როგორც მართვადი ქაოსის კერებში, დაინტერესებულნი იქნებიან. ნებისმიერ შემთხვევაში, არაღიარებული სახელმწიფოების სარტყელი, როგორც რუსეთის გავლენის უზრუნველყოფის მექანიზმი ყოფილი საბჭოთა კავშირის საკვანძო წერტილებში, წყვეტს არსებობას. ეს კი ნიშნავს, რომ მთლიანად იმსხვრევა დსთ-ს სამდონიანი მოდელი. დსთ-ს ქვეყნები კარგავენ ობიექტურ მოთხოვნილებას რუსეთზე, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცის მედიატორზე.

ასეთ ვითარებაში, მომავალი მაისისთვის თანამეგობრობა მოკვდება – დე-იურე ან დე-ფაქტო. მას შეცვლის 12 თანასწორუფლებიანი ქვეყნის კონგლომერატი, სადაც თითოეული მათგანი საკუთარ პრობლემას გლობალურ (აშშ, ევროკავშირი, ჩინეთი) და რეგიონულ (თურქეთი, ირანი) ძალებთან პირდაპირ კავშირში გადაწყვეტს. ან შეიქმნება რამდენიმე შედარებით წვრილი სახელმწიფოთაშორისო კავშირი და არც ერთი მათგანის ცენტრი არ იქნება მოსკოვი.

დსთ-ს ფორმალურ გაუქმებას, ალბათ, უკრაინის პრეზიდენტად ვიქტორ უიშენკოს არჩევის შემთხვევაში უნდა ველოდოთ. ეს პროამერიკელი პოლიტიკოსი, რომელიც მიხეილ სააკაშვილის "მშვიდი", ნაკლებად ჰეროიკული იმიჯის მქონე ვერსიაა, "უმცროსი ძმის" კომპლექსისაგან უკრაინელი ხალხის საბოლოო გათავისუფლებაზე უარს არ იტყვის. ასევე თანახმა იქნება დსთ-ს ფუნქციების გადაცემაზე "სუუამისთვის", რომლის დედაქალაქიც კიევი იქნება.

ვლადიმირ პუტინს არაერთხელ გამოუვლენია იმ საფრთხეებისა და მუქარების იგნორირების შესანიშნავი ნიჭი, რომელთა შესახებაც მას ფიქრი არ სურდა. თუმცა, რუსეთის ახლანდელი პრეზიდენტი, რაღა თქმა უნდა, შეფიქრიანებულია იმით, თუ რას დაწერენ მასზე 10 წლის შემდგომ ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში. არა მგონია, მას იმ ლიდერად ქცევა მოუნდეს, რომლის მმართველობის პერიოდში ქვეყანამ რუსეთის იმპერიის კანონიკურ ტერიტორიებზე გავლენის ნარჩენებიც კი დაკარგა. და თუ ეს ასეა, პუტინს კიდევ შეუძლია გამოიყენოს უკანასკნელი შესაძლებლობა, რათა პირველყოფილი სახის დსთ-ს ჩაეჭიდოს. თუმცა, ამისათვის საჭიროა, პირველ რიგში, მესამე დონის სახელწიფოთა მხრიდან რუსეთის მიმართ ნდობის აღდგენა და მათი სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება და გახანგრძლივება პირდაპირი მხარდაჭერით – იქნება ეს ეკონომიკური, პოლიტიკური და, თუ საჭირო იქნა, ძალისმიერიც.

უკანასკნელ წლებში კი კრემლი არაღიარებულ რესპუბლიკებს ერთი რუსული ანდაზის თანახმად ექცეოდა - "бей своих, чтобы чужие боялись". "უცხოები" კი არ შეშინდნენ, პირიქით – გაუხარდათ. "ჩვენები" კი უკვე დღეს რუსეთისადმი, როგორც მფარველისადმი, მწარე განწბილების ზღვარზე იმყოფებიან და იმის გაგებას ცდილობენ, მოახერხებენ თუ არა ახალი პატრონის მოძებნას მანამ, სანამ დაიღუპებიან.

ისტორიული მნიშვნელობა აქვს იმ აფეთქებასაც, რომელიც გროზნოში, საზეიმო კონცერტის დროს მოხდა, რადგან 2004 წლის 9 მაისს, ჩეჩნეთის ლიდერებთან ერთად, დაიღუპა იმედი პოლიტიკური ტექნოლოგიებით რეალური პოლიტიკური პრობლემების გადაჭრისა. წასულებზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერს. ამ პრინციპით ვიხელმძღვანელებ და გარდაცვლილ აჰმად კადიროვზე ცუდს არაფერს ვიტყვი. თუმცა, არ შემიძლია, ამბოხებული რესპუბლიკის სათავეებში მისი მოსვლის გარემოებები არ გავიხსენო.

კადიროვი რუსეთის ფედერაციის ყველაზე დაუმორჩილებელი სუბიექტის თავკაცი გახდა იმის მიუხედავად, რომ რუსი სამხედროები და სპეცსამსახურები ამის წინააღმდეგნი იყვნენ. ისინი ამაოდ ცდილობდნენ კრემლის ყურადღების მიპყრობას ორ გარემოებაზე: 1. ყოფილი მუფტი საკუთარ ხალხში საკმარისი პოპულარობით არ სარგებლობდა და ამიტომაც, არ შეეძლო, საშუალოვადიან პერსპექტივაში, სიტუაცია ჩეჩნეთში კონტროლის ქვეშ შეენარჩუნებინა. 2 იგი არ იყო მოსკოვისადმი იმდენად ლოიალური, რომ მისთვის მასშტაბური ძალოვანი რესურსების მიბარება შესაძლებელი ყოფილიყო.



მას შესანიშნავად ესმის, რომ თანამედროვე პოლიტიკა ქუჩებსა და მოედნებზე, ხალხთან უშუალო საუბრის დროს კეთდება.

ბესო გულაშვილის ფოტო

თუმცა, ძალოვანებს არავინ მოუსმინა. გაიმარჯვა კრემლის პოლიტტექნოლოგების აზრმა - საჭიროა ჩეჩნეთში სტაბილურობის მოკლევადიანი ილუზიის შექმნა, 2003-2004 წლის ფედერალური არჩევნების მძიმე პერიოდის გადაგორება, გაძლება, შემდეგ კი - რაიმეს აუცილებლად მოვიფიქრებთ...

ამ ილუზიის შესაქმნელად კი აჰმად კადიროვი ყველაზე საუკეთესო ვარიანტი იყო. იგი ხომ შემთხვევით არ შეჰპირებია პუტინს, გამარჯვების დღეს ასლან მასხადოვს გაჩუქებ - ცოცხალს ან მკვდარსო. თუმცა, პირქუში საჩუქარი მხოლოდ სიკვდილი აღმოჩნდა – თავად კადიროვისა და მასთან დაკავშირებული პიარ-კონსტრუქციებისა.

გასულ წელს კრემლმა, რომელიც "პოლიტტექნოლოგიური ლოგიკით" ხელმძღვანელობდა, ჩეჩნეთის პრეზიდენტის პოსტზე კენჭისყრის უფლება არ მისცა არჩევნების ფავორიტებს – ასლამბეკ ასლახანოვსა და რუსლან ხასბულატოვს. კადიროვისათვის კოჭის გაგორებას მსხვერპლად შეეწირა პოლკოვნიკი იური ბუდანოვი, რასაც, რბილად რომ ვთქვათ, უმაღლესი მთავარსარდლისადმი რუსეთის არმიის ნდობის ზრდა არ მოჰყოლია. ახლა მოსკოვი კვლავ არჩევანის წინაშე დგას – მიენდოს პოლიტტექნოლოგებს და გააძლიეროს არარსებული ძალაუფლება, თუ გადავიდეს რეალურ, "სისხლისა და ხორცისაგან აგებულ" პოლიტიკაზე. მეორე გზა, შესაძლოა, ფსიქოლოგიურად რთული აღმოჩნდეს მათთვის, ვინც სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ პოსტმოდერნიზმს მიეჩვია, ვისთვისაც არ არსებობს რეალური სუბიექტები და სატელევიზიო კადრებს ეთაყვანება. თუმცა, დღეს მხოლოდ ეს გზაა გადამრჩენი. თუკი "მემკვიდრეობითობისა და სტაბილურობის" დროშის ქვეშ მთელი ძალაუფლება რესპუბლიკაში, ნებისმიერი შელამაზებული ხერხით, კადიროვ უმცროსს გადაეცემა, მაშინ ჩეჩნეთი, როგორც რუსეთის ფედერაციის შემადგენელი ნაწილი, შეგვიძლია დავივიწყოთ.

ვლადიმირ პუტინის მეორე ვადით არჩევის პირველივე დღეებმა გამოააშკარავა რუსეთის ისტორიის უახლოესი ეტაპის ტრაგიკული მხარეები. დსთ-ს დაშლა და ჩეჩნეთის მოახლოებული კრიზისი – ტრაგედიის პირველი, თუმცა არა უკანასკნელი აქტებია. რიგში დგას საყოფაცხოვრებო-კომუნალური მეურნეობის რეფორმის სოციალური შედეგები და სოციალური შეღავათების მონეტიზაცია (აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლება, თითქოს სპეციალურად, არ საუბრობს ხალხთან მისთვის გასაგებ ენაზე). ტრაგედიის არსის გასაცნობიერებლად, მის პირობებში ცხოვრებისა და მისი წესებით თამაშისთვის, საჭიროა, როგორც ბერდიაევმა თქვა, სიცოცხლე და გმირობა, ნებისყოფის გამოვლენა და გაუბზარავი სული.

და პირქუშ, დემორალიზირებულ და დეზორიენტირებულ პოსტსაბჭოთა სივრცეში მოინახა სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც სწორედ ამ გაუბზარავი სულის მატარებელია – მიხეილ სააკაშვილი, მაისის პირველი დღეების ტრიუმფატორი.

დღეს იგი უკვე კლასიკური კომკავშირელის შთამომავლად აღარ გვეჩვენება, ნალოლიავებად და კარგად მოვლილად, როგორიც "ვარდების რევოლუციის" დროს, ნოემბრის დღეებში ჩანდა. სააკაშვილი ახალი თაობის ლიდერთა სიმბოლოდ გადაიქცა, იმ თაობისა, რომელიც მხოლოდ ახლა იწყებს მამების პოლიტიკური თაობისთვის თამბაქოს კვამლით გაყვითლებული წვერის წიწკნას.

სააკაშვილი არ დგას არჩევანის წინაშე - ან კაპიტალის ლეგალიზება, ან საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფო. 90-იანი წლების გერებისაგან განსხვავებით, მას ესმის, რომ პირველი მეორეს გარეშე არ არსებობს. მას გულწრფელად უყვარს ძალაუფლება, და - არა მხოლოდ კომფორტი, რომელიც თან სდევს ძალაუფლებას. მას არ ახასიათებს უსუსური სკეპტიციზმი თავისი წინამორბედებისა, რომლებიც ხელისუფლებაში ყოფნის აზრს მხოლოდ იმაში ხედავდნენ, რომ დროულად (ეროვნული კატასტროფის პირველ სიგნალამდე) გასულიყვნენ თამაშიდან და ნეტარ დასავლეთში გადაბარგებულიყვნენ, იქ, სადაც თეთრი ქვიშები და შამპანურის შხეფებია.

მას შესანიშნავად ესმის, რომ თანამედროვე პოლიტიკა ქუჩებსა და მოედნებზე, ხალხთან უშუალო საუბრის დროს კეთდება და არა - ბიუროკრატიულ კომისიებსა და სამუშაო ჯგუფებში. ესმის, რომ ხალხთან საუბრის უნარი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უცხოელი ემისრებისთვის კოჭის გორება.

სააკაშვილმა იცის, რომ XXI საუკუნეშიც ადამიანის სისხლი ნამდვილ სისხლად რჩება და იგი სულაც არ ქცეულა ალუბლის წვენად, ამაზრზენი სატელევიზიო ტოკ-შოუდან. და რომ სამშობლოსათვის ტანჯვისა და სისხლის დაღვრისაკენ მოწოდება იმაზე გაცილებით მეტად აღაფრთოვანებს ერებს, ვიდრე "მთლიანი შიდა პროდუქტის გაორმაგების" ტიპის მიუწვდომელი და უაზრო ეკონომიკური ფანტომები.

სააკაშვილი ჩაწვდა, რომ პოლიტიკასა და ისტორიაში გამძლეა არა ის, რაც გერბიან ქაღალდზე იწერება, არამედ მხოლოდ ის, რაც რეალური ძალით არის გარანტირებული. მას ესმის, რომ მშვიდობისაკენ გზა ომზე გადის.

ქართველი ლიდერი კანონებისადმი ზედმეტი პატივისცემით არ გამოირჩევა. იურიდიული თვალსაზრისით, შევარდნაძის სიძის ციხიდან გამოსვლა 15, 5 მილიონი დოლარის ფასად, ყოველგვარი სასამართლოს გარეშე ასლან აბაშიძის ქონების კონფისკაცია – სრული ნონსენსია. თუმცა, სააკაშვილი მაინც მიდის ასეთ განუკითხაობაზე და ლიბერალური საზოგადოების კრიტიკის არ ეშინია. რადგან, სანამ ის ამერიკის შეერთებული შტატების მეგობრად ითვლება, ლიბერალის რეპუტაცია ყოველგვარი ზედმეტი გარჯის გარეშე აქვს გარანტირებული. რევოლუცია კი იმის რევოლუციაა, რომ მშვიდობიანი ბურჟუაზიული კანონების იგნორირება ხდებოდეს.

სააკაშვილს ამერიკის მიერ ხელდასხმული შეიძლება ვუწოდოთ, თუმცა ეს იარლიყი ვერ ასახავს ქართველი პრეზიდენტის, როგორც მოვლენის არსს. მისთვის შტატების მხარდაჭერა იგივეა, რაც ლენინისთვის – გერმანიისგან ნაბოძები დალუქული ვაგონი. ვაშინგტონი სააკაშვილს ხელისუფლებაში მოსვლაში დაეხმარა, საქართველოდან რუსეთის დაჩქარებული გაძევების სანაცვლოდ. თუმცა, მიშა ითამაშებს ყველასთან და დარჩება ამერიკისადმი ლოიალური მანამ, სანამ ზესახელმწიფო მისთვის სასარგებლო იქნება, რადგან მისი ზრახვები საკუთარი ქვეყნისაკენ არის მიმართული. ასე რომ, იგი ქვეყანას ნებისმიერი ხერხებით დაიცავს – და მოხუცი აბაშიძისაგან განსხვავებით, არ გაიქცევა და საყვარელ ცხოველებს გამარჯვებულთა საალაფოდ არ მიაგდებს.

"სააკაშვილის თაობა" იმ გრანდიოზულ ნიშას იკავებს, რომელიც მათმა პოლიტიკურმა წინამორბედებმა - 90-იანი წლების არქიტექტორებმა დატოვეს. იგი თავისუფალია მოგონებების ტვირთისაგან, მან არაფერი იცის არც გორბაჩოვისდროინდელი პოლიტბიუროს მოცახცახე ხელებზე და არც ელცინის წინასაინფარქტო ახირებებზე. ამის მიუხედავად, იგი მოცულია ძალაუფლების ინსტინქტით და ამიტომაც წვრილმან, მატერიალური კეთილდღეობისაკენ ლტოლვაზე ძლიერია

ამ თაობის ადამიანი – ვინმე სააკაშვილის მსგავსი, შეიძლება, ვლადიმირ პუტინის მემკვიდრე გახდეს.

# ვალტერ შვიმერი: „ჩვენი მხრიდან კონფლიქტი არ ყოფილა"

*ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ვალტერ შვიმერმა, მოსკოვში ვიზიტის დროს, რადიოსადგურ "ეხო მოსკვიში" გამართული პრესკონფერენციის შემდეგ "24 საათის" რამდენიმე შეკითხვას უპასუხა.*

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

**- აჭარის მოვლენების შემდეგ აფხაზეთში მსუბუქი პანიკაა. ელოდებით თუ არა იქ ვითარების გართულებას და რა არის ამ კონფლიქტის მოგვარებაში ევროპის საბჭოს მთავარი პრიორიტეტი?**

- მაშფოთებს ის, რომ სოხუმთბილისს შორის არავითარი ძვრა არ არის. მე მივესალმებოდი საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის რეინტეგრაციას. ერთადერთი პირობა იქნება აფხაზეთის ავტონომიის შენარჩუნება. საქართველო ევროპის საბჭოს წევრი როცა ხდებოდა, ეს პუნქტიც ივალდებულა. სამწუხაროდ, სამართლებრივი ჩარჩოების არარსებობამ გამოიწვია თბილის-ბათუმის დაპირისპირება. მე შევიტყვე, რომ ამ საკითხზე საქართველოს პარლამენტის კომისია უკვე მუშაობს და ჩვენ საქართველოს ამ მხრივ დავეხმარებით. აფხაზეთი არის საქართველოს ტერიტორიის ნაწილი და ჩვენ პატივს ვცემთ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს. ეს ჩვენი მთავარი პრიორიტეტია. ჩვენ ამ პრინციპს ვუსვამდით ხაზს, როცა ლაპარაკი იყო ჩეჩნეთში სეპარატისულ ტენდენციებზე. ჩვენ არ გამოყოფთ აფხაზეთს საქართველოსაგან, მაგრამ პრობლემის მშვიდობიანი დარეგულირების მოთხოვნით გამოვდივართ. ამასთანავე, მოვითხოვთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის დაცვასაც, რაც ევროპის საბჭოს უპირველესი პრინციპია.

**- როგორ შეხვდით ასლან აბაშიძის მიერ მოსკოვისთვის თავის შეფარებას?**

- ასლან აბაშიძე - ეს უკვე რუსეთის შიდა საქმეა. რუსეთი თავად იღებს გადაწყვეტილებას, ზოგს საკუთარ ტერიტორიაზე ყოფნის უფლებას აძლევს, ზოგს -პოლიტიკურ თავშესაფარს.



ვალტერ შვიმერმა თბილისში ვიზიტს მოსკოვში სტუმრობა არჩია.

**- და ბოლოს, არ შემიძლია კიდევ ერთხელ არ გკითხოთ კონფლიქტზე საქართველოს პრეზიდენტთან...**

- ჩვენი მხრიდან კონფლიქტი არ ყოფილა. თუკი გაჩნდა რაიმე გაუგებრობა, ეს საქართველოს პრობლემაა. ევროპის საბჭო ყურადღებით ადევნებს თვალს აჭარაში შექმნილ სიტუაციას. ჩვენ გვსურს, საქართველოში დაცული იყოს ადამიანთა უფლებები. ჩვენ მოვუწოდებდით მხარეებს, მშვიდად გადაეწყვიტათ ეს პრობლემა. ბატონმა აბაშიძემ და სააკაშვილმა კარგად იციან, რომ მე მათი პირადი თხოვნით ბათუმს ხშირად მივმართავდი. კმაყოფილი ვარ, რომ იქ სისხლი არ დაიღვარა და დაპირისპირება შეიარაღებულ კონფლიქტში არ გადაიზარდა. ამ საქმეში უდიდესი კონსტრუქციული როლი ითამაშა რუსეთმა. რაც შეეხება პლამენ ნიკოლოვის განცხადების ფაქტს, იგი თბილისში თავის მუშაობას აგრძელებს ჩვენი სპეცწარმომადგენლის რანგში.

# საფინანსო ამნისტია - ხელისუფლების "გულმავიწყობის" მსხვერპლი

პირველი გვერდიდან

საპრეზიდენტო და საპარლამენტო და ამ შეპირებამ, საგადასახადო ლიბერალიზაციის შესახებ შეპირებასთან ერთად, არჩევნებზე მშვენივრად "იმუშავა".

მაგრამ არჩევნები დამთავრდა, გამარჯვება მოპოვებულია, მათ შორის ისეთ წარმოუდგენელ და ძნელად გასარღვევ ფრონტზეც კი, როგორიც აჭარა იყო და ასეთ სიტუაციაში წინასაარჩევნო დაპირებებზე მინიშნების გაკეთება, შესაძლოა, უმადურობაშიც ჩამოგართვან - მაგალითად, მინიმალური ხელფასის ხსენებას 2004 წლის ბიუჯეტთან მიმართებაში "გამარჯვებული" სახელისუფლებო ძალა ნამდვილად არ თვლიდა კარგ ტონად ისევე, როგორც პენსიებზე საუბარს.

თუმცა, ერთია საბიუჯეტო სახსრები და დანახარჯები, მეორე კი - ხელისუფლების და ბიზნესის ურთიერთობის ის ახალი წესი, რომლის დამკვიდრების გარეშე ბიუჯეტის "ნებაყოფლობითი შემოწირულობებით" შევსების ბაზა ამოიწურება, ხელისუფლებისადმი ნდობა კი მინიმუმამდე დავა.

**"სამი თვე უნდა გაიჭირვოთ და დღევანდელი გადასახადები სრულად უნდა გადაიხადოთ..."** - უთხრეს საქართველოს პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა კინოთეატრ "ამირანის" დარბაზში შეკრებილ ბიზნესმენებს ორიოდე თვის წინ, როცა გადასახადების შემცირებასა და გამარტივებას მაისისთვის შეჰპირდნენ და როცა დამსწრეთა წინაშე ე.წ. საფინანსო ამნისტიის შესახებ კანონპროექტის პრეზენტაციაც მოახდინეს:

დღეს 17 მაისია და დღეს უკვე ცნობილია, რომ საგადასახადო ცვლილებები, ყველაზე ადრე - ოქტომბრისთვის შევა ძალაში. ცალკე საკითხია, რამდენად "ლიბერალური" იქნება ეს ცვლილებები - მიუხედავად ცალკეული ინფორმაციისა, რომელიც ამ თემაზე ხელისუფლებამ უკვე გააჟღერა, სრული სურათის შექმნა იმაზე, თუ როგორ საგადასახადო რეჟიმს სთავაზობს ჯერ კიდევ ახალი ხელისუფლება ბიზნესს, საკმაოდ ძნელია.

ანუ კაბალური გადასახადების გადახდა ბიზნესმენებს, როგორც მინიმუმ, კიდევ რამდენიმე თვე მოუწევთ და კიდევ რამდენიმე თვე მათ საკმაოდ დიდი მოტივაცია და საფუძველი ექნებათ გადასახადების დასამალად, ანუ - დანაშაულებრივი მოღვაწეობის გასაგრძელებლად, რაც მათ ისევ და ისევ მაკონტროლებლების მძევლად დატოვებს.

რაც შეეხება ამ "მძევლობიდან" თავის დახსნის საშუალებას - ასეთ საშუალებად დასახა ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ხელისუფლებამ "ფინანსური ამნისტია", რომლის დედააზრიც, შეგახსენებთ, იმაში მდგომარეობს, რომ 1 ივნისამდე ნებაყოფლობით დეკლარირებული "დამალული გადასახადებიდან" ხელისუფლება მზადაა "ჩამოწეროს" 1 მილიონამდე ლარის დავალიანება, დანარჩენის კი - რესტრუქტურიზება მოახდინოს. ამნისტიის მიზეზი, შეგახსენებთ, იმის აღიარებაცაა, რომ ბიზნესმენთა მიერ კანონმორჩილებაზე უარის თქმა გასულ წლებში გასული ხელისუფლების მიერ შექმნილი ბიზნესგარემოთი იყო გამოწვეული და არა კანონისადმი "სისხლისმიერი" ურჩობით. თუმცა, ჯერჯერობით, კანონპროექტი პარლამენტში არ შესულა.

"24 საათის" ინფორმაციით, მომავალ კვირას თავად პარლამენტიდან აპირებენ შეახსენონ მთავრობას შეპირება, რათა კანონის მიღება 1 ივნისამდე დარჩენილ სასესიო კვირაში მოესწროს. რა თქმა უნდა, "თუ გული გულობს..." ამ კანონპროექტის მიღება საგანგებო სხდომაზეც შეიძლება, თუმცა ცხადია, რომ რაც ნაკლები დრო რჩება "ბოლო ვადამდე", მით უფრო ნაკლებია ნდობა ხელისუფლებისადმი, რომელმაც გასულ წლებში დამალული გადასახადის ნებაყოფლობით დეკლარირებისთვის მზადმყოფი რამდენიმე ბიზნესმენის, მაგალითად, ამჟამინდელი პარლამენტის წევრის გოგიჩაშვილის დაყაჩაღება, უკაცრავად, დაჯარიმება ამნისტიის შესახებ კანონის მიღებამდე უკვე მოასწრო.

# დღეიდან მებაჟეები ბათუმის პორტის შემოწმებას დაიწყებენ

## ნოღაიდელი აჭარაში ავტონომიური რესპუბლიკის საბაჟო სამმართველოს გაუქმებას გეგმავს

*საქართველოს საკონსტიტუციო სივრცეში აჭარის დაბრუნებას თან მოჰყვა სტრუქტურულ ცვლილებათა მთელი კასკადი, რაც ძველი პრობლემების განმეორების თავიდან აცილებას ისახავს მიზნად. ამ მიმართულებით ცვლილებები ხორციელდება არა მხოლოდ ავტონომიის მმართველი სტრუქტურების, არამედ ცალკეული დეპარტამენტების დონეზეც. მაგალითად, გუშინ ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი აჭარაში ავტონომიური რესპუბლიკის საბაჟო სამმართველოს გაუქმებას გეგმავს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გუშინ მინისტრმა საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებთან გაფართოებული თათბირი ჩაატარა.*

თამარ ივანიძე

როგორც საბაჟო დეპარტამენტში აცხადებენ, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 6 მაისს მომხდარი რევოლუციის შემდეგ დღის წესრიგში დადგა ავტონომიური რესპუბლიკის საბაჟო სამმართველოს საბაჟო კანონმდებლობასთან ადაპტაციის საკითხი. პირველ რიგში, შეიცვალა საბაჟო სამმართველოს უფროსი და დანიშნულია ახალი კადრი - ფრიდონ სულაბერიძე, რომელიც მანამდე სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტზე მუშაობდა.

**"სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტზე ზოგჯერ თვითნებურად და ზოგჯერ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, მუშაობდა რამდენიმე ორგანიზაცია, რომელსაც შეხება ჰქონდა საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებულ ტვირთთან, ასევე საზღვრის გადამკვეთ კერძო პირებთან,"** - განაცხადა საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარემ გიორგი გოდაბრელიძემ.

მისი თქმით, ამ კერძო ორგანიზაციების მუშაობა და გარკვეული სახეობების გადასახადების აკრეფა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე საბაჟო კანონმდებლობას. **"ამასთან, აჭარაში ფუნქციონირებდა შეიარაღებული დანაყოფი - საბაჟო პოლიცია, რომელიც გარკვეული საფასურის სანაცვლოდ, ტვირთს სარფიდან ჩოლოქამდე აცილებდა, ტვირთის მეპატრონეებისა და გადამზიდველების ნებასურვილის გარეშე,"** - განაცხადა გოდაბრელიძემ.

გუშინვე გაჟღერდა, რომ დღეიდან მებაჟეები ბათუმის პორტის შემოწმებას დაიწყებენ. გიორგი გოდაბრელიძის თქმით, არსებობს ეჭვი, რომ ბათუმის პორტში საწვავის "გამარცხენება" ხდებოდა, რაც იმას გულისხმობს, რომ ქვეყნიდან თითქოს ექსპორტის სახით გასული ნავთობპროდუქტები ბათუმის პორტში ჩერდებოდა და ქვეყნიდან გასვლის ნაცვლად, ისევ უკან, საქართველოში ბრუნდებოდა.

**"ხვალიდან დაიწყება აჭარის საბაჟო სამმართველოს ბალანსზე მყოფი ქონების ინვენტარიზაცია, იქ არსებული კანონდარღვევების საფუძვლიანი შესწავლა და ბათუმის პორტში არსებული საწვავის ნაშთის დადგენაც,"** - აღნიშნა გოდაბრელიძემ.

მისივე თქმით, ფინანსთა სამინისტროსა და დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, აჭარის საბაჟო სამმართველო გაუქმდება და რეგიონულ საბაჟო "დასავლეთს" დაექვემდებარება. თავად "დასავლეთის" ადმინისტრაცია ბათუმში განლაგდება.

**"ამის გარდა, გამარტივდება აჭარაში განლაგებული საბაჟო გამშვები პუნქტების, საბაჟო ტერმინალებისა და გაფორმების ადგილების საბაჟო სისტემასთან ადაპტაცია. ამასთან, ბათუმისა და ფოთის პორტის მიერ გადამუშავებული ტვირთების საბაჟო რეჟიმები ერთნაირი იქნება და აღარ იქნება განსხვავება ბათუმსა და ფოთში ტვირთების განბაჟების კუთხით,"** - განაცხადა გოდაბრელიძემ.

აჭარის რეგიონალური საბაჟოს ცენტრის გამგებლობაში შემოსვლასთან დაკავშირებით, ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი საბაჟო დეპარტამენტს ახალ მოთხოვნებსა და ამოცანებს უყენებს:

**"გეგმა აუცილებლად და თავისთავად უნდა შესრულდეს. ამაზე საუბარი აღარც შეიძლება იყოს. ახლა მთავარია, სხვა უფრო მნიშვნელოვანი ამოცანები შესრულდეს. კერძოდ, ყველა საიმპორტო პროდუქციის ლეგალიზაციის მაჩვენებელი უნდა გაუმჯობესდეს,"** - განაცხადა ნოღაიდელმა.

მისი თქმით, აუცილებელია დროულად დასრულდეს დეპარტამენტში დაწყებული სტრუქტურული რეორგანიზაცია და ლეგალიზაციის მაჩვენებელმა 80 პროცენტს მიაღწიოს.

**"აჭარაში მომხდარი ცვლილებების შემდეგ მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს საბაჟო დეპარტამენტის მიერ ბიუჯეტში მობილიზებული თანხები. წლის განმავლობაში აჭარიდან ბიუჯეტი, სავარაუდოდ, 50 მლნ. ლარს მიიღებს,"** - ამბობს მინისტრი.



"აჭარის საბაჟო სამმართველო უნდა გაუქმდეს".

# მოსახლეობას საბანკო მომსახურების საფასურის გადახდა არ ევალება

*ენერგეტიკის მომხმარებელთა ომბუდსმენი სკანდალურ განცხადებას აკეთებს. მისი თქმით, არსებობს იმის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომ გაზის საფასურის კეთილსინდისიერ გადამხდელებზე ბანკებმა ფულის გაკეთება სცადეს.*

მაია ურუშაძე

1 თებერვლიდან, ანუ მას შემდეგ, რაც "თბილგაზმა" დედაქალაქში ინკასატორთა ინსტიტუტი გააუქმა, მოსახლეობა მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურს ბანკებში იხდის. ამ მიზნით, "თბილგაზმა" ხელშეკრულება გააფორმა ოთხ კომერციულ ბანკთან - "სახალხო ბანკთან", "საქართველოს ბანკთან", "გაერთიანებულ ქართულ ბანკსა" და "ბანკ რესპუბლიკასთან". შეთანხმებისამებრ, "თბილგაზის" აბონენტთა მომსახურება ამ ბანკების 35 ფილიალს უნდა გაეწია. შესაბამისად, ხელშეკრულების პირობებიც და მომსახურების წესებიც აღნიშნულ კომერციულ ბანკებს თავისი ფილიალებისთვის დაუყოვნებლივ უნდა ეცნობებინა და დათქმული პირობების შესრულებაც მკაცრად გაეკონტროლებინა.

ბანკებთან გაფორმებული ხელშეკრულების ერთ-ერთი უმთავრესი პირობის თანახმად, "თბილგაზის" აბონენტთა მომსახურებით დაკავებულ ბანკებს არა აქვთ უფლება, საბანკო მომსახურების საფასური აბონენტებს გადაახდევინონ – ამ ხარჯების დაფარვას თავად "თბილგაზი" კისრულობს.

მიუხედავად ამისა, ამ ორი დღის წინ ენერგეტიკის მომხმარებელთა ომბუდსმენთან დავით ებრალიძესთან მოქალაქეთა სიგნალი შევიდა. "თბილგაზის" აბონენტთა მიერ წარმოდგენილი ქვითრები კი ადასტურებდა, რომ "გაერთიანებული ქართული ბანკის" მთაწმინდის ფილიალის ვაკის განყოფილებაში მათ, მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურთან ერთად, საბანკო მომსახურებისთვის დამატებით 50 თეთრი გადაახდევინეს. **"ეს მომხმარებელთა უფლებების უხეში დარღვევაა,"** - მიიჩნევს ებრალიძე, - **არც ერთი ასეთი შემთხვევა რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს."**

როგორც "თბილგაზში" დაგვიზუსტეს, ამ დროისათვის 49 მსგავსი შემთხვევაა გამოვლენილი. კომპანიაში შიშობენ, რომ ამ ფაქტებმა, შესაძლოა, კომპანიის მიმსამართით გარკვეული უნდობლობა გამოიწვიოს. **"ჩვენ ხმამაღლა განვაცხადეთ, რომ ჩვენმა აბონენტებმა მხოლოდ და მხოლოდ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასური უნდა გადაიხადონ. ამ პრეცედენტმა, შესაძლოა, მოსახლეობის სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვიოს,"** – აცხადებდნენ გუშინ "თბილგაზში" და კიდევ ერთხელ შეახსენებენ მოსახლეობას, რომ მათ საბანკო მომსახურების საფასურის გადახდა არ ევალებათ.

რაც შეეხება "გაერთიანებულ ქართულ ბანკს", აქ მომხდარს "გაუგებრობას" უწოდებენ. როგორც ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განაცხადეს, **"მსგავსი შემთხვევა, უბრალოდ, არ უნდა მომხდარიყო. ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ გაუგებრობაა. ალბათ, კონკრეტული თანამშრომელი არ ფლობდა ინფორმაციას, თუ როგორ უნდა გაეწია მომსახურება "თბილგაზის" აბონენტებისთვის. რადგან მსგავს შემთხვევას ადგილი ჰქონდა, ამიერიდან ბანკი ამ საკითხზე უმკაცრეს მონიტორინგს განახორციელებს. კონკრეტული შემთხვევები კი, რაც უკვე დაფიქსირებულია, აუცილებლად გამოსწორდება, თუ უკვე გამოსწორებული არ არის,"** – განაცხადეს "გაერთიანებული ქართული ბანკის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში.

**"მას შემდეგ, რაც ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტაცია გავაცანით, ბანკის ხელმძღვანელებმა ბოდიში მოიხადეს და დაგვპირდნენ, რომ მსგავსი შემთხვევები აღარ განმეორდება. ჩვენ კი, ჩვენი მხრიდან, "თბილგაზის" აბონენტებს ვთხოვთ, ყოველთვის, როცა ბანკის თანამშრომლები საბანკო მომსახურების საფასურის გადახდას მოსთხოვენ, აუცილებლად შეგვატყობინონ,"** – აცხადებენ დღეს "თბილგაზსა" და ენერგეტიკის მომხმარებელთა ომბუდსმენის აპარატში.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ენერგოსექტორში მოქმედი უცხოელი მენეჯერების მუშაობის ეფექტურობის შესასწავლად ენერგეტიკის სამინისტროში საზედამხედველო საბჭო შეიქმნა. საბჭო ენერგოსექტორში მომუშავე უცხოელი მენეჯერებისაგან საქმიანობის წლიურ ანგარიშებს მიიღებს და განიხილავს. უცხოელი მენეჯერების საქმიანობით და მათი მუშაობის შედეგებით დაინტერესებას პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტიც აპირებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში განთავსებული, საზკვების ობიექტები და ბენზინგასამართი სადგურები "თელასის" მომსახურებაზე უარს ამბობენ და "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" აბონენტებად დარეგისტრირებას ამჯობინებენ. ამ დროისათვის "თელასის" მომსახურებაზე უარი 58-მა ობიექტმა უკვე განაცხადა. ამის მიზეზად ელექტროენერგიის ტარიფი სახელდება. "თელასის" მიერ მიწოდებული 1 კვტ/სთ ელექტროენერგია 12,18 თეთრი ღირს, როცა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიიდან 1 კვტსთ ელექტროენერგიის შეძენა ობიექტებს 8,5 თეთრი უჯდებათ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ბათუმი.** "აჭარის ენერგოკომპანიის" ტექნიკური დირექტორის ოთარ გოგიჩაიშვილის თქმით, მოსკოვის მერის იური ლუჟკოვის მიერ აჭარის მოსახლეობისთვის ნაჩუქარმა დენმა "აჭარის ენერგოკომპანია" 210 ათასი ლარით, "საქრუსენერგო" კი - 0,5 მილიონი ლარით აზარალა. მისი თქმით, აბაშიძეს დენის ტრანსპორტირებისა და მომსახურე პერსონალის სახელფასო დავალიანება აჭარის ბიუჯეტიდან უნდა გადაეხადა, რაც არ მოხდა. გოგიჩაიშვილი აჭარის მოსახლეობისთვის დენის უფასოდ მიწოდებას "აჭარის ენერგოკომპანიის" მიზანმიმართულ გაკოტრებად აფასებს. **ინტერ-პრესი**

**"ს/ს თელასის" განცხადება**

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:**

**19 მაისს, 11.00-დან 17.00-სთ-მდე:**
ვარკეთილის მასივის I, III, IV, X კვარტლების მაცხოვრებლებს.

**19 მაისს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
გურამიშვილის გამზირის(ნაწილობრივ), თემქის IV მიკრორაიონის, თემქის IX, X, Xა და Xბ კვარტალების, თემქის XI მიკრორაიონის I და II კვარტლების, თემქის IV კვარტალის, ირემაშვილის, საჩხერის, შატილის, ტყიბულის, ურეკის, ხვანჭკარის, ცოდნისკარის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**19 მაისს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
ყაზბეგის გამზირის (ნაწილობრივ), მიცკევიჩის, გამრეკელის, ბახტრიონის, ცინცაძის, საირმის ქუჩების მაცხოვრებლებს.

# მსო აქტიური მოქმედების ფაზაში შედის

*მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ისტორიულ გარდატეხასთან ახლოს არის. იგი მზადაა, ის საკვანძო პრობლემები გადაწყვიტოს, რომლებიც დოხეში, საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციის საკითხზე მიმდინარე მოლაპარაკებებზე განიხილებოდა.*

ასეთი განცხადებით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ხელმძღვანელი სუპაჩაი პანიჩპაკდი გამოვიდა ვაჭრობის მინისტრებთან შეხვედრის შემდეგ. როგორც მსო-ს გენერალურმა დირექტორმა განაცხადა, **"უკვე შეიძლება იმაზე ლაპარაკი, თუ რა ფორმას მიიღებს საერთაშორისო ვაჭრობის დოკუმენტი, რომელიც ამჟამად მზადების საბოლოო ეტაპზეა."**

ამ სიტუაციაში კატალიზატორის როლი ევროკავშირის ინიციატივამ ითამაშა, რომელმაც დაადასტურა, რომ მიმდინარე კვირის დასაწყისში სოფლის მეურნეობის ყველა სუბსიდიას გააუქმებს. თუმცა, ამჟამად იგი მსოფლიოს ღარიბი ქვეყნების მხრიდან საპასუხო ქმედებებს ელოდება, რომლებმაც ევროპული ტვირთებისთვის საკუთარი ბაზრები უნდა გააღონ.

მინისტრების შეხვედრაზე გაკეთებული განცხადებების ტონის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ორგანიზაციის წევრმა ქვეყნებმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებული წინადადებები უახლოეს მომავალში უნდა წარადგინონ. გადაწყდა, რომ მათ ივნისის დასაწყისში განიხილავენ.

მიმდინარე პროცესებს ბევრი ეკონომისტი ოპტიმიზმით უყურებს. როგორც ევროკომისიის ვაჭრობის საკითხების ექსპერტმა პასკალ ლამიმ განაცხადა, გარკვეული წყნარი პერიოდის შემდეგ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია კვლავ აქტიური მოქმედების ფაზაში შედის.

# "დაიმლერ კრაისლერი" "ჰიუნდაიზე" უარს ამბობს

თორნიკე შარაშენიძე

გერმანული ავტოგიგანტი "დაიმლერ კრაისლერი" კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს დგამს აზიურ ბაზარზე. კომპანია აპირებს გაყიდოს 10-პროცენტიანი წილი "ჰიუნდაი მოტორსში", რომელსაც იგი ოთხი წლის განმავლობაში ფლობდა. გარდა ამისა, გაურკვეველი ხდება მთელი რიგი ერთობლივი პროექტების ბედი, რომლის განხორციელებასაც "დაიმლერ კრაისლერი" კორეულ გიგანტთან ერთად აპირებდ; მათ შორისაა ძრავების ქარხნის აგება.

ეს ნაბიჯი გასაკვირი არ არის, თუკი გავითვალისწინებთ, რომ "დაიმლერ კრაისლერი" ბოლო ხანს მნიშვნელოვან სირთულეებს განიცდის. კომპანიის მოგებები მნიშვნელოვნად შემცირდა შარშანდელთან შედარებით. მისი თავკაცი იურგენ შრემპი კი მძაფრი კრიტიკის ობიექტი გახდა. შრემპის მოღვაწეობას უარყოფითი შეფასება ეძლევა 1998 წლიდან, როცა "დაიმლერ-ბენცი" "კრაისლერთან" გაერთიანდა. კომპანიის აქციონერთა თქმით, გერმანული მხარისთვის ეს გარიგება მეტად წამგებიანი გამოდგა და ძნელია, ამ მოსაზრებას არ დაეთანხმო იმის გათვალისწინებით, რომ "კრაისლერის" ბიზნესი ადრე დიდ წაგებაზე მუშაობდა და გაერთიანებულ ავტოგიგანტს ამან უზარმაზარი ზარალი მიაყენა.

უარყოფითად ფასდება შრემპის აზიური პოლიტიკაც, უპირველესად კი "მიცუბიში მოტორსში" წილის შესყიდვა. არადა, ეს უკანასკნელი ახლა გაკოტრების პირასაა და "დაიმლერ კრაისლერი" მის გამოხსნაზე უარს აცხადებს. ეს ორნაირად შეიძლება აიხსნას: ან ავტოგიგანტს საამისოდ თანხა არ ემეტება მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო, ან იგი საერთოდ უარს ამბობს აზიაში იმ პოლიტიკის გატარებაზე, რომელსაც აქამდე მისდევდა. უფრო რეალურია. რომ ვივარაუდოთ - ორივე მიზეზი მუშაობს.

"ჰიუნდაი" ფინანსურად "დაიმლერ კრაისლერზე" გაცილებით უკეთეს ვითარებაში იმყოფება; ასე რომ, გერმანულ გიგანტს, ალბათ, არ აწყობდა ამ კომპანიაში წილის გაყიდვა. მაგრამ, როგორც ირკვევა, მხარეებს უთანხმოება მოუვიდათ ჩინეთში კაპიტალდაბანდებების თაობაზე. "ჰიუნდაის" არაფრით არ სურდა ჩინურ ფირმაში ინვესტიციების ჩადება. ამას, ალბათ, ის ფაქტორიც დაემატა, რომ "ჰიუნდაის" წილის გაყიდვა "დაიმლერ კრაისლერს" დაახლოებით 1 მილიარდ დოლარს მოუტანს. ეს ახლანდელი ვითარების გათვალისწინებით არც ისე ურიგო თანხაა.

ცხადია, "ჰიუნდაის" გაუჭირდება "დაიმლერ კრაისლერის" მსგავსი პარტნიორის მოძებნა; მაგრამ, ალბათ, კორეულ გიგანტს უკვე აღარანაირი "უფროსი ძმა" აღარ ესაჭიროება. "ჰიუნდაი" ავტომწარმოებლების პირველ ათეულში შედის, იგი დიდი ხანია "კიას" მარკის ავტომანქანებსაც უშვებს (ეს ფირმა კორეული კრიზისის დროს იქნა შესყიდული, როცა ბევრი კომპანია, მათ შორის - "კიაც" გაკოტრდა) და იაპონური გიგანტების შემდეგ პირველი ადგილი უჭირავს აზიურ ბაზარზე.

# სანქცირებული წამება?

*დღე არ გავა, ერაყის თემაზე ერთი მეორეზე შთამბეჭდავი ცნობები არ გავრცელდეს – მსხვერპლიანი აფეთქებები, საბრძოლო მოქმედებების ქრონიკები, ხოლო ბოლო ორი კვირა საინფორმაციო საშუალებები "აბუ ღრაიბის" ციხის ისტორიებმა მთლიანად დაიპყრო. ამერიკა რეალურად ექცევა ერაყული სინდრომის ქვეშ და, ალბათ, ერაყის თემა მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებშიც გადამწყვეტი აღმოჩნდება.*

ყოველდღე ამერიკელი და ბრიტანელი ჯარისკაცების ქმედებებს ერაყში ახალი სკანდალური ცნობები ემატება. ტელევიზიითა და პრესით ფართოდ გაშუქებული ერაყელი პატიმრების წამების ისტორია სულ უფრო "დეტალური ფაქტებით" ივსება. შაბათს, ბრიტანელმა სამხედროებმა თავიდან აიცილეს დარტყმა, დაამტკიცეს რა (ჯერჯერობით, არაოფიციალურად – სამსახურებრივი გამოძიება გრძელდება), რომ "დეილი მირორ"-ში გამოქვეყნებულ ფოტოებს მათთან კავშირი არ აქვთ. პირიქით, გაზეთის რედაქტორსვე დაუჯდა ძვირად ბრიტანელი ჯარისკაცების დადანაშაულება - იგი იძულებული გახდა, გადამდგარიყო.

აი, ამერიკელები კი თავის დაძვრენას ვერაფრით ახერხებენ. მათ არ უშველათ არც ქვეყნის პირველი პირების მობოდიშებამ, არც საჩვენებელმა სასამართლო პროცესმა დამნაშავე რიგით ჯარისკაცებზე. სიტუაციის განმუხტვის ნაცვლად, კიდევ უფრო მეტი უხერხული დეტალები ხდება ცნობილი ერაყის "სამშვიდობო" ოპერაციის შესახებ.

შაბათსაც, კიდევ ერთი სკანდალური ისტორია გამოქვეყნდა გავლენიან ამერიკულ ჟურნალ "ნიუიორკერ"-ში, სადაც აშშ-ს ცნობილი ჟურნალისტი სეიმურ ჰერში ამტკიცებს, რომ პატიმრებისადმი ამგვარი დამოკიდებულება თავად დონალდ რამსფელდის ინსტრუქციის საფუძველზე ხდებოდა და მისთვის "აბუ ღრაიბში" მიმდინარე მოვლენები თავიდანვე ცნობილი იყო. რასაკვირველია, ჟურნალისტი თავისი წყაროების ვინაობას არ ასახელებს, მაგრამ აცხადებს, რომ ისინი კარგად ინფორმირებული, დაზვერვის თანამშრომლები არიან, ანუ მათ სანდოობაში ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს.

ამერიკელი ჟურნალისტი ახსენებს საიდუმლო პროგრამას, რომელიც თითქოსდა, დაკითხვებზე პატიმართაგან არაჰუმანური მეთოდების გამოყენებით ინფორმაციის მისაღებად გამოიყენებოდა. ობიექტები კი შეიძლება ყოფილიყვნენ ყველანი, ვინც ტერორიზმთან ბრძოლაში ამერიკელთათვის ინტერესს წარმოადგენდა. სტატიაში ნათქვამია, რომ პროგრამა აშშ-ს პრეზიდენტის ეროვნული უსაფრთხოების მრჩევლის კონდოლიზა რაისის თანხმობით, საკმაო ხანია, რაც შემუშავდა (თავდაპირველად, გამიზნული იყო მისი ავღანეთის ტერიტორიაზე გამოყენება). თავად თეთრი სახლის პირველი პირიც საქმის კურსში იმყოფებოდა, თუ რა მეთოდებით იმოქმედებდა მისი არმია. თუმცა, ჟურნალისტის მტკიცებით, შარშან დონალდ რამსფელდმა ეს პროგრამა განავრცო და პირადად გასცა განკარგულება "აბუ ღრაიბის" ციხეში პატიმრებზე ფიზიკური ზეწოლის გამოყენების თაობაზე.



*დონალდ რამსფელდი ბრალდებას უარყოფს.*

"ნიუიორკერ"-ში მსგავსი ინფორმაციის გამოჩენა საბოლოოდ გამორიცხავს პატიმრების წამების ფაქტებთან დაკავშირებული დანაშაულის მხოლოდ სამხედრო მეთაურთა დაბალი და საშუალო რგოლისთვის გადაბრალების შესაძლებლობას. მედიაში წამების ამსახველი პირველი კადრების გამოჩენისთანავე, პენტაგონი ცდილობდა, რომ ისინი მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებად გაესაღებინა და არა გავრცელებულ ტენდენციად. მას შემდეგ, რაც აშშ-ს კონგრესში საჯაროდ წაიკითხეს ოფიციალური ინსტრუქტაჟი, სადაც აღწერილი იყო პატიმრებთან მოპყრობის მეთოდები, დამნაშავეთა სიაში გენერალიც გაჩნდა. აღნიშნული ცირკულარის ხელმომწერი გენერალი რიკარდო სანჩესი იყო. ამ ფაქტის გაცხადების შემდეგ თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებს ბოდიშის მოხდა მოუწიათ, თუმცა კვლავინდებურად განაგრძობდნენ მტკიცებას, რომ წამების შესახებ არაფერი იცოდნენ.

პენტაგონი გუშინაც კატეგორიულად უარყოფდა ჟურნალისტის მოყვანილი ფაქტების სინამდვილეს. თავდაცვის უწყება ოფიციალურად აცხადებდა, რომ სტატიაში მოყვანილი მტკიცებები აბსურდულია, მხოლოდ და მხოლოდ ჰიპოთეზებზეა აგებული და პირადად დონალდ რამსფელდის წინააღმდეგ შეთქმულებას ჰგავს. პენტაგონის ოფიციალური წარმომადგენელი ლოურენს დი რიტა განმარტავს, რომ "აბუ ღრაიბის" ციხეში მომხდარ ფაქტებს ვერანაირი პროგრამა, ინსტრუქცია ან რაიმე სახის სანქცია ვერ ექნებოდა საფუძვლად.

დღეს დანამდვილებით ვერავინ იტყვის, რამდენად "სცოდავდნენ" აშშ-ს პირველი პირები. ეს, ალბათ, მომავალში გაირკვევა. მთავარი ისაა, რომ ასეთ ფონზე, იმ ხალხის რეიტინგი, ვინც ერაყის ომის ინიციატორი იყო, არნახული ტემპებით ეცემა. ბოლოდროინდელი გამოკითხვების მიხედვით, ამერიკელთა ნახევარზე მეტს აღარ მოსწონს ბუშის საგარეო პოლიტიკა და მხოლოდ 35 პროცენტს აკმაყოფილებს აშშ-ს სტრატეგია ერაყის მიმართ.

ბუშისაგან განსხვავებით, რომელიც წლის ბოლომდე ქვეყნის სათავეში იქნება და კიდევ რჩება გარკვეული შანსები, ხელმეორედ იქნას არჩეული, გაცილებით უარეს დღეშია ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი. ანალიტიკოსთა მტკიცებით, ბლერს თანამდებობის ვადამდე დატოვების საფრთხე უკვე რეალურად ემუქრება. დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის უკვე 60 პროცენტი მიიჩნევს, რომ პრემიერმა ქვეყანას აღარ უნდა უხელმძღვანელოს.

# დემოკრატიზაცია, დეკრიმინალიზაცია, დემილიტარიზაცია

ვლადიმირ სოკორი

აჭარაში დემოკრატიის მშვიდობიანმა გამარჯვებამ დაადასტურა, რომ პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა რეგიონებში არსებული სეპარატისტული კონფლიქტების დარეგულირება და აღკვეთა სავსებით შესაძლებელია. მოლდოვაში, რომელიც ამგვარი კონფლიქტის არენაა, სამოქალაქო საზოგადოების ადგილობრივმა მომხრეებმა წარმოადგინეს კონფლიქტის დარეგულირების კონცეფცია, სახელწოდებით "სამი "დ"-ს სტრატეგია," რომელიც მოიცავს: დემოკრატიზაციას, დეკრიმინალიზაციას და დემილიტარიზაციას.

დემოკრატიზაცია – კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირების აუცილებელი პარამეტრია, მაგრამ ის ხშირად იგნორირებულია. დანაწევრებული სახელმწიფოები რუსული მმართველობის მინიატურულ მოდელს წარმოადგენენ. ამ მოდელში პოლიტიკური ხელმძღვანელობა, სპეცსამსახურები, ჩრდილოვანი ბიზნესი და ორგანიზებული დამნაშავეობა ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და აკონტროლებენ როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ სფეროებს.

დასავლეთთან თანამშრომლობის შედეგად, საქართველომ, სომხეთმა, აზერბაიჯანმა და მოლდოვამ, გარკვეული პოლიტიკური და ინსტიტუციონალური პლურალიზმის და სამოქალაქო საზოგადოების ჩანასახი შექმნეს. თუმცა, რუსეთის მიერ კონტროლირებად ანკლავებში კვლავ ავტორიტარული და მილიტარისტული რეჟიმებია გამეფებული. საქართველოსა და მოლდოვაში არსებული, განსხვავებული პოლიტიკური ვითარება კიდევ უფრო მეტად ზრდის სამართლებრივ სახელმწიფოებსა და სეპარატისტულ რეგიონებს შორის არსებულ უფსკრულებს. მდგრადი პოლიტიკური დარეგულირების პროცესი კი ამ რეჟიმების შეცვლას მოითხოვს.

ამ რაიონებში დემოკრატიის შესვლა კონფლიქტების დარეგულირების ძალისხმევის პრიორიტეტად უნდა იქცეს. თავისი დემოკრატიული ამბიციების მიუხედავად, გაერო-ს და ეუთო-ს, რომლებიც უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში "მოლაპარაკების პროცესში" ნომინალურ დონეზე მონაწილეობენ, ანკლავებში დემოკრატის დამყარების თვალსაზრისით არაფერი არ გაუკეთებით.

დემოკრატიამ კონფლიქტის დარეგულირების მიზნით წარმოებულ მოლაპარაკებებს რამდენიმე ნაბიჯით უნდა გაუსწროს. ევროპის საბჭომ აჩვენა, რომ მას შეუძლია რეგიონის კანონიერ მთავრობებთან ეფექტურად იმუშაოს. ამჟამად კი, ევროსაბჭომ და ეუთო-მ უკონტროლო რაიონებში წინა პლანზე დემოკრატიის საკითხი უნდა წამოწიონ. უმოქმედობა ამ ანკლავების მმართველებს იზოლირებული და არაინფორმირებული მოსახლეობით მანიპულირების საშუალებას აძლევს. მოსახლეობას დამოუკიდებელი მასმედია და პოლიტიკური ალტერნატივა სჭირდება.

ძალზედ მოკრძალებული დანახარჯების პირობებში, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც დემოკრატიის გავრეცელებას უწყობენ ხელს, შეუძლიათ, სამოქალაქო საზოგადოების მოსურნე ჯგუფებს ამ სეპარატისტულ რაიონებში, თავისუფალი მასმედიის ჩამოყალიბებაში ღია მხარდაჭერა აღმოუჩინონ. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს დემოკრატიული პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებას.

სეპარატისტულ რაიონებში დემოკრატიის პროცესს თან უნდა სდევდეს დეკრიმინალიზაცია. ეს გამოიწვევს მაფიოზი პოლიტიკური ლიდერების ჩამოშორებას, რომელთა ჩრდილოვანი ეკონომიკით დაინტერესებაც ამ კონფლიქტების დარეგულურების პროცესს აბრკოლებს. მხოლოდ კრიმინალური ხელისუფლების შეცვლას შეუძლია, გზა გაუხსნას რაიონის აღდგენას და დახმარებას. ეს კი პოლიტიკური დარეგულირების ფუნდამენტად იქცევა. ეს ასევე მისცემს სტიმულს მრავალჭირნახულ მოსახლეობას, რათა ეს რეჟიმები თავიდან მოიშორონ.

ამდენად, დემოკრატიზაცია და დემილიტარიზაცია ერთმანეთის პარალელურად უნდა განხორციელდეს. კანონის უზენაესობა დემოკრატიზაციისთვის აუცილებელ პირობებს შექმნის. მთავარ პრიორიტეტად თვითაღიარებული სახელმწიფოების შეირაღებული ძალების და სპეცსამსახურების დემილიტარიზაცია უნდა იქცეს.

დემილიტარიზაცია მთლიანი პროცესის ძირითად ელემენტს წარმოადგენს და სამი მიზნისაკენ უნდა ისწრაფოდეს: რუსეთის სამხედრო ბაზების დახურვა და რუსეთის ჯარების გაყვანა; სეპარატისტულ ანკლავებში რუსეთის მიერ შექმნილი შეიარაღებული ძალების და სპეცსამსახურების დათხოვნა; ამ რეგიონებში რუსეთის "სამშვიდობო" ოპერაციების გარდაქმნა საერთაშორისო სამხედრო და სამოქალაქო ოპერაციებად. დღეს ეს სამივე მიზანი მიღწევადია.

რუსეთის ჯარების გაყვანას მოითხოვს შეთანხმება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ და ეუთო-ს სტამბულის სამიტის შეთანხმება სამხრეთ კავკასიისა და მოლდოვას შესახებ. ივნისის სამიტზე კი ნატო-მ აუცილებლად უნდა აიძულოს რუსეთი, ეს ვალდებულება შეასრულოს. ასეთივე პოზიცია უნდა დაიკავოს რუსეთთან ევროკავშირმაც.

ამჟამად არ არის დაცული შეთანხმება მძიმე შეიარაღების შეზღუდვის შესახებ და არ სრულდება ნაკისრი ვალდებულება ბაზების დახურვის და ჯარების გაყვანის თაობაზე. მოსკოვს საქართველოში სამი ბაზა აქვს. ინარჩუნებს სამხედრო ყოფნას მოლდოვაში. დნესტრისპირეთში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შენარჩუნებულია მისი სამხედრო ტექნიკა, რომელიც რუსეთს, ვალდებულების თანახმად, ან უნდა გაენადგურებინა ან გაეყვანა. ტექნიკის განსაკუთრებით დიდი რაოდენობაა თავმოყრილი ყარაბაღში.

ამ პრობლემის გადაჭრა, სულ ცოტა, ევრო-ატლანტიკური თანამეგობრობის პოლიტიკური ნებით არის შესაძლებელი. იმ პოლიტიკური და ფინანსური არგუმენტების გაქარწყლება, რომელთა საშუალებითაც რუსეთი ამ რეგიონებში სამხედრო ყოფნას ამართლებს, ძალიან ადვილია.

ჯერჯერობით, რუსეთი კონფლიქტურ რეგიონებში "სამშვიდობო შუამავლის" მონოპოლიას ინარჩუნებს. აშშ-ს და ნატო-ს ჯარები ევროპის და აზიის სხვა რეგიონებში მოქმედებენ, ხოლო ევროკავშირი კი, მშვიდობის შენარჩუნების საკითხში საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებას, რატომღაც, ერიდება.

ყველანაირ ვარიანტში, სამხედრო ხასიათის სამშვიდობო ოპერაციების ჩატარება გარდაუვალია. შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დნესტრისპირეთში, აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთსა და ყარაბაღში წლების განმავლობაში არ დარღვეულა, რადგანაც თავად კონფლიქტის მონაწილეებმა, უპირველეს ყოვლისა, კანონიერმა მთავრობებმა იციან, რომ სამხედრო მოქმედების დაწყების შემთხვევაში უფრო მეტს დაკარგავენ, ვიდრე მოიგებენ. რუსი "სამშვიდობოების" ყოფნა კი სეპარატისტული მთავრობების შეურიგებლობას კიდევ უფრო მეტად აღრმავებს.

ნატო-მ და ევროკავშირმა ბოსნიასა და მაკედონიაში სამშვიდობო ოპერაციების ჩატარების კარგი მოდელი შექმნეს. ეს მოდელი მოიცავს პოლიციას, ინსტრუქტორებს, საერთაშორისო მოსამართლეებს, მებაჟეებს და ა.შ. თანხები, რომელიც სამხრეთ კავკასიასა და მოლდოვაში იქნება საჭირო, სასაცილოა იმ თანხებთან შედარებით, რაც ერაყში, ავღანეთსა და ბალკანეთში იხარჯება.

ნატო-ს და ევროკავშირის განკარგულებაში კი საკმაოდ არის თავმოყრილი რესურსები საერთაშორისო სამშვიდობო მისიების შესაქმნელად. ამით შესაძლებელი გახდება პოლიტიკური დარეგულირების უზრუნველყოფა ევროატლანტიკური თამეგობრობის ინტერესების შესაბამისად და ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რეგიონის სახელმწიფოებში დემოკრატიის განვითარება.

# სიცილიური მაფია კვლავ ცოცხალია

*ბოლო წლებში პრესა იუწყებოდა, რომ სიცილიური მაფია, ფაქტობრივად, განადგურდა, რომ კოზა ნოსტრას ყოვლისშემძლეობა წარსულს ჩაბარდა. თუმცა, სიცილიელი მოსამართლეები და პოლიტიკოსები ამტკიცებენ, რომ მაფიამ სტრატეგია შეცვალა და გაძლიერდა.*

სიცილიური მაფიის სპეციალისტების თქმით, კარგია ის, რომ სიცილიური მაფია თავის კლიენტებს ნაკლებს სძალავს, ცუდი კი - ის, რომ ძალიან გაიზარდა მისი კლიენტების რიცხვი.

"Pagare tutti, pagare meno" – მაფიის ახალი დევიზი, დაახლოებით, ასე ითარგმნება: "ყველა იხდის, მაგრამ უფრო ცოტას". სიცილიის ქალაქის მერებისა და მოსამართლეების მტკიცებით, მაფიამ ახლა სწორედ ამგვარი ტაქტიკა აირჩია.

ბოლო წლებში კუნძულზე ახალი "Pax Mafiosa" (მაფიოზური წესრიგი) დამყარდა. მაფიამ საკუთარი მტრების – პოლიცია, მოსამართლეები, პოლიტიკოსები - ფიზიკური განდგურება შეწყვიტა.

1990-იან წლებში სახელმწიფომ რამდენიმე ვეშაპი დაიჭირა. "ბოსების ბოსი" სალვატორე რიინა, "მხეცად" წოდებული, 1993 წელს დაიჭირეს, ხოლო მისი მოადგილე ლეოლუკა ბაგარელა - 1995 წელს. ჯიოვანი ბრისკა, რომლის სპეციალიზაცია ბომბების დამზადება და მაფიისთვის არასასურველი ხალხის აფეთქება იყო, 1996 წელს ჩავარდა. სია უსასრულოდ გრძელდება.

მაფიის უმაღლესი ეშელონების წარმომადგენელთა დაჭერა იტალიის საზოგადოების აღშფოთებას მოჰყვა, რაც მაფიის ზღვარგადასულმა მოქმედებამ გამოიწვია: მაფიასთან მებრძოლი მოსამართლეები ჯიოვანი ფალკონე და პაოლო ბორზელინო 1992 წელს მოკლეს, ხოლო 1993 წელს მაფიამ აფეთქებების სერია განახორციელა.

ამის შემდეგ ვითარება თითქოს ჩაცხრა. კოზა ნოსტრამ "ბიზნეს-სტრატეგია" შეცვალა.

"მათ ჩრდილში ყოფნის ტაქტიკა აირჩიეს, რათა სახელმწიფოს მხრიდან ფართომასშტაბიანი შემოტევა თავიდან აიცილონ", - აღნიშნა "როიტერისთვის" მიცემულ ინტერვიუში მოსამართლე ალფრედო მორვილომ, რომლის და ფრანჩესკა, აგრეთვე, მოსამართლე ფალკონესთან ერთად 1992 წელს ააფეთქეს.

## უფრო კეთილი და ნაზი მაფია?

ცნობილი მოსამართლეები ინგროია, მორვილო და მრავალი სხვა ამტკიცებენ, რომ მაფია თავის ადრინდელ გავლენას უფრო დახვეწილი მეთოდებით იბრუნებს.

ლიბერო გრასი, პალერმოს ახლოს მდებარე დიდი სამკერვალო კომპანიის მეპატრონე, 1991 წელს მას შემდეგ მოკლეს, რაც მან ყოველთვიური "pizzo"-ს - წილის გადახდაზე უარი თქვა.

ახალი სტრატეგიის მიზანია ძალიან მაღალი ტარიფების შემცირება, მაგრამ, ამავდროულად, მფარველობის პატარა მაღაზიების მფლობელებზეც გავრცელება.



*მაფიოზებმა ძველ "მეთოდებზე" უარი თქვეს.*

"ეს მაფიას უზარმაზარ უპირატესობას აძლევს. ახლა, ყველა იხდის და შემოსავლები, დაახლოებით, იმდენივეა, რამდენიც ადრე იყო. მაღაზიის მეპატრონეებს არ უჭირთ დაბალი ტარიფის გადახდა და მათი აზრით, მაფიასთან თანამშრომლობა სასარგებლოც კია", - ამბობს ინგროია.

პალერმოს მახლობლად მდებარე პატარა ქალაქის მერი სალვინო კაპუტო ამბობს, რომ ზოგიერთ შემთხვევებში წილს მაფიის წევრების ნათესავებიც იხდიან.

"რაც არ უნდა მცირე მასშტაბის კომერციულ საქმიანობას ეწეოდეს პიროვნება, იხდის, თუნდაც, 20 ევროს თვეში," - აღნიშნა მან.

მაფია, აგრეთვე, სახელმწიფო შეკვეთებზეც აკეთებს ფულს, მაგრამ პირდაპირი ჩარევის ნაცვლად, ისინი სხვა გზას ირჩევენ.

"სუფთა" კომპანია კონტრაქტს მოიგებს. ამის შემდეგ, მაფია ამ კომპანიას "ურჩევს", სად ჯობია ცემენტის ყიდვა, სად უნდა დაიქირაოს ბულდოზერები და ა.შ.", - მაფიის მუშაობის ნიუანსებს ხსნის კაპუტო.

მოსამართლეებისა და მერების თქმით, მაფიას მხოლოდ ფული არ აინტერესებს. მას სურს, რომ ტერიტორიების სამართავად საყოველთაო კონსენსუსს მიაღწიოს.

მაფია ცდილობს, თავი ისეთ გაერთიანებად წარმოაჩინოს, რომელიც ხალხს სამსახურის მონახვაში, ან პრობლემის მოგვარებაში ეხმარება. ეს უბრალო კრიმინალური ორგანიზაცია არ არის, მას ისტორიული ფესვები აქვს და მისი აღმოფხვრა ძნელია.

"ჩვენთან 10 წელი სჭირდება ეჭვმიტანილის დაპატიმრებას და ერთი წუთი - მაფიის ოჯახის შექმნას," - ამბობს კაპუტო.

ბევრ ახალგაზრდას ისევ სურს ამ ფიცის მიღება: "მე (სახელი და გვარი) ვუერთდები ამ საიდუმლო ორგანიზაციას, რათა ჩემი ოჯახი და ჩემი ძმები საკუთარი სისხლით (ამ დროს დანით თითს იჭრიან) და ჩემი შვილების სისხლით დავიცვა (სისხლით ჯვარს გამოსახავს). ვფიცავ, რომ არ გავამჟღავნებ ამ საიდუმლოს და ორგანიზაციას სიყვარულით დავემორჩილები. მე ცოცხალი ვწევრიანდები ამ ორგანიზაციაში და მხოლოდ მკვდარი დავტოვებ მას!"

## ტვინი

მაფიის ახალი ტვინია 70 წლის ბერნანდო პროვენძანო, რომელმაც 1990-იანი წლების დაჭერების შემდეგ, ორგანიზაციის მართვის სადავეები აიღო.

პოლიცია მას 40 წელია, ეძებს. მისი ბოლო სურათი, რომელიც სამართალდამცველებს აქვთ, 25 წლის ასაკშია გადაღებული.

კომპიუტერის მეშვეობით პოლიციამ მისი სიბერის სავარაუდო სურათის შედგენა შეძლო. იტალიელმა სამართალდამცველებმა რამდენჯერმე კინაღამ შეძლეს მისი დაჭერა. თუმცა, ყველა შემთხვევაში პროვენძანომ მათი გაცურება შეძლო. მის შესახებ უკვე ლეგენდები დადის.

პროვენძანოს დოქტრინის თანახმად, სახელმწიფოზე იერიში არ უნდა მიიტანონ, ხოლო შიდა დაპირისპირებები კონსენსუსის, დარწმუნების და დაყვავების მეშვეობით უნდა მოგვარდეს და არა ძალის გამოყენებით.

მოსამართლეების თქმით, რიინა, მაფიის ყოფილი თავკაცი, დიქტატორი იყო, ხოლო პროვენძანო დემოკრატია, რამდენადაც მაფიოზი ასეთი შეიძლება იყოს.

როდესაც მაფია გაიგებს, რომ მისი რომელიმე წევრი უკმაყოფილოა და, შესაძლოა, სახელმწიფოს ჩაბარდეს, მისი ან მისი ოჯახის წევრების მოსაკლავად ქილერს აღარ აგზავნიან. მასთან მაფიის წარმომადგენელი მიდის, მის საჩივარს ისმენს და ორგანიზაციაში მის დატოვებას ცდილობს.

იმის მიუხედავად, რომ მაფია ჩრდილში ყოფნას ამჯობინებს, პოლიციამ ფართომასშტაბიანი ბრძოლა უკვე გააჩაღა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2003 წელს პოლიციამ იტალიაში ორგანიზებული დამნაშავეების მიერ ჩადენილი 1254 საქმე გამოიძია და 172 ადამიანი დააპატიმრა, მათ შორის, სამი სიცილიელი მაფიოზი, რომლებიც 30 ყველაზე სასურველთა შორის შედიან და, აგრეთვე, მაფიის ორი "მაღალჩინოსანი", რომლებიც აპენინებზე მოქმედებდნენ.

მაფიის კუთვნილი 2000-ზე მეტი ანგარიში და უძრავი ქონება კონფისკირებული იქნა და სხვადასხვა ქალაქების 12 საკრებულო მაფიასთან თანამშრომლობის გამო დაითხოვეს.

ინგროიას აზრით, სამართალდამცველები "ოკეანის დაშრობას ვედროთი ცდილობენ, რომელსაც ხვრელი აქვს."

"ჩვენ გვჭირდება სახელმწიფოს დიდი მონდომება, რაც საშუალებას მოგვცემს, მაფიის გამომწვევი მიზეზები გავანადგუროთ. ახლა, როგორც კი მაფიოზს დავაპატიმრებთ, მას დაუყოვნებლივ ვიღაც ჩაანაცვლებს." - ამბობს ინგროია.

# ბავშვები ისწავლიან, თუ განათლების სისტემა გარდაიქმნება

პირველი გვერდიდან

## კვლევის შედეგი და სანდოობა

**თამარ ოთხმეზური:** შეფასებისა და გამოცდების ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ოთხწლედის ფარგლებში ჩატარებული ტესტური კვლევის მიზანი იყო მიმდინარე სასწავლო პროცესში დაწყებითი კლასების შეფასება ქართულ ენაში; მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოვლენა, გარკვევა იმისა, თუ 9-10 წლის მოსწავლეების მიერ იმ მასალიდან, რომელსაც ისინი სწავლობენ დაწყებით კლასებში, რა და როგორი ხარისხითაა დაძლეული. მოგეხსენებათ, ამჟამად მეტად აქტუალური საკითხია ახალი პროგრამების შედგენა, საერთოდ, ახალი სტანდარტები. იმისათვის რომ პასუხი გაეცეს შეკითხვას, თუ რისი გაკეთება უნდა შეეძლოს და რა უნდა იცოდეს მოსწავლემ ოთხწლედის დასრულებისას, ამისთვის მეტად სასურველია, ვიცოდეთ, სინამდვილეში რა შეუძლია და რა იცის მან.

შემოწმებისას გამოვყავით ოთხი სფერო: კითხვა, წერა, გრამატიკა და ლექსიკა.

რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი იყო მოსმენისა და საუბრის ჩვევებიც, მაგრამ ყველაფერი ერთბაშად შეუძლებელი იყო, და ამ სფეროების შემოწმება სამომავლოდ გადაწყდა.

ემპირიული შედეგები აღიწერა საფეხურების მიხედვით. ტესტირების პრაქტიკაში მიღებული მეთოდით, არსებობს ოთხი საფეხური: მაღალი, საშუალოზე მაღალი, საშუალო და საშუალოზე დაბალი - მიღწევის დონეები. გამოიკვეთა, რომ სახეზეა პოლარიზაცია: ერთი მხრივ, სუსტი და ძალიან სუსტი მოსწავლეები და, მეორე მხრივ, კარგი და ძალიან კარგი მოსწავლეები. მაგრამ, საზოგადოდ, განათლების სისტემაში საშუალო საფეხურია წარმატებული პროცესის მაჩვენებელი, რაც ჩვენს შემთხვევაში სუსტად გამოიკვეთა.

**ნინო გორდელაძე** - უფრო რომ დავაზუსტოთ, პროცენტულ მონაცემებს მოგახსენებთ. წაკითხულის გააზრება - საშუალოზე დაბალი 22%, საშუალო - 20 პროცენტი, საშუალოზე მაღალი - 19 და მაღალი - 19 პროცენტი. აქ გამოვლინდა მარგინალური 20 პროცენტიც, რომელმაც საშუალოზე დაბალიც ვერ დაძლია. ანუ, ეს ნიშნავს: ამ ნაწილმა ცხადად მოცემული ინფორმაციის პოვნა შეძლეს მხოლოდ ნასწავლი ტექსტის მიხედვით და არა პირველად წაკითხულის. 20 პროცენტი მინიმუმსაც ვერ ახერხებს. ასეთივე იყო შედეგი ლექსიკაშიც. შედარებით მძიმეა გრამატიკის შედეგი - აქ მარგინალური პროცენტი იზრდება. მნიშვნელოვანია, რომ გრამატიკული მასალის 72 პროცენტი გათვლილია მაღალ და საშუალოზე მაღალ საფეხურზე მყოფი მოსწავლეებისათვის; საშუალო საფეხურისთვის თავისუფლად აღსაქმელია მასალის 20 პროცენტი და საშუალოზე დაბალი საფეხურისთვის - მხოლოდ 5 პროცენტი. ე.ი. მასალა გათვლილია, მაღალი და საშუალოზე მაღალი საფეხურისთვის. ყველაზე გახმაურებული და საგანგაშო კი წერის შედეგი გახლავთ. ეს ყველაზე დაუძლეველი სფერო აღმოჩნდა. მოსწავლეთა, თითქმის, ნახევარი საკუთარი აზრის თანმიმდევრულად გადმოცემას ვერ ახერხებს. შედეგით გამოვლინდა, რომ მეხუთე კლასისთვის - სწავლების ახალი ეტაპისათვის, როცა ახალი საგნები შემოდის, მზად ნახევარიც კი არ არის.

**ნათელა ვასაძე:** როგორც გამოცხადდა, ნახევარზე მეტმა არ იცის წერა და კითხვა. ეს ეროვნული ტრაგედიაა. საზოგადოება შეშფოთებულია. მაგრამ, არის თუ არა თქვენს მიერ ჩატარებული კვლევა ერთადერთი მეთოდი, თუ რაიმე სხვა გამოკვლევაც ჩატარდა.

**ნინო გორდელაძე:** ცენტრმა ასეთი სურათი ამ კვლევის შედეგად მიიღო. ეს კვლევის ერთ-ერთი ფორმაა. შედეგი, სამწუხაროდ, ასეთია, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ, ზოგადად, ბავშვის პოტენციალი იქნა გამოკვლეული. ამ ტესტირებით დავადგინეთ ის, თუ როგორია შედეგი იმისა, რასაც ვასწავლით და როგორც ვასწავლით.

**ნინო აბრამიშვილი:** მე ერთ-ერთი პრაქტიკოსი გამსწორებელი ვარ და უნდა გითხრათ, რომ შემაშფოთა საზოგადოების განწყობამ, რაც ცენტრის შედეგების გამოცხადების შემდეგ გაჩნდა - ბავშვებმა წერა და კითხვა არ იციან. მე ასეთი განწყობა და ასეთი შთაბეჭდილება არ შემქმნია, მით უმეტეს, რომ ძალიან ახლოს ვიყავი ამ ტესტებთან. დიდი სამუშაო ჩატარდა და პირველი სამუშაო, მოგეხსენებათ, მძაფრი კრიტიკის ქარ-ცეცხლში ტარდება. მე გავასწორე ტესტები და არ დამრჩენია ისეთი შთაბეჭდილება, რომ წერა-კითხვა არ იციან. არის სფეროები, რომლებიც მშვენივრად დაძლიეს. მაგალითად, გრამატიკაში თავს იოლად ართმევდნენ ქვემდებარეს, ზმნა-შემასმენელს, მაგრამ გაუჭირდათ ზედსართავისა და ზმნიზედის ამოცნობა. ბევრი იყო ბარბარიზმი, როგორც რეგიონებში, ასევე, თბილისში; ნაკლებად იყო დიალექტიზმები. მე არ ვთვლი, რომ ეს კატასტროფაა, რადგან კატასტროფას საშველი არ აქვს. ამ შემთხვევაში კი საჭიროა მიზეზების პოვნა და მათი აღმოფხვრა. ეს იქნება პროგრამით, სახელმძღვანელოთი, მეთოდიკით თუ სხვა გზებით. ის, რომ "დიაგნოზი" ვიცით, ძალიან კარგია. მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი სწორი "მკურნალობის" დანიშვნა.

**ნათელა ვასაძე:** როგორც აღინიშნა, დიაგნოზი დაისვა. დიაგნოზის დასასმელად ტესტირება, როგორც ერთადერთი ფორმა, მიმაჩნია, რომ არ არის საკმარისი და ასეთი განცხადების უფლებას არ გვაძლევს. კარგია, რომ არსებობს შეფასების და გამოცდების ცენტრი, მაგრამ შეფასება განათლების უძველესი პრობლემაა. ტესტირებაც და შეფასებაც პედაგოგიური დიაგნოსტიკის შემადგენელი ნაწილებია. დიაგნოზის დასასმელად კი საჭიროა შეფასების ყველა შემადგენელი ნაწილის შესრულება.

აქ არ თქმულა ისიც, მზად იყვნენ თუ არა ბავშვები ფსიქოლოგიურად ასეთი გამოკვლევისთვის; ტესტების ამოხსნა ადრე უცდიათ?

**ნინო გორდელაძე:** სამ ეტაპად ჩატარდა ტესტთან შეგუების ხანგრძლივი პროცესი. თავად ამ პროცესს ტესტის გამოცდა ეწოდება. ეს ჩვეულებრივი შემოსახაზი ტესტი არ იყო. ეს იყო სრულიად ადეკვატური, ტრადიციული დავალებები, როგორსაც ბავშვი სკოლაში ასრულებს. ყველაზე დიდი დრო განწყობის შექმნას მოვანდომეთ, რათა ეს მათთვის სასიხარულო პროცესი ყოფილიყო. სპეციალურად მოვამზადეთ დამკვირვებლები, რომ ბავშვებისათვის კარგი განწყობა შეექმნათ. ასე რომ, მოსწავლეები ტესტირების დროს ძალიან ლაღები და თავისუფლები იყვნენ.

**ნათელა მაღლაკელიძე:** კვლევის მეთოდიკასთან დაკავშირებით მაქვს პრეტენზია. ლექსიკის ამოღლეჯა მასალიდან ხელოვნურია. ამგვარი კვლევა გვაქვს უცხო ენების სწავლებისას და, რატომღაც, მგონია, რომ ეს უცხო ენების გავლენით ხდება. დამეთანხმებით, რომ მოსწავლემ, შეიძლება, ცალკე ლექსიკური ერთეული ვერ განმარტოს, მაგრამ კონტექსტში ზუსტად გამოიყენოს. მეორეა, რომ, როცა მხატვრული ნაწარმოების აღქმაზე ვლაპარაკობთ, მომეჩვენა, თითქოს, მხატვრული ნაწარმოები ხელოვნურადაა კომპონენტებად დაყოფილი. ლიტერატურა კი ხშირად გულით აღიქმება და არა გონებით და ესეც იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ მივაწოდებთ ამ მასალას.

**ნათელა იმედაძე**: ჩემი აზრით, ტესტირებისას ორი სფეროს - გრამატიკისა და ლექსიკის გამოყოფა პირობითი იყო. თქვენვე თქვით, რომ ოთხი კომპონენტი არსებობს: წერა, კითხვა, ზეპირი პროდუცირება და აუდირება. თქვენ აქედან აიღეთ ორი და, ჩემი აზრით, ძალიან პირობითად, ჩართეთ ლექსიკა და გრამატიკა. ხომ არ გამოვიდა ისე, რომ ერთ შემთხვევაში უნარ-ჩვევებს ადგენდით და მეორე შემთხვევაში - ცოდნას. ცხადია, რომ ბავშვს ორივე მოეთხოვება, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ხომ არ იყო არათანაბარი მოთხოვნა?

**ნინო გორდელაძე:** გარდა ამისა, როდესაც ლექსიკაზეა საუბარი, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ არ ვამოწმებდით, ფლობენ, თუ არა ბავშვები იმ ლექსიკურ ცოდნას, რაც სახელმძღვანელოებში ლექსიკონის სახითაა მოცემული. ლექსიკის ტესტითაც კითხვის უნარი მოწმდებოდა. ჩვენ გვაინტერესებდა, რამდენად შეეძლო მოსწავლეს, მოცემული რამდენიმე სიტყვიდან წინადადებაში სწორედ ის სიტყვა შეერჩია, რომელიც სემანტიკურად უფრო მოერგებოდა. სწორედ ამაზეა დამოკიდებული შემდეგ ტექსტის გაგების უნარი.

**თამარ ოთხმეზური:** არსებობს მსოფლიოში კარგად ცნობილი ტესტირების პრაქტიკა და ჩვენ მას ვიყენებთ. სხვადასხვა ქვეყანაში მეოთხე კლასელთა ცოდნა სწორედ ამ სფეროების გამოყოფით მოწმდება.

**გიგი თევზაძე:** ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ კლასებში გრამატიკის ცოდნა სტანდარტის მიხედვით მოითხოვება. სხვა საკითხია, კარგია ეს სტანდარტი, თუ ცუდი; 1997 წელს იგი სახელმწიფომ დააწესა და როდესაც სახელმწიფო შემოწმებას ატარებს, ბუნებრივია, ამ სტანდარტით უნდა იხელმძღვანელოს. რა თქმა უნდა, ჯობს, დაწყებით კლასებში სტანდარტი მხოლოდ უნარებზე იყოს ორიენტირებული და ცოდნა ამ უნარ-ჩვევების მისაღწევად იყოს გამოყენებული. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი სტანდარტი ასეთია. სახელმძღვნელოც სტანდარტის მიხედვით უნდა იწერებოდეს - ეს ისეთი ციკლია, რომელსაც შეფასებისას ვერ დაარღვევ. ძველის დარღვევის შესაძლებლობა მხოლოდ მაშინ მოგვეცემა, როდესაც ახალს დავწერთ.

## რა იქნებოდა ეს კვლევა ათწლეულების წინ სოციალისტურ საქართველოში რომ ჩაგვეტარებინა?!

**სიმონ ჯანაშია:** თუ შედეგის მიზეზად დადგინდება ის, რომ სტანდარტი, ანუ მოთხოვნა ბავშვის მიმართ დაყენებულია არასწორად და ეს იგივეა, რაც საბჭოთა კავშირის დროს იყო, მაშინ, რა თქმა უნდა, იგივე შედეგს მივიღებდით. ამ გამოკვლევიდან მახსოვს, რომ მოსწავლეთა მხოლოდ ოცი პროცენტი აწერს წერილს თავის სახელსა და გვარს. დარწმუნებული ვარ, რომ იგივე მოხდებოდა საბჭოთა კავშირის დროსაც. არ მგონია, რომ დროისა და რაღაც ეკონომიკური კატაკლიზმების ბრალი ყოფილიყოს ის, რომ ასეთი შედეგი მივიღეთ. მე ვსწავლობდი საბჭოთა კავშირის დროს და მახსოვს - სკოლაში წერილის წერასა და მსგავს რამეს საერთოდ არავინ გვასწავლიდა. წერილი სკოლაში 11 წლის განმავლობაში არასდროს დამიწერია. თხზულებებს კი ვწერდით, მაგრამ ვწერდით იმას, რასაც მასწავლებელი ჩვენგან ელოდა. წინასწარ ვიცოდი, რა უნდა დამეწერა ამ თხზულებაში და ისიც, როგორ უნდა დამეწერა; აქ არავითარ შემოქმედებაზე არ იყო ლაპარაკი. არ არსებობდა სტრუქტურის არანაირი სწავლება. ვერანაირად ვერ მიხვდებოდი, როგორ უნდა დაგესაბუთებინა რამე, როგორ უნდა მოგეყვანა კონტრარგუმენტი და ა.შ. რა თქმა უნდა, მეოთხე კლასის მოსწავლეებს ამას ვერ მოსთხოვ, მაგრამ ასეთი კულტურა არც მაღალ კლასებში არსებობს. წერით კულტურას რაც შეეხება, ვთვლი, რომ საბჭოთა კავშირის დროს იგი ძალიან სუსტად ისწავლებოდა. ახლა მე სკოლაში ისტორიას ვასწავლი, და როდესაც მოსწავლეებს თხზულების დაწერას ვთხოვ, ძალიან იბნევიან. მათ იციან, როგორ დაწერონ თემა იმაზე, თუ როგორ გაატარეს არდადეგები, მაგრამ არ იციან, როგორ დაწერონ გამოკვლევა. რა არის თეზისი იმისათვის, რომ გამოკვლევა ჩაატარო, ამაზე, თითქმის, ვერც ერთი სკოლადამთავრებული პასუხს ვერ გაგცემს. იგივე მდგომარეობა იყო საბჭოთა კავშირშიც. ასე რომ, ამ შემთხვევაში დიდი განსხვავება ნამდვილად არ იარსებებდა.

**ნათელა მაღლაკელიძე:** საბჭოური სკოლა დავანგრიეთ; ახლა მის ნანგრევებთან ვდგავართ და ვფიქრობთ, ბავშვები იქიდან როგორ გამოვიყვანოთ. ამ შენობის დანგრევას სჯობდა, მისი რეკონსტრუქცია ეტაპობრივად ჩაგვეტარებინა. რაც შეეხება საათებს, 80-იანი წლების დასაწყისში როდესაც ხუთდღიან სამუშაო დღეზე გადავედით, მაშინ ქართულის გაკვეთილისათვის პირველ კლასში 11 საათი იყო, ახლა რვა საათია. აი, ბატონო შედეგი სახეზეა.

**გიგი თევზაძე:** თქვენ საიდან იცით, რა შედეგებს მივიღებდით კვლევა მაშინ რომ ჩაგვეტარებინა?

**ნათელა მაღლაკელიძე:** შედეგები არ ვიცი, მაგრამ ჩვენ ყველა იმ დროის პროდუქტები ვართ და, მე მგონი, არ ვართ ცუდები. ახლა მეორე - 1987 წლის მერე ქართულ ენაში სასწავლო პროგრამა არ არსებობს. ეს სტანდარტები, რომლებიც 1997 წელს დაიბეჭდა, მიღებული და გაზიარებული არ არის. ასე რომ, მასწავლებელი თვითდინებაზეა მიშვებული. არ არსებობს ნორმები. მაშინ არა მხოლოდ პროგრამები იქმნებოდა, არამედ დადგენილი იყო, წლის ბოლოს ბავშვს რა უნარ-ჩვევები და ცოდნა უნდა ეჩვენებინა.

**გიგი თევზაძე:** არ მითხრათ, რომ საბჭოთა სისტემა უნარ-ჩვევებზე იყო ორიენტირებული.

**ნათელა მაღლაკელიძე:** არა, ამას არ ვამტკიცებ, მაგრამ იმის თქმა მინდა, რომ ახლა უარესია. 1987 წლის მერე პროგრამას რომ არ გამოსცემ, რაზეა იქ ლაპარაკი? რამდენი ხანია, ქართული ენის სახელმძღვანელოზე კონკურსი არ გამოცხადებულა. ვალერიან რამიშვილის მოსწავლე ვარ, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ მისი წიგნები საბჭოთა პერიოდში შეიქმნა და დღეს სკოლაში აღარ უნდა ფუნქციონირებდნენ. ეს ანაქრონიზმია. მაგრამ, მოგვცა ვინმემ საშუალება, რომ ეს წიგნები გადაგვეხალისებინა და ახლებური აპარატით, ახლებური მეთოდიკით შეგვეტანა სკოლაში?! მესამე - მოშლილია სკოლამდელი განათლების სისტემა, და თუ მაგალითები უცხოეთიდან მოგვყავს, მაშინ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ინგლისში, საფრანგეთში, სკოლამდელი განათლების გარეშე, ბავშვს სკოლაში არ იღებენ.

**მიზეზი?!**

**ნათელა ვასაძე:** მე მიზეზად ვთვლი სკოლამდელი აღზრდის სისტემის მოშლასაც. სახელმწიფო ბაღები განადგურდა; შეიქმნა უამრავი კერძო ბაღი საკუთარი მიდგომებით და მეთოდიკით. ერთმა სპეციალისტმა ცენტრის თანამშრომლებს შეკითხვაც დაუსვა - კვლევისას იყო თუ არა გათვალისწინებული, გამოიარეს თუ არა ბავშვებმა ეროვნული სკოლამდელი საგანმანათლებლო პროგრამა. ვიდრე საკითხი ასე არ დადგება – კი, ბატონო, იყოს კერძო, უცხოური ბაღები, მაგრამ თუ არ იქნა მთავარი - ეროვნული მიმართულება, ეროვნული სულიერება, შედეგი უარესი გვექნება.

**გიგი თევზაძე:** რაც შეეხება ბაღებს, სკოლამდელ აღზრდას, ინგლისში, მაგალითად, სხვა ვითარებაა. იქ ეს სისტემა სკოლაში შედის. ისეთი ქვეყნებიც კი, როგორებიც გერმანია და ჰოლანდიაა, სკოლამდელ განათლებას ვერ უზრუნველყოფენ. ძალიან ბევრ ქვეყანაში ბავშვები სკოლაში წინა საფეხურის გარეშე მიდიან, მაგრამ ეს სკოლას პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებს. ეს არ არის შემდეგ მათი წარუმატებლობის მიზეზი. საერთოდ, ძალიან კარგი იქნება, რომ სახელმწიფომ წინასაკოლო განათლების სიტემა მთელ ქვეყანაში გაშალოს, მაგრამ ეს დღეს აბსოლუტურად შეუძლებელია. ბაღი გამოსავალი არ არის.

ყველას გიმოგზაურიათ და რეგიონების სკოლებში შესულხართ. ყველამ იცით, რამხელა განსხვავებაა მოსწავლეების ქცევაში, როცა სტუმარია ჩასული მათ "შესამოწმებლად". მაგრამ რამხელა განსხვავებაა პირველკლასელსა და მესამეკლასელს შორის. პირველკლასელი ღიაა, მესამეკლასელი "გაყინულია". მაღალკლასელებზე აღარაფერს ვამბობ. ბავშვი გამორთულია, ვერ გელაპარაკება, იბნევა.

ყველაზე მეტი საათი კი ქართულ ენაშია – საშუალოდ, თვეში 60 საათი, და აქ თუ ასეთი მდგომარეობაა, წარმოვიდგინოთ, რა ხდება სხვა საგნებში.

ეს იმაზე მიგვითითებს, რომ საათების გაზრდა არ ნიშნავს სწავლის ხარისხის მატებას. ჩვენ სკოლებში სასწავლო დღეების რაოდენობა ერთ-ერთი ყველაზე ცოტაა მსოფლიოში და ერთ-ერთი ყველაზე მეტია დღეში საათობრივი დატვირთვის მიხედვით.

ეს მოქმედებს ბავშვზე ფიზიოლოგიურად, ასევე, ფსიქიკურად ძალიან მავნეა ბავშვის ჯანმრთელობისთვის. ამ დასკვნის საფუძველზე, გამოიცა ბრძანება, რომ დატვირთვა უნდა შემცირდეს. ამ ბრძანებაზე თავის დროზე ხელი მოწერილი აქვთ ჯანმრთელობის და განათლების მინისტრებს, მაგრამ არაფერი შეცვლილა

**ნათელა ვასაძე:** რასაც ბატონი ლომაიას პირველ გამოსვლებში განსაკუთრებით მივესალმე, ეს იყო მის მიერ განგაშის ატეხვა ჩვენი მოსწავლეების ჯანმრთელობის გამო. პედაგოგიკაში ძალიან მნიშვნელოვანია ის სფერო, რომელიც სასწავლო პროცესში მოსწავლის ჯანმრთელობას განიხილავს. გაუბედურებული ჯანმრთელობის ბავშვები გვყავს სკოლაში და უარესი იქნება, თუ არ გავატარეთ შესაბამისი გარდაქმნები.

**ნათელა იმედაძე:** ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება აუცილებელია. დაწყებითი კლასის მოსწავლეს აქვს საუკეთესო ინტელექტუალური პოტენციალი და ის, რომ ჩვენ ვერ ვახერხებთ ამის ამოქმედებას, სავალალოა. მაგრამ, ამავე დროს აქვს გარკვეული შეზღუდვები, ყურადღების კონცენტრირება დიდხანს არ შეუძლია და სხვა. საერთოდ კი, ის საკმაოდ უსუსურია და, ნებისყოფის გამოვლენის თვალსაზრისით, საკმაოდ დაბალ დონეზეა. თქვენ რომ შეადარეთ პირველი და მესამე კლასელი, ეს მაინც მასწავლებლის ავტორიტარულობის შედეგია. მესმეკლასელს არ შეუძლია თავის გამოვლენა. გეთანხმებით, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს პროგრამას, მეთოდებს, სახელმძღვანელოს, მაგრამ შემოქმედი მასწავლებელია. აუცილებელია დაწყებითის მასწავლებლის პრესტიჟის ამაღლება, ასევე - პროგრამის განტვირთვაც. ჩვენ ვმუშაობთ პედაგოგიურ ინსტიტუტში და ძალიან გვჭირდება სამინისტროსთან თანამშრომლობა.

**ნათელა ვასაძე:** ჩვენ ახლა არ დაგვიწყია ტესტირება, უბრალოდ, წინ წამოვიდა, თორემ საქართველოში ტესტირებას საუკუნის ისტორია აქვს. უდიდესი შრომა გასწია ცენტრმა, არნახული, მაგრამ ამ ეტაპზე კორექტივი თუ არ შევიტანეთ და ასე გავაგრძელეთ, უარეს მდგომარეობაში ჩავვარდებით. აი, PISA ტესტით, გერმანელები 36-ე ადგილზე გავიდნენ და გერმანიამ ეს ეროვნულ ტრაგედიად გამოაცხადა. ჩვენ თუ ამდენი წერა-კითხვის უცოდინარი გვყავს, მაშინ ვილაპარაკოთ მიზეზებზე.

ყველაზე მთავარი მიზეზი მასწავლებელია, რომელიც დაწყებით კლასებში ასწავლის. მე 14 წელი ვიყავი პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი და მაშინაც კი ასე იყო, რომ ყველაზე ადვილი ფაკულტეტი დაწყებითი სკოლის ფაკულტეტია. სინამდვილეში ეს ყველაზე რთული ფაკულტეტია. მე მაქვს თქვენი ოფიციალური ცნობა, რომ დაწყებითი კლასის მასწავლებელთა 60 პროცენტზე მეტი არასპეციალისტია. დაწყებითი კლასის მასწავლებლის მომზადებისადმი დღეს ისეთი აგდებული დამოკიდებულებაა, რომ მათ პოლიტექნიკურ უნივერსიტეტშიც ამზადებენო, - მითხრეს. ე.ი. ყველა უმაღლეს სასწავლებელში ყველაზე ადვილი დასაკომპლექტებელი, ადვილი სასწავლი და იაფი დაწყებითი განათლებაა. თუ ჩვენ დაწყებითი კლასების მასწავლებლის პრობლემა რადიკალური ზომებით არ შევცვალეთ, არაფერი არ გამოვა.

**გიგი თევზაძე:** როდესაც თქვენ ამბობთ, რომ მასწავლებლისათვის პასუხისმგებლობის მოხსნა არ შეიძლება, ესეც განათლების სისტემის ბრალია. ის, თუ მასწავლებელი არ ვარგა, ამაში დამნაშავე ჩვენთან არსებული პედაგოგიური განათლების ძალიან დაბალი დონეა. დაწყებითი კლასების მასწავლებლობა ერთადერთი სპეციალობაა ევროპულ ქვეყნებში, რომელზე შესვლაც პირველი კურსიდან ხდება, იმიტომ, რომ ის ურთულეს სპეციალობად ითვლება. შესაბამისად, ეს ძალიან პრესტიჟული სპეციალობაა და მასწავლებელსაც მაღალი ანაზღაურება აქვს.

**გვანცა ჩხენკელი:** ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი არის ბავშვების რაოდენობა კლასში. როცა კლასში 40 ბავშვია, მასწავლებლის ხელფასი დაბალია,მძიმე სოციალური პირობებია, სწავლის ხარისხზე საუბარი ძნელია. მაგრამ, ტესტები მნიშვნელოვანია იმით, რომ ის ნებისმიერ შემთხვევაში ადეკვატურად ასახავს სახელმძღვანელოებში არსებულ მასალას.

მაგალითად, ყოფითი ლექსიკა; ჩვენ ხომ ათი წლის წინათაც ვიცოდით, რომ სახელმძღვანელოებში საერთოდ არ არსებობს ყოფითი თანამედროვე ტექსტები. კარგია ლიტერატურული მაღალი დონის ტექსტები, მაგრამ თემატიკასაც დიდი მნიშვნელობა აქვს - არ შეიძლება მხოლოდ სოფლის თემატიკა ვასწავლოთ ბავშვებს; ხომ არ შეიძლება ბავშვმა იცოდეს ჭიგო და არ იცოდეს, ჯამი, ლამბაქი.

**დალი გულავა:** მე, დიდი ხანია, დაწყებითი კლასების მასწავლებელი ვარ. მაშინდელი პუშკინის ინსტიტუტი დავამთავრე და ახლა აღშფოთებული ვარ, ხალხი რომ ლაპარაკობს, - ხედავ რა მასწავლებლები გვყავს, როგორ უცოდინარ ბავშვებს ზრდიანო. სკოლაშიც გავიგონე, როგორ ეუბნებოდა ერთი პედაგოგი მეორეს, - გესმის, ხომ ვამბობდი, დაწყებითის მასწავლებლების ბრალია ყველაფერი-მეთქი. თუმცა, ჩემს კლასში ტესტირება არ ჩატარებულა, მაგრამ მე შეურაცხყოფილი დავრჩი; მჭირდება თქვენი დახმარება - რა ვქნა, რა და როგორ ვასწავლო. მე დარწმუნებული ვარ, რომ ვასწავლი და გამოდის, რომ - არა.

**გიგი თევზაძე:** კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ეს არ არის მასწავლებლის ბრალი. მასწვლებელიც ისევეა ამ სისტემის მსხვერპლი, როგორც მოსწავლე. ეს იმ პოლიტიკის ბრალია, რომელსაც სახელმწიფო ეწეოდა, დაწყებული იქიდან, რომ დღეს თვეში ბავშვის სახელმწიფო დაფინანსება 14 ლარია, მაშინ როდესაც სახელმწიფოს ერთი მაწანწალა ძაღლის მოკვლა 16 ლარი უჯდება. მე ისიც მიკვირს, რა შედეგებიც მივიღეთ. თუ ჩვენ ამ ტრაგედიას ყურადღება არ მივაქციეთ და სასწრაფოდ მისი გამოსწორება არ დავიწყეთ, თუ ჩვენ თავი ქვიშაში დავმალეთ, ყოველთვის მსხვერპლებად დავრჩებით - საკუთარი თავის მსხვერპლებად.

## და მაინც რატომ?!

**გიგი თევზაძე:** ეს არ არის მასწავლებლის შეფასება, ისევე, როგორც ეს არ არის მოსწავლის შეფასება და მას ორიანს ამაში არავინ უწერს. მიზეზი აქ ბევრად უფრო სხვა და ბევრად უფრო სერიოზულია. ის შედეგები, რაც ჩვენ ამ სფეროში მივიღეთ, ეროვნული უბედურებაა. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, როდესაც ჩვენ სხვა შეფასებებს ჩავატარებთ, მათემატიკაში იქნება ეს, თუ საბუნებისმეტყველო საგნებში, იგივე შედეგებს მივიღებთ, ან - უარესს. ის სისტემა, რომლითაც კვლევა ჩატარდა, სავსებით სანდოა; ცდომილება, შეიძლება, 2% იყოს. ჩვენ რომ ახლა სირაქლემების პოზა მივიღოთ და ვილაპარაკოთ, რომ პროცენტი არ არის სწორი, ეს იმ ყოვლად მიუღებელი სისტემის გაგრძელება იქნება, რომელშიც ათი წელი ვცხოვრობდით. მეთოდი, რომლითაც გამოკვლევა ჩატარდა, აღიარებული მეთოდია. მეტსაც გეტყვით, კვლევა უფრო შერბილებულად ჩატარდა, ვიდრე უნდა ჩატარებულიყო. PISA-ს, ან PILS-ის მიხედვით რომ გვესარგებლა, ბევრად უარეს შედეგს მივიღებდით. ეს სპეციალურად გაკეთდა. გავითვალისწინეთ ის, რომ მოსწავლეები არ არიან ამ სისტემას შეჩვეულნი და არც მასწავლებლებს აქვთ ამის გამოცდილება. გერმანიაში PISA რომ ჩაატარეს, იქ, რამდენიმე ნაციონალისტურად განწყობილი გერმანელი პროფესორის გარდა, არავის დაუწყია, რომ შედეგი არასწორია. დასხდნენ და მიზეზებს დაუწყეს ძებნა. აღმოჩნდა, რომ არასწორადაა განაწილებული დაფინანსება - არსებობს გიმნაზიები, რომლებიც მშვენივრად ფინანსდება, მეორე მხრივ კი არის სკოლები, სადაც გერმანელებმა მოახერხეს და ყველა არაგერმანელი შეყარეს, რადგან მათ ცუდი აკადემიური მოსწრება ჰქონდათ. ამიტომაც, მიიღეს ეს კატასტროფული შედეგი და ახლა მის გამოსწორებაზე მუშაობენ. მათ იციან, რომ გერმანიის მომავალი იმათზეა დამოკიდებული, ვინც იმ დიდ შკალაში მოექცა, რომელთაც კარგი შედეგები ვერ აჩვენეს და არა იმ მცირე პროცენტზე, რომლებმაც ტესტი დაძლიეს. თუ PISA-ს შედეგებს დავაკვირდებით, მიღებული შედეგების ერთ-ერთი მიზეზი ცხრილზევე კარგად ჩანს, რომელიც ფინეთით იწყება და პერუთი მთავრდება.

გაგრძელება A7 გვერდზე




დისკუსია "24 საათის" რედაქციაში.

ლევან ხერხეულიძის ფოტოები

unicef

# გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF)

ვაკანსია *GEO-04-009*

**გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლის მდივანი**

❑ თანამდებობაზე შერჩეულმა პიროვნებამ უნდა შეასრულოს წარმომადგენლის პირადი თანაშემწისა და მდივნის ფუნქციები

**პირობები**

❑ კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე

**დასაქმების პირობები**

❑ საწყისი პერიოდის შემდეგ გაფორმდება ერთწლიანი ხელშეკრულება (შემდგომში გაგრძელების შესაძლებლობით). ხელშეკრულება გაფორმდება გაეროს სისტემის GS-5-ის თანამდებობის შესაბამისი სახელფასო და სხვა პირობების სრული დაცვით.

**სამუშაოს დაწყება**

❑ დაუყოვნებლივ

**ძირითადი მოვალეობები**

1. წარმართოს ხელმძღვანელი ოფისის ფუნქციონირება - აწარმოოს ყოველდღიური განრიგი/მოაწყოს შეხვედრები მაღალი თანამდებობის პირებთან/გაატაროს რეგისტრაციაში შემოსული კორესპონდენცია/მოამზადოს წერილები/უპასუხოს სატელეფონი ზარებს
2. თარგმნოს შემოსული კორესპონდენცია და სხვა სახის დოკუმენტები (ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). შეაჯამოს ანგარიშები განხილვისათვის, მოამზადოს შეხვედრების ოქმები
3. მონაწილეობა მიიღოს მიღებების, კონფერენციებისა და ტრენინგების ორგანიზებაში
4. შეასრულოს ზეპირი თარგმანი შეხვედრებსა და პრეს-კონფერენციებზე
5. შეასრულოს წარმომადგენლის მგზავრობისათვის საჭირო ყველა სამუშაო: სამივლინებო საბუთების მომზადება, სასტუმროების დაჯავშნა და ა.შ.
6. ურთიერთობა იქონიოს UNICEF-ის პარტნიორებთან: სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებთან, გაეროს სხვა სააგენტოებთან და UNICEF-ის სხვა ქვეყნების წარმომადგენლობებთან.
7. მოამზადოს შეხვედრების მასალები და აწარმოოს ოფისის არქივი

**წარმატებული კანდიდატისთვის სავალდებულო პირობები**

❑ სრული საშუალო განათლება, კომპიუტერული (კერძოდ Word-ისა და Excel-ის პროგრამები) ცოდნა. სასურველია უმაღლესი განათლების ქონა შესაბამის სფეროში.

❑ 3-6 წლიანი მდივნად, მათ შორის აღმასრულებელი თანამდებობების პირების პირად თანაშემწედ, მუშაობის გამოცდილება.

❑ სრულყოფილი ზეპირი და წერილობითი თანგმანის შესრულების შესაძლებლობა ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებზე.

❑ მაღალი ენთუზიაზმი და სასიამოვნო პიროვნული თვისებების ქონა, რაც დაეხმარება სამუშაოს კეთილსინდისიერ შესრულებაში

*დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: თავფურცელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე, დაწვრილებითი რეზიუმე და შევსებული UN გაეროს პირადი ისტორიის ფორმა UNICEF-ის ოფისის ადმინისტრაციულ განყოფილებაში შემდეგ მისამართზე: თბილისი, ერისთავის 9, გაეროს სახლი, IV სართული სამუშაო დღეებში დილის 9 სთ-იდან საღამოს 6 საათამდე, შაბათისა და კვირის გარდა ტელ: 23 23 88/25 11 30.*

*გაეროს პირადი ისტორიის ფორმები შეგიძლიათ მიიღოთ გაეროს ოფისში. დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, დალუქულ კონვერტში წარწერით VACANCY ANNOUNCEMENT GEO-04-009.*

***დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოთ არა უგვიანეს ა.წ. 31 მაისი 18 საათისა.***

**UNICEF-ის ოფისში თამბაქოს მოწევა აკრძალულია.**

**მივესალმებით წინადადებებს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ქალებისაგან.**

# რაზეა დამოკიდებული მომავალი

## წიგნის სახლში - წიგნიერების შესახებ

ნინო ცინცაძე

*შაბათს, !5 მაისს წიგნის სახლში განათლების სამინისტროს წარმომადგენლებმა საზოგადოებას შეფასების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ტესტირების შედეგები წარუდგინეს. რადგან პრეზენტაცია წიგნის სახლში მიმდინარეობდა და მსმენელები, ძირითადად, მწერლები და ლიტერატორები იყვნენ, მომხსენებლებმა - ქალბატონებმა ნინო გორდელაძემ და თამარ ოთხმეზურმა ყურადღება კითხვის პრობლემაზე უფრო გაამახვილეს. რამდენად შეუძლიათ ბავშვებს წიგნთან ურთიერთობა? აღმოჩნდა, რომ დაწყებითი კლასების დამთავრების შემდეგ ყოველ მეხუთე ბავშვს უჭირს გაარჩიოს, რომ ვაჟა-ფშაველას "სათაგური" ქართული მოთხრობაა, ხოლო ასტრიდ ლინდგრენის "კარლსონი" - თარგმნილი. მათ ლადო ასათიანის ლექსების კრებული სასკოლო სახელმძღვანელო ჰგონიათ და სარჩევით სარგებლობა არ შეუძლიათ. მთავარი თემის აღმოჩენა ბავშვებმა უფრო ადვილად მოკლე საინფორმაციო ტექსტში მოახერხეს, მხატვრულში კი გაუჭირდათ. როდესაც ჯერი საუკუნეების გამოთვლაზე მიდგა, მოსწავლეთა დიდმა პროცენტმა მათემატიკაში მიღებული თეორიული ცოდნა ლიტერატურაში ვერ გამოიყენა. ერთობ არაკანონზომიერადაა განაწილებული მასალა გრამატიკის სფეროში. აღმოჩნდა, რომ მასალის 72 პროცენტი მხოლოდ იმ მაღალი მოსწრების ბავშვზეა გათვლილი, რომელიც კლასში საკმაოდ ცოტაა. მოსწავლეთა 48 პროცენტი წერის ელემენტარულ ჩვევებს ვერ ფლობს. საბოლოოდ კი, შეიძლება ითქვას, რომ მეხუთე კლასში გადასასვლელად მზად მხოლოდ მოსწავლეთა 42 პროცენტია; დანარჩენები სასწავლო სივრცის გარეთ არიან დარჩენილები, მით უმეტეს, რომ მე-5 კლასის პროგრამაში უკვე "ფსალმუნნი" და "სიბრძნე ბალავარისა" შედის.*

**ზაალ სამადაშვილი, მწერალი:** ძალიან საინტერესოდ წარმოჩინდა ყველაფერი, მაგრამ, სამწუხაროდ, საქმე ძალიან შემაშფოთებელ საინტერესოობასთან გვაქვს. ჩემი და ჩემი მეგობრების აქ მოსვლის მიზანი იყო ის, თუ რა მოვიფიქროთ, რა შეიძლება გაკეთდეს ჩვენი მხრიდან, ეს უსერიოზულესი პრობლემა რომ დავძლიოთ, და თანაც - რაც შეიძლება, სწრაფად. რეფორმა ძალიან სწრაფი ტემპით უნდა განვითარდეს და მასში, რაც შეიძლება, მეტი ადამიანი უნდა ჩაერთოს. ეს საზოგადოების ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა და პრიორიტეტი უნდა გახდეს. ჩართულობაში არა მხოლოდ ჩემს მეგობრებს, მწერლებსა და ლიტერატორებს ვგულისხმობ, არამედ საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. შეხვედრები კიდევ უნდა გაგრძელდეს, მაგრამ ისინი მხოლოდ შეხვედრებად არ უნდა დარჩეს. კიდევ გავიმეორებ, რომ საზოგადოება, რაც შეიძლება, აქტიურად უნდა ჩაერთოს რეფორმაში; პასუხისმგებლობა მხოლოდ სამინისტროს არ უნდა შევატოვოთ.





**მამუკა ხერხეულიძე, ჟურნალისტი:** სავალალო მდგომარეობაა. წელან აქ ზალდასტანიშვილის მიერ დაარსებული ამერიკული სკოლის მაგალითი დასახელდა. სანამ იმ სკოლაში ჩემს შვილს გადავიყვანდი, სულ კითხვის პრობლემა გვქონდა, ახლა უკვე წიგნებს თვითონ ეძებს და კითხულობს. რა მოხდა? - ე.ი. დააინტერესეს. ეს მთელ მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია. ბავშვებს აყვარებენ ლიტერატურას, კითხვას. შესაქმნელია მეთოდოლოგია, რომელიც არ იქნება თარიღებითა და საზეპიროებით გატენილი, იძულების წესით მიწოდებული. ბავშვმა მოცემული ტექსტიდან უნდა გაიაზროს, როგორი იყო იმ დროის ისტორიული რეალობა. ქართული ლიტერატურაც და ისტორიაც მსოფლიო რეალიებისაგან მოკვეთით არ უნდა ისწავლებოდეს. ის აგრესია, რაც ახლა განათლების სამინისტროს წინააღმდეგაა მიმართული, არის დაპირისპირება პროგრესსა და რეგრესს შორის. საზოგადოებაში განათლებული ადამიანების დიდი დეფიციტია; რევოლუციის მერე ეს განსაკუთრებით გამოჩნდა. ლაპარაკია, თითქოს, ჩვენ ვიღაც რაღაცას გვართმევს – თითქოს, ქართულს, ეროვნულს და მართლმადიდებლობას საფრთხე ემუქრება, აბსურდია. განათლებულ, თავის თავში დარწმუნებულ ადამიანს და, მით უმეტეს, ერს ასეთი ეჭვები არ უჩნდება. ოცსაუკუნოვანი კულტურის ქვეყანას ვინ უნდა წაგვართვას რამე? მონღოლებმა, სპარსებმა, არაბებმა, რუსებმა და ბოლოს ათეისტმა კომუნისტებმაც კი ვერ მოახერხეს ჩვენთვის სარწმუნოების წართმევა. ამაზე ლაპარაკი ცოტა მკრეხელობადაც კი მიმაჩნია. უბრალოდ, სკოლაში სწავლების წესის ძველი, კომუნისტური და რეტროგრადული გადმონაშთია შესაცვლელი, გასამარტივებელი. დარწმუნებული ვარ, რომ კახა ლომაიას კომენტარი, თითქოს, ჰაგიოგრაფია მკვდარი ტექსტია, კონტექსტიდანაა ამოგლეჯილი. ის მკვდარი ტექსტი ხდება მაშინ, როდესაც ბავშვს ცუდად მიეწოდება, როდესაც ბავშვი ამ ტექსტს ვერ ინელებს. სწავლების მეთოდი უნდა გახდეს უფრო ინერაქტიული და თავისუფალი. რაღაცნაირად, სწავლების თანამედროვე სტანდარტებს უნდა მივუახლოვდეთ.

**ვახო ბაბუნაშვილი, ჯგუფი Soft Eject:** მართლაც, რეალურად შემაშფოთებელი ინფორმაციაა. გულის სიღრმეში, ალბათ, ყველა ჩვენგანმა ვიცოდით, რომ ასეთი მდგომარეობა იყო. მაგრამ, ეს გამოკვლევა მაინც ძალიან მნიშვნელოვანია. მასში დიდი შრომაა ჩადებული და თვალნათლივ გაჩვენებს, რა სურათიცაა. ალბათ, პირველ ყოვლისა, თავად ბავშვის ინტერესებიდან უნდა გამოვიდეთ. სწავლა უნდა გახდეს თითოეულ ბავშვზე ორიენტირებული, ურთიერთობაში მთავარი პერსონა ბავშვი უნდა გახდეს; მთავარი მიზანი ის უნდა იყოს და არა სამინისტროს, სკოლისა და პედაგოგის მიერ "გავლილი მასალა". აუცილებლად შესაცვლელია დაინტერესების მეთოდიკა, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ პედაგოგების დიდი პრობლემაც გვაქვს. ვშიშობ, ტესტირება პედაგოგებში რომ ჩატარებულიყო, უკეთეს შედეგს არ მივიღებდით. ეს პრობლემა მოსახსნელია მასწავლებლების ტრეინინგით, თუ რაიმე სხვა, უფრო რადიკალური მეთოდით.

საზოგადოება რეალურად სამ ნაწილადაა დაყოფილი. ერთი ნაწილი სრულიად ინდეფერენტულია და საერთოდ არ აინტერესებს, რა ხდება ამ სფეროში და სხვაგანაც. მეორე ნაწილს უკეთესობისკენ უნდა ცვლილება, იმ დიდი გამოცდილების მიხედვით, რაც მთელ მსოფლიოს აქვს, რადგან იმან, რაც აქამდე იყო, ამ შედეგებამდე მიგვიყვანა. მესამე ნაწილი კი ამ ყველაფერს სრულიად უსაფუძვლოდ ერჩის. მათი არგუმენტია, რომ ამათ (ეს "ამათ" ზოგჯერ მასონებად მიაჩნიათ, ზოგჯერ - სოროსის ლაქიებად), ვითომ, ერის დაკნინება, გაუფასურება და მართლმადიდებლობის დამხობა უნდათ. უმეტესწილად ამ PR-ს აწარმოებს ის ხალხი, რომელსაც, ჩემი აზრით, არანაირი კავშირი არ აქვს მართლმადიდებლობასთან. რაც შეეხება ასეთი ადამიანების პოლიტიკურ სპექტრს, ისინი საერთოდ უნამუსოები არიან. მათ, ჩემი აზრით, არანაირი უფლება არ აქვთ, ამ თემებზე და, საერთოდ, ქვეყნის კეთილდღეობაზე ილაპარაკონ.



**აჩიკო გულედანი, ჯგუფი "მწვანე ოთახი"**: ეს საყოველთაო არაფერის კეთების შედეგია. ასეთი ბავშვები ახლა თუ არ მობრუნდნენ კითხვისკენ, ქართულად წერის უმარტივეს უნარებს ვერ ჩავუნერგავთ; ყველაფერს აზრი ეკარგება. ეს ჩვენი მომავალი თაობაა. რაც უნდა გააკეთოს ახლანდელმა მთავრობამ, არაფერი შეიცვლება, თუ ჩვენს მომავალს არ ეშველა. ჩვენ ყველანაირად უნდა დავეხმაროთ ამ ბავშვებს, რომ წიგნიერებისაკენ შემობრუნდნენ. უნდა ვიაროთ სკოლებში, ველაპარაკოთ. კიდევ ერთხელ უნდა ვთქვა, რომ ამ ყველაფერს არანაირი კავშირი არა აქვს ლიტერატურის პროგრამიდან ამოღებასთან. ახლა ნაცნობებთან უბანში, ქუჩაში მიწევს იმის მტკიცება, რომ ჩვენს ლიტერატურას საფრთხე არ ემუქრება. უბრალოდ, ამას სხვანაირი მიდგომა სჭირდება - ბავშვს რაღაცას არ უნდა აზუთხინებდე და მერე სამუდამოდ არ უნდა აძულებდე.



**ლაშა ბუღაძე, მწერალი:** კარგია, რომ ამაზე საუბარი დავიწყეთ. პათეტიკის, სადღეგრძელოების დონეზე ვიყავით - ო, რა კარგები ვართ! რა განათლებულები ვართ! და რა მშვენივრად არის საქმე! ამ დროს, სამწუხაროდ, საქმე ასე სულაც არ არის. წიგნის მიმართ მოთხოვნილება არსებობს, მაგრამ მისი მიწოდება ან საერთოდ არ ხდება, ან არ ხდება შესაბამისი ფორმით. წიგნს აუცილებლად სჭირდება მითითება და პროვოცირება, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით, მაგრამ სამწუხაროდ, ეს სკოლაში არ ხდება. ჩემი აზრით, აუცილებელია, ჩატარდეს მასწავლებლების ატესტაცია. ვფიქრობ, ერთეული გამონაკლისების გარდა, ტოტალურად ძალიან ცუდი მდგომარეობაა. ახლა, ყოველგვარი პათეტიკის გარეშე, ისეთივე სიტუაციაა, რაც 100 წლის წინათ იყო, როდესაც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება გახდა საჭირო. უნდა მოხდეს კლასიკური ტექსტების ხელახალი რეპრეზენტაცია. როდესაც მოსწავლეს მე-7-8 კლასში აიძულებენ, ისწავლოს ვეფხისტყაოსანი, ჰაგიოგრაფია - ეს გენიალური ქმნილებები, თან სთხოვენ, დაიზეპიროს დიდი პასაჟები კომენტარებთან ერთად, ეს ბავშვს ყველანაირად აძულებს ტექსტს. ასეთი ტექსტები, რა თქმა უნდა, ბოლო კლასში უნდა გადავიდეს, როდესაც მოსწავლე ასეთი რაღაცების აღსაქმელად უფრო გახსნილი ხდება. როდესაც გყავს ცუდი მუსიკის მასწავლებელი, რომელიც სახაზავს გირტყამს ხელზე, მერე მთელი ცხოვრება გძულს კლასიკური მუსიკა; როდესაც გყავს მასწავლებელი, რომელიც ტექსტს რაღაც სტერეოტიპებით გასწავლის, ტექსტის მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულება გიჩნდება. შუშანიკზე, მაგალითად, ისტერიული მასწავლებელი გახსენდება დამახასიათებელი ბრაზიანი ინტონაციითა და დეპრესიული განწყობით. სრული დემაგოგიაა, როდესაც ვიღაცები ავრცელებენ ხმებს, თითქოს, ჰაგიოგრაფია პროგრამიდან ამოღებული უნდა იყოს (და მერე ამ პრობლემის მოგვარებას საკუთარ თავს მიაწერენ ხოლმე ნ.ც.) ეს ხომ სისულელეა. როგორ შეიძლება ამის ამოღება? ამაზე დიდ განძს ხომ ვერ ნახავ? შუშანიკი პირველი რომანია - ქართული შედევრი თავისი სიუჟეტით, ენით და ა.შ. მთავარია,



როგორ მივაწოდებთ მას ბავშვს. არ უნდა შეიქმნას განწყობა, რომ ეს მხოლოდ სავალდებულო სფეროა. ქართული კლასკური ლიტერატურა მოსწავლისათვის ყველაზე კომფორტული სივრცე უნდა იყოს.

# „ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი"

ლელა პატარიძე

ბოლო ხანს განათლების სამინისტრომ თავისი ინიციატივით ჩატარებული კვლევის შემაშფოთებელი შედეგები გამოაქვეყნა: დაწყებითი კლასების მოსწავლეთა თითქმის ნახევარს წერა-კითხვის პრობლემები აქვს. ბავშვები მზად არ არიან, დაძლიონ მეხუთე კლასის სასწავლო მასალა; რაც ნიშნავს იმას, რომ საშუალო განათლების დონე საქართველოში კატასტროფულად დაბალია; რაც ნიშნავს იმას, რომ წერა-კითხვის უცოდინარი მოზარდი საერთოდ ნებისმიერი ხარისხის და სირთულის განათლების გარეშე რჩება. აქედან გამომდინარე ყველა სოციალური, კულტურული და გინდაც პოლიტიკური შედეგი ნათელია.

საზოგადოების რეაქცია ამ შეტყობინებაზე მყისიერი იყო. უმალ შემოჰკრეს განგაშის ზარი, მაგრამ ძირითადად არა იმის გამო, რომ სასწრაფოდ დასამუშავებელია და შესაცვლელი სწავლების მეთოდი და სტილი, არა იმის გამო, რომ არც სკოლის მასწავლებლებს აქვთ საჭირო და დამაკმაყოფილებელი პროფესიული კომპეტენცია და არც სასწავლო და მეთოდური სახელმძღვანელოებით ვართ აღჭურვილი იმგვარად, რომ განათლებული და, მაშასადამე, სოციალურად სრულფასოვანი თაობა აღვზარდოთ. არა... საზოგადოება შიშმა მოიცვა: სხვადასხვა სამეცნიერო, პოლიტიკური წრეებიდან, სხვადასხვა საზოგადოებრივი ასოციაციებისა და ლიგების მხრიდან გაისმა საყოველთაო პანიკის მთესველი შეტყობინება: „გვართმევენ ჰაგიოგრაფიას, გვართმევენ ისტორიას"!

როგორი ნაცნობია ეს პათოსი. როგორ ჰგავს ის რამოდენიმე წლის წინ ატეხილ განგაშს იმის თაობაზე, რომ შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების ნიმუშების ექსპოზიციის მოწყობა ამერიკის შეერთებულ შტატებში კატასტროფას უქადდა ჩვენს ეროვნულ საგანძურს, ანდა პირადობის დამადასტურებელ საბუთებში ეროვნების აღმნიშვნელი გრაფის შენარჩუნების მოთხოვნით ატეხილ აურზაურს...

რა არის ეს? რა ფენომენთან გვაქვს საქმე? თუ კარგად დავუკვირდებით და გავსინჯავთ, მასობრივი მღელვარების ამ პერიოდულ შემოტევებს ერთი საერთო ნიშანი აქვს. ყოველი მათგანი მიმართულია იქითკენ, რომ არსებული (საბჭოთა პერიოდში ) სტატუს-კვო შენარჩუნდეს: ჩვენი კულტურის საგანძური ისევე უნდა იყოს საქართველოს ფარგლებში ჩაკეტილი, როგორც საბჭოთა პერიოდში იყო, პასპორტში ისევე უნდა გვეწეროს ეროვნება - ქართველი, სომეხი, რუსი, უკრაინელი, როგორც საბჭოთა პერიოდში ეწერა. ახლა განათლების სისტემაში რეალურ ცვლილებებზე მიდგა საქმე. თურმე ცვლილებებიც ამ დარგში რაღაცის წართმევად და დაკარგვად უნდა იქნას კვალიფიცირებული. თითქოს ჩვენი შვილების უმეტესობამ იცის ჰაგიოგრაფია, „ვეფხისტყაოსანი", გინდაც, ილია და ვაჟა, უყვარს და კითხულობს ამ ლიტერატურას, ფიქრობს, მსჯელობს მათ მხატვრულ ღირსებებზე და აი, ახლა ვიღაცას უნდა, რომ ეს ყველაფერი მათ წაართვას.

მოდით ვთქვათ პირდაპირ, რომ სწორედ საბჭოური ცხოვრების გამოცდილებას ვერ ველევით, გვეშინია მომავლის, ცვლილების, სიახლის და ყოველივე ამას პატრიოტული, ეროვნული და რელიგიური პათოსით ვფარავთ.

„წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო," - მახსენდება ეს ანდაზა. მაგრამ არა იმიტომ, რომ მინდა პირდაპირ და სწორხაზოვნად ქართველობა წყალწაღებულს და ჰაგიოგრაფია ხავსს შევადარო. ვიცი, არც ჰაგიოგრაფია და არც ზოგადად ლიტერატურა და სიტყვიერება ხავსი არ არის. მჯერა, რომ არც ქართველობაა წყალწაღებული. მაგრამ მაინც მაწვალებს ეს შედარება, რადგან ჩვენი საზოგადოების ამგვარი რეაქცია დამხრჩვალის, წყალწაღებულის ფსიქოლოგიას მაგონებს - ოღონდაც რამეს ჩაეჭიდოს, ჩაებღაუჭოს, ხელი არ გაუშვას. ეს არ არის მომავალზე, განვითარებაზე, ზრდაზე ორიენტირებული ხალხის ფსიქოლოგია.

თუ მართლა ქრისტიანულ ლიტერატურაზე ვართ აღზრდილები და ვიცნობთ ქრისტიანობის ისტორიულ გამოცდილებას, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ქრისტიანებმა უშიშრად და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე თავი ახალ ხალხად (*კაინონ გენონ* - ძვ. ბერძ.) გამოაცხადეს, რწმენისა და ჭეშმარიტების მაძიებელი მზერა მომავალს მიაპყრეს და წარსულს ზურგი შეაქციეს. თუ ცოტა რამ იყო ანტიკურ და, გინდაც, ძველი აღთქმის კულტურაში ხელმოსაჭიდი და ჩასაბღაუჭებელი?! პირველი ქართველი ქრისტიანი მეფე - მირიანი სიკვდილის წინ დაწერილ წერილში თავის თავსა და მის ხალხს ჩვილ უმეცარ ბავშვებს ადარებს. კარგად გასაგებია, რასაც ნიშნავს სახელმწიფოს მეთაურის ეს განცხადება - ის ისტორიის ერთ ფურცელს გადაშლის და თავიდან იწყებს.

ძლივს ვეღირსეთ იმას, რომ სათანადო სახელმწიფო სამსახურში აღმოჩნდა ხალხი, რომელმაც დასვა პრობლემა და ეძებს მისი გადაჭრის გზებს. ერთ-ერთ ასეთ გზად განათლების მინისტრს სასკოლო პროგრამის გამარტივება მიაჩნია. ეს საკითხი საჯარო განხილვის საგანი უნდა გახდეს უდავოდ, მაგრამ არა ისე, როგორც გვჩვევია ხოლმე აქცენტების გადატანა რაღაც ირაციონალურ შიშებზე. საერთო ძალისხმევით უნდა გავერკვეთ იმაში, თუ რატომ არის ახალი თაობა გაუცხოებული საკუთარ წარსულთან, რატომ არ აინტერესებს მას ძველი და ასევე ახალი დროის (XIX-XX სს-ის) ქართული ლიტერატურა და ისტორია? ეს ლიტერატურა არ პასუხობს იმ კითხვებს, რომელსაც თანამედროვეობა სვამს ახალი თაობის წინაშე? ყველაფერი თავად ლიტერატურის ბრალია? იქნებ არ არის ამ ლიტერატურაში მარადიული ადამიანური ღირებულებები? საბედნიეროდ, ეს ასე არ არის - ეს ყველამ კარგად ვიცით.

კიდევ ერთი სიმართლის აღიარება მოგვიწევს. ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობა და ისტორიოგრაფია საბჭოურ და მარქსისტულ იდეოლოგიასა და ფილოსოფიაზე ძალიან მკვიდრად არის დაშენებული. დღესაც მეხუთე კლასელი ბავშვი ისტორიის სახელმძღვანელოში კითხულობს ზოგად ფრაზებს ბატონყმური უღლისა და მშრომელთა ჩაგვრის შესახებ. ხოლო ისტორიის გმირები გაჭრილი ვაშლივით გვანან ერთმანეთს. ყველა სამშობლოსთვის თავდადებულია, ყველა უმაგალითო გმირია, ყველა „გამაერთიანებელია". ისე წაიკითხავ ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნის, ახალი წელთაღრიცხვის მეხუთე და მეთვრამეტე საუკუნეების ისტორიის პარაგრაფებს, რომ ვერავითარ არსებით განსხვავებას მათ შორის ვერ იპოვნი. დრო საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში თითქოს არც არსებობს. არსებობს მხოლოდ სქემა და მოსწავლეს ისღა დარჩენია, მთელი ძალისხმევა მიმართოს იქითკენ, რომ ისტორიულ პირთა სახელები და თარიღები კარგად დაიზეპიროს იმისათვის, რომ ერთმანეთში არ აურიოს ისინი. მშობლიური ისტორია და ლიტერატურა ბავშვებს მიეწოდება არა როგორც აზროვნებისა და განსჯის საგანი, არამედ როგორც ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილი და გამორკვეული ფაქტების ნაკრები. სწორედ ჩვენი ეროვნული სასკოლო განათლებით იყო დაღდასმული ჟურნალისტის „ჩამჭრელი" შეკითხვა გადაცემაში „არჩევანის ზღვარზე". ჟურნალისტი ეკითხება განათლების საკითხებზე მსჯელობისთვის მოწვეულ მინისტრს - „ვინ არის გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე?". მიაქციეთ ყურადღება კითხვას - „ვინ არის" და არა „ვინ მიგაჩნიათ". მართალია, „სწორი პასუხი", რომელიც ქალბატონმა მარიამ ლორთქიფანიძემ გაახმოვანა (ბაგრატ III), არ ეთანხმებოდა მინისტრის პასუხს, მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ არსებობენ ისტორიკოსები, რომლებიც სრულიად სხვა აზრისანი არიან ამ საკითხზე. მეც მათთან ერთად ვთვლი, რომ პირველი და ერთიანი საქართველოს მეფის სტატუსი სწორედ ფარნავაზს ეკუთვნის. სხვა არა იყოს რა, „ქართლის ცხოვრებაში" ხომ წერია: „ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი". მაგრამ ეს სრულიადაც არ არის მთავარი. სამეცნიერო პოლემიკისთვის არ დამჭირვებია ამ მაგალითის მოყვანა. იქნებ სწორედ ბავშვებს დავასმევინოთ ეს და სხვა ბევრი საკითხი, დაე, იმსჯელონ, იკვლიონ. ისტორიაც ხომ ეს არის, ისტორია ბერძნული სიტყვაა და კვლევა-ძიებას ნიშნავს.

ახლა ქართული ჰაგიოგრაფიის საკითხს უნდა შევეხო, ის ხომ ძალიან აღელვებს ჩვენს საზოგადოებას. განათლების მინისტრის ერთ-ერთ ინტერვიუში დაახლოებით ასეთი აზრი გამოითქვა: ქართული ლიტერატურის სასკოლო პროგრამის გამარტივება შესაძლებელია ჰაგიოგრაფიის ხარჯზე მოხდეს. სანამ გამარტივების ამ სრულიად ლოგიკურ პროცესს შევუდგებით, უნდა განვსაზღვროთ, თუ რაში მდგომარეობს ამა თუ იმ ნაწარმოების ან საგნის სირთულე. სკოლაში ქართული ლიტერატურის შესწავლის პროცესში ყველაზე რთულად ითვლებოდა ქართული წერა. ძველ ქართულ ლიტერატურაში თემის დაწერა სრულიად არ ითვლებოდა უფრო რთულ ამოცანად, ვიდრე ახალ ქართულში. „ძველის" პროგრამიდან კი ითვლებოდა, რომ ყველაზე ადვილი სწორედ ჰაგიოგრაფიის („შუშანიკი" და „ხანძთელი") თემებია. ბევრად უჭირდათ რუსთაველი, გურამიშვილი და სულხან-საბა. ასე იყო მაშინ, როცა ვსწავლობდი და მერეც, როცა მიწევდა აბიტურიენტებისთვის დახმარების გაწევა. ის, რომ მოწაფისათვის მთავარ სირთულეს წერა წარმოადგენს და არა ზეპირი, მიუთითებს იმაზე, რომ უფრო მეტად სწავლების მეთოდშია ხარვეზი, ვიდრე თავად ტექსტის სირთულეში. ბავშვს უჭირს თემის დაწერა ერთადერთი მიზეზის გამო: მას არ ასწავლიან აზროვნებას, ლიტერატურული ტექსტის გაგებას, საკუთარი აზრის გამოხატვას. ამის გარეშე კი წერა შეუძლებელია.

ბუნებრივია, ძველი ქართული ენის გაგებას სირთულეები ახლავს, მაგრამ სამაგიეროდ ჰაგიოგრაფიული ტექსტები შედარებით მცირე მოცულობისაა, მათ მარტივი და ადვილად აღსაქმელი სტრუქტურა აქვთ. თავად ამ ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე, წმინდანის ცხოვრება უნდა იყოს მკაფიო ზნეობრივი პოზიციის მატარებელი. ასე რომ, ამ თხზულებათა გამოყოფას, როგორც განსაკუთრებით რთულისას, ვერ დავეთანხმები. სხვა საკითხია, სჭირდება თუ არა XXI საუკუნის მოსწავლეს ჰაგიოგრაფიის შესწავლა? რამდენად აქტუალურია მისთვის ქრისტიანული ასკეტიზმის პრობლემა? ალბათ, მთავარია ის, თუ როგორ გავიგებთ ჩვენ და როგორ მივაწოდებთ მოსწავლეს არა მხოლოდ ჰაგიოგრაფიას, არამედ საერთოდ ლიტერატურას. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დღევანდელი საზოგადოების ერთ-ერთი მანკიერება სწორედ კონფორმიზმია, წმინდანთა ზნეობრივი მაქსიმალიზმი სრულიად უსარგებლო თემა არ უნდა იყოს. ხოლო, რაც შეეხება ასკეტიზმს, ეს არა მხოლოდ ქრისტიანული, არამედ უნივერსალური მოვლენაა და ადამიანის არსებობის საზრისის ძიების მარადიულ თემას უკავშირდება. მაგრამ, თუ ჩვენ გვინდა, რომ მუდმივად ნებისმიერი ლიტერატურა მხოლოდ ნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის პრიზმაში გატარებული მივაწოდოთ ბავშვებს, ამდენი „პატრიოტული მოტივის" მაგალითი ნამდვილად არ არის საჭირო (და იქნებ არც კი მოიძებნოს ქართულ ლიტერატურაში). ამისთვის XIX საუკუნის ლიტერატურაც საკმაო მაგალითებს გვაწვდის.

ჩემი აზრით, იმისათვის, რომ განსჯის, გაგების, ლიტერატურის გააზრების უნარი განუვითარდეს მოწაფეს, უმჯობესია, რომ მას ენობრივად, ჟანრულად, მსოფლმხედველობრივად მრავალფეროვანი მასალა მივაწოდოთ და მივცეთ საშუალება, აღიქვას დროში კულტურული პროცესის დინამიკა. ამგვარად შერჩეული მასალის მიწოდების მეთოდოლოგიის გაუმჯობესების შემთხვევაში სწავლება უფრო საინტერესო, მიმზიდველი და ხარისხიანი გახდება.

ერის ქმნადობა უწყვეტი პროცესია. ერი იქმნება დიდი და მაღალი მიზნების აღსასრულებლად. ისევე როგორც საერთოდ ადამიანური შემოქმედება, ეროვნული სიცოცხლისუნარიანობაც მიზნობრივ ხასიათს უნდა ატარებდეს და მომავალზე უნდა იყოს ორიენტირებული. საზოგადოებამ, თუ ის ისტორიის ახალ ფურცელს წერს, უნდა იფიქროს, როგორ მოაწყობს, როგორ შექმნის ის ახალ მომავალს და არაფერია ამ კონტექსტში ისე აქტუალური, როგორც ახალი თაობის აღზრდა და განათლება.

# ბავშვები ისწავლიან, თუ განათლების სისტემა გარდაიქმნება

მეექვსე გვერდიდან

მეექვსე გვერდიდან

ყველა იმ ქვეყანაში, სადაც PISA-მ კარგი შედეგი აჩვენა, განათლების დეცენტრალიზებული სისტემაა. მართალია, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ეს კარგად განვითარებული ქვეყნებია, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, თუ როგორ დაიწყეს მათ. ფინეთში ინსპექტორატი 1990 წელს გააუქმეს; იქაც საკმაოდ ცენტრალიზებული სისტემა იყო. ინსპექტორები, ლამის, ჯოხებით დადიოდნენ და ისე ამოწმებდნენ ყველას. მათ სისტემის დეცენტრალიზება 1990 წელს დაიწყეს და 2002 წელს უკვე ასეთი შედეგი მიიღეს.

**თამრიკო ოთხმეზური: რა** თქმა უნდა, ჩვენ გულზე გვხვდება ასეთი გახმაურება, როგორიც გავრცელდა - რომ ყველა მეორე უცოდინარია. შედეგი ისაა, რომ გამოიყო პროცენტი ბავშვებისა, რომელთაც არ აქვთ დაძლეული საშუალოზე დაბალი დონე. ეს ნიშნავს, რომ მოსწავლეთა ეს რაოდენობა ვერ ავლენს იმ ცოდნასა და უნარებს, რომელსაც დღევანდელი სკოლა უნდა აძლევდეს. საკითხი ასე უნდა დავაყენოთ - არის პროგრამა გათვლილი ასაკზე?

**ნინო გორდელაძე:** ამ ორმოც პროცენტში შედიან ბუნებრივად დაბალი მონაცემების ბავშვები, არაქართველებიც, რომლებიც ქართულ სკოლაში სწავლობენ; ის გაყინული თითებიც, ნავთქურის გამონაბოლქვიც. მაგრამ, მეთოდის ხარვეზს, რომ ბავშვი არ არის მთავარი გაკვეთილზე, თვითონ არ არის აღმომჩენი და ვაზუთხინებთ, ეს ხომ ცხადია და ამ პროცენტებს სწორედ ეს მიზეზი ადგენს.

**როგორ უნდა მოვიქცეთ?!**

**სიმონ ჯანაშია**: ჯერ, რა თქმა უნდა, მიზეზები უნდა დადგინდეს და აქედან გამომდინარე უნდა ვისაუბროთ გამოსავალზე. მიზეზებზე საუბრისას ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ დეტალებზე, მაგრამ ფართოდ არა. საბჭოთა კავშირში ზუსტად ვიცოდით, როგორი ადამიანები გვჭირდებოდა და ასეთ ადამიანებს ვზრდიდით. დღეს ჩვენ არ ვიცით, რა ტიპის ადამიანი გვჭირდება. რა არის სკოლის მიზანი, არც მასწავლებელმა იცის, არც მშობელმა და არც არავინ. საჭიროა, საზოგადოების ფართო ფენა შეთანხმდეს იმაზე, თუ რისთვის გვჭირდება სკოლა, რაც ჯერ არ მომხდარა. ამაზე ლაპარაკიც არ არის. ვლაპარაკობთ დეტალებზე - ამდენი საათი აქვს მასწავლებელს და ა.შ. თუ ჩვენ ამის გამოსწორებას აქედან არ დავიწყებთ, არაფერი გამოვა. ვთქვათ, ჩვენ ვიტყვით, რომ გვჭირდება ეროვნული ადამიანები, ცხადია, რომ ეროვნული თვითშეგნება უნდა განვითარდეს, მაგრამ რა გზით ვანვითარებთ ამ თვითშეგნებას? ჩემი პოზიციით, როდესაც ადამიანს უჭირს საკუთარ ენაზე წერა, ეს გაცილებით უფრო დიდი პრობლემაა, ვიდრე ის, რომ მან არ იცის ცხრა ძმა ხერხეულიძის ამბავი. ვფიქრობ, რომ გაცილებით ნაკლებად ეროვნულია ის ადამიანი, ვინც საკუთარ ენაზე ვერ წერს, მაგრამ ახსოვს რაღაც დეტალები თავისი ისტორიიდან. ტესტებში იყო ამის მაგალითები - ბავშვები ძალიან კარგად პასუხობდნენ, რატომ დაიღუპა ცხრა ძმა ხერხეულიძე, მაგრამ ისევ ის მაგალითი რომ ავიღოთ, ბავშვმა არ იცის, როგორ დაწეროს წერილი. აქ უკვე ჩემთვის ეროვნულობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. შეთანხმება უნდა მოხდეს იმაზე, თუ როგორი ადამიანი გვჭირდება. შემძლე ადამიანი გვინდა, თუ კარგი მეხსიერების მქონე; ან რა გვინდა საერთოდ. აქედან დაიწყება უკვე ყველაფრის გამოსწორება, თანაც – სისტემურად. მხოლოდ პროგრამის, სკოლის დაფინანსების, სახელმძღვანელოების და ა.შ. მხოლოდ ერთი კომპონენტის გამოსწორება, თავისთავად, არაფერს ნიშნავს.

**რას ფიქრობს საზოგადოება?!**

**ტატო ძნელაძე:** ჩემი აზრით, მიზეზი ბოლო წლებში არ უნდა ვეძებოთ. ეს იმ დროიდან მოდის, როცა ყველა მერვეკლასელი, ორი დღის აცდენით, ერთსა და იმავე დღეს იწყებდა "ვეფხისტყაოსნის" შესწავლას და, ერთი სათაურის კი არა, თითქმის, ერთი შინაარსის "თემებს" წერდა. როცა განათლების სისტემა საბჭოთა იდეოლოგიას ეფუძნებოდა. ასეთი კვლევა პირველად ჩატარდა და ამიტომ ვართ შედეგების მიმართ ასეთი მძაფრები, თორემ მოულოდნელი ეს არავისთვის უნდა იყოს. რა თქმა უნდა, ეს არც ტრაგედიაა და არც შეურაცხყოფა - არა, ეს ძალიან კარგია, რომ ამ სტრუქტურამ პირველი დარტყმა თავზე აიღო და საზოგადოება შოკში ჩააგდო.

ქართული ენა ის საგანია, თუ საგანზე ვლაპარაკობთ, რომელიც ასახავს არა, საკუთრივ, საგნის ცოდნას, არამედ ეს მაჩვენებელია, უფრო კი შედეგია იმისა, თუ როგორ არის საქმე. ადამიანი, რომელიც ქართულ ენაზე ვერ აზროვნებს, ბუნებრივია, ვერ შეძლებს სხვა საგნების სწავლას - ვერ დაძლევს გეოგრაფიას, ისტორიას. მაგრამ, მე ენას ვგულისხმობ და არა "საზეპიროებს". დარწმუნებული ვარ, რომ ათი, ოცი წლის წინათ ამგვარი კვლევა რომ ჩატარებულიყო, იგივე შედეგს მოგვცემდა. მიზეზების სპეციალური კვლევა სპეციალისტების საქმეა. მანკიერი იყო ის მეთოდიკა, რომელიც მოსწავლის, მასწავლებლის ინდივიდუალობას არ ითვალისწინებდა. ის გათვლილი არ იყო თავისუფალ ადამიანზე. ამას მოევლება.

ეს შედეგი არ არის მასწავლებლის შეურაცხყოფა. მასწავლებელი ფაქიზი თემაა და კიდევ უფრო ფაქიზია ქვეყნის განათლების სისტემა, რომლისკენაც ამ შედეგების შემდეგ საზოგადოებამ მთელი თავისი ყურადღება უნდა მიმართოს.

# ვუდროფის საქმე

*იშვიათია დანაშაული, რომლის დეტალების გახსენებაც 11 წლის შემდეგაც არ კარგავს აქტუალობასა და საზოგადოების ინტერესს იმსახურებს. თუმცა, საქმე, რომლის შესახებაც ბოლო ხანებში საქართველოს მედია-საშუალებები აქტიურად ალაპარაკდნენ, განსაკუთრებული ნამდვილად გახლავთ. მაგრამ, ფაქტია, მიუხედავად ამისა, 11 წლის წინათ, საქართველოში მომხდარ, საერთაშორისო გამოხმაურების მქონე მკვლელობის დეტალებში ჩაძიება ამ წლების მანძილზე ცოტამ თუ სცადა.*
*ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (CIA) აგენტის ფრედ რასელ ვუდროფის თბილისი-ნატახტარის გზაზე მომხდარი მკვლელობის დაჩქარებული წესით ჩატარებული გამოძიების ხარვეზებით არც მაშინ დაინტერესებულა ვინმე, როცა გამოძიებისა და სასამართლოს მასალები გაზეთის საშუალებით გახმაურდა, არც მაშინ, როცა "24 საათმა" ამ ხარვეზებისა და მკვლელობის საქმეში თეთრი ლაქების არსებობა ამერიკის გამოძიების ფედერალური ბიუროდან მიღებული, აქამდე საიდუმლო მასალებით გაამყარა. ფაქტია, ამერიკული სპეცსამსახურის აგენტის მკვლელობის საქმე, პირველ რიგში, სამართალდამცველ სტრუქტურათა ინტერესის ცენტრში უნდა მოქცეულიყო – ის, რაც წესით, მათ თავად უნდა გაეკეთებინათ და შეკრებილი მასალებისთვის, მათივე ანალიზის საფუძველზე, სამართლებრივი მსვლელობა მიეცათ, "24 საათმა" მზამზარეულად მიართვათ. მაგრამ, კურიოზიც ის გახლავთ, რომ ერთი წლის წინათ ქართველ ძალოვნებსა და არა მარტო მათ, გაზეთში გამოქვეყნებულმა მასალებმა ეჭვი მხოლოდ ჟურნალისტების მიმართ გაუჩინათ და კარგა ხანი საქმესთან დაკავშირებული უზუსტობების კი არა, ბევრი მათგანი იმის კვლევით გახლდათ დაკავებული, ვისი, რა ძალის ინტერესის გათვალისწინებით, გნებავთ, ვისი დაკვეთით წამოვიწყეთ ჩვენ ამ საქმის კვლევა. ცხადია, რაც არ არსებობს, მისი მოძიებაც შეუძლებელია. შესაბამისად, ვუდროფის საქმის ირგვლივ მოკლე ხნით წამოწყებული მითქმა-მოთქმაც შეწყდა.*
*ფრედ რასელ ვუდროფის მკვლელობა ფართო დაინტერესების საგანი მხოლოდ მას შემდეგ გახდა, რაც ამერიკელი ადვოკატი, მაიკლ ფულარა, რომელიც თავს ვუდრაფების ოჯახის მიერ რწმუნებააღჭურვილს უწოდებს, საქართველოში ჩამოვიდა და სკანდალური განცხადებები გააკეთა. თავის დროზე, ფრედ ვუდრაფის მკვლელობისათვის განსჯილი ანზორ შარმაიძის ქართველი სამართალდამცველების მიერ გამოძიებული საქმისა და FBI-ის მასალების, ასევე იმ უამრავი, საქმეში მეტ-ნაკლებად ჩახედული ადამიანის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ, ჩვენ თავს არათუ უფლება არ მივეცით, ბრალდებები წაგვეყენებინა ვინმესთვის, არამედ არც იმის მტკიცებას მოვყოლივართ, რომ მკვლელობისთვის განსჯილი ანზორ შარმაიძე უდანაშაულოა. დღესაც დარწმუნებულნი ვართ, რომ არც ვინმეს დადანაშაულება, არც ვინმეს გამართლება ჟურნალისტების საქმე არ არის. ჩვენ მხოლოდ შევძელით ბევრი იმ დარღვევისა და უზუსტობის გამოვლენა, რომელთა მიუხედავადაც ანზორ შარმაიძე უკვე თერთმეტი წელია განზრახ მკვლელობისთვის იხდის სასჯელს, მეტიც, ქართული და ამერიკული გამოძიების მასალების შეჯერებით, გამოვლინდა დეტალები, რომლებიც აშკარად ახალი გარემოება და შესაბამისად მკვლელობის ხელახალი გამოძიების დაწყების საფუძველი გახლდათ. ზემოთაც ვთქვით, ამით წერილის გამოქვეყნების შემდეგ არავინ დაინტერესებულა. მაიკლ ფულარამ კი ზუსტად ერთი წლის შემდეგ, შარმაიძის ადვოკატის საშუალებით, გენერალურ პროკურატურას შუამდგომლობით მიმართა, საკუთარი არგუმენტები წარუდგინა და ფრედ რასელ ვუდროფის მკვლელობის საქმის ხელახალი გამოძიება მოითხოვა.*
*ამ თემაზე არაერთი სატელევიზიო დისკუსიის ჩატარების მიუხედავად, საზოგადოებაში ბევრი კითხვის ნიშანი ჯერ კიდევ რჩება – სატელევიზიო ფორმატი სრულად ვერ იტევს ყოველივე იმის დეტალიზაციას, რაც ამ საქმეში ეჭვისა და მეტიც, ხელახალი გამოძიების ჩატარების საფუძველს იძლევა.*
*მაინც რა მოხდა 11 წლის წინათ, 1993 წლის 8 აგვისტოს და როგორ ჩატარდა ამ საქმის გამოძიება, ვინ და რატომ შეიძლებოდა ყოფილიყო დაინტერესებული ფრედ რასელ ვუდროფის მკვლელობით, როგორ განვითარდა მოვლენები საქართველოში ამ მკვლელობის ფონზე. ქვემოთ შემოთავაზებული, ერთი წლის წინათ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ყველა ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობა გახლავთ. პასუხები, ცხადია, ამომწურავი არ გახლავთ, არც არის გასაკვირი – ეს თემა ქართველი ჟურნალისტებისთვის კი არა, ამერიკული სპეცსამსახურებისთვისაც კი ჯერაც არ გახლავთ დახურული - ამერიკის გამოძიების ფედერალური ბიურო ამ მკვლელობის გამოძიებას დღემდე აგრძელებს. უბრალოდ, ვუდროფის მკვლელობის თაობაზე წერილების სერიის ხელახლა გამოქვეყნებით "24 საათი" მკითხველს საშუალებას აძლევს, სრულად გაეცნოს საქმეს, რომლის ირგვლივაც სკანდალი მხოლოდ ახლა ატყდა.*

*10 წლის წინათ ნატახტარი-თბილისის ავტომაგისტრალზე ნასროლმა ტყვიამ, რომელსაც ქართველმა სამართალდამცველებმა ბრმა უწოდეს, დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს უახლეს ისტორიაზე. ამ ტყვიით შუბლგახვრეტილი ამერიკელი თვით ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელმა ისე წაასვენა საქართველოდან, რომ საპატიო ყარაულმა არც კი იცოდა, ვინ ესვენა ამერიკის დროშაგადაფარებულ კუბოში.*

ინგა ალავიძე
სოფიკო ჩხაიძე

ამერიკელის მკვლელობა ქართველმა სამართალდამცველებმა მკვლელობის ღამესვე გახსნეს და მკვლელიც ადვილად დაიჭირეს. სამაგიეროდ, ამერიკული სპეცსამსახურები მკვლელობის გარემოებებს კიდევ ოთხი წლის მანძილზე იძიებდნენ და ამ გამოძიებაზე რამდენიმე მილიონი ამერიკული დოლარიც დაიხარჯა.

რატომ შეიტანეს ეჭვი ამერიკელებმა ქართველი კოლეგების სამართლიანობაში? ამდენი წლის წინანდელ საიდუმლოს სულ ახლახანს აეხადა ფარდა – FBI-მ ოთხწლიანი გამოძიების მასალებს გრიფი "საიდუმლო" მოხსნა. როგორც ამ მასალებიდან ირკვევა, ეჭვის საფუძველს ამერიკელებს ბევრი რამ აძლევდა.

თუმცა, საქართველოს დედაქალაქთან მომხდარი მკვლელობა საეჭვო თავიდანვე იყო. პირველ რიგში კი იმიტომ, რომ თბილისის შემოგარენში, სოფელ ნატახტრის საგუშაგოს მახლობლად მოძრავ მანქანაში მოკლული, 45 წლის ამერიკელი ფრედ რასელ ვუდროფი, რომელიც, ოფიციალურად, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს პოლიტიკური განყოფილების რეგიონალურ ურთიერთობათა სექტორის თანამშრომლის სტატუსს ატარებდა, სინამდვილეში ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (იგივე CIA-ის, გნებავთ უპს-ს) მიერ სტრატეგიული ინტერესის ობიექტ ქვეყანაში – საქართველოში შემოგზავნილი ერთ-ერთი პირველი აგენტი გახლდათ. მანქანას კი, რომელშიც CIA-ის მიერ საქართველოში ფარული მიზნებით წარგზავნილმა ჰპოვა აღსასრული, მართავდა საქართველოს საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის (ასე ერქვა მაშინ უშიშროების სამინისტროს) სამთავრობო დაცვის სამმართველოს უფროსი, შესაბამისად, სახელმწიფო მეთაურის ედუარდ შევარდნაძის პირადი დაცვის უფროსის სტატუსის მატარებელი ელდარ გოგოლაძე.

სხვათა შორის, თბილისი-ნატახტრის გზაზე მომხდარი მკვლელობიდან ერთი კვირის შემდეგ კანადურმა გაზეთმა "ტორონტო სტარმა" გამოაქვეყნა წერილი, სათაურით "აგენტის სიკვდილი დაზვერვის ეგზოტიკურ კავშირებს ავლენს". წერილში პირდაპირ არის საუბარი იმის თაობაზე, რომ ფრედ ვუდროფი საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების უცხოელი მრჩეველი გახლდათ. საქართველოში მომხდართან დაკავშირებით კანადური პრესა მაშინ აღნიშნავდა, რომ ამერიკული სპეცსამსახურების ისტორიაში ეს იყო, ფაქტობრივად, პირველი შემთხვევა, როდესაც შეერთებული შტატების ხელისუფლებამ არ უარყო, რომ მოკლული დაზვერვის აგენტი იყო და უცხო ქვეყანაში სადაზვერვო სამმართველოს დავალებას ასრულებდა.

მოგვიანებით, საბჭოთა უშიშროების კომიტეტის გენერალ-მაიორი ვიაჩესლავ შირონინი დაწერს წიგნს, სახელწოდებით "КГБ-ЦРУ. Секретные пружины перестройки", რომელშიც ფრედ ვუდროფი ამერიკის პრეზიდენტის ბილ ქლინთონის საიდუმლო გეგმის ნაწილად არის მოხსენიებული. სუკ-ის გენერლის ინფორმაციით, ამ გეგმის მიზანი იყო საქართველოს ხელისუფლების სათავეში ედუარდ შევარდნაძის შენარჩუნება, გეგმის განხორციელებაში კი ჩართული იყო ცენტრალური სადაზვერვო სამსახური და სპეციალური შეიარაღებული ძალები – კომანდოსი.

პრინციპში, ეს ინფორმაცია, გარკვეულწილად სიმართლესთან ახლოსაა, თუმცა, ერთ უზუსტობას შეიცავს: ამერიკა საქართველოთი ჯერ კიდევ ქლინთონის წინამორბედის, ამერიკის ამჟამინდელი პრეზიდენტის მამის, ჯორჯ ბუშ-უფროსის პრეზიდენტობის ჟამს დაინტერესდა. ეს დაინტერესება იმდენად იგრძნობოდა, რამდენადაც 1993 წლის დასავლურ პრესაში დროდადრო ჩნდებოდა ცნობა, ამ ინტერესის შესახებ. მეტიც, 10 წლის წინათ ბრიტანული გაზეთი "დეილი ტელეგრაფი" ასეთ პროგნოზსაც აკეთებდა: **"საქართველო ამერიკისა და რუსეთის სპეცსამსახურებს შორის ბრძოლის არენად შეიძლება იქცეს. კავკასია ხომ უმნიშვნელოვანესი პუნქტია, ერთი მხრით, თურქეთზე, ნატოს წევრ ქვეყანაზე, მეორე მხრით კი – ავღანეთზე, ირანსა და აზიის სხვა ქვეყნებში ისლამურ ფუნდამენტალისტებზე სამეთვალყუროდ".**

ორი ზესახელმწიფოს სპეცსამსახურების შესაძლო ბრძოლის არენა – საქართველო – იმ დროისათვის არასტაბილურ ქვეყნად, მეტიც, მსოფლიო რუკაზე არსებულ ერთ-ერთ ცხელ წერტილად აღიქმებოდა.

## საქართველო 10 წლის წინათ

1993 წლის ზაფხული. ედუარდ შევარდნაძე წელიწადზე მეტია, სამშობლოში დაბრუნდა და ქვეყნის ხელისუფლების სათავეში მოექცა. საქართველოში ზარ-ზეიმით ჩამოყვანილი საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, საბჭოთა კავშირის დემონტაჟის თანამონაწილე და ბერლინის კედლის დამანგრეველი სამშობლოში დაბრუნებისთანავე მკვეთრ პროდასავლურ-პროამერიკულ პოლიტიკას მისდევს. ედუარდ შევარდნაძე იმ დროისთვის მსოფლიო მნიშვნელობის პოლიტიკოსად ითვლება და სოციალური თუ პოლიტიკური პრობლემატიკით გადაღლილი მოსახლეობისთვის იგი, ფაქტობრივად, დანგრეული ქვეყნის აღდგენის ერთადერთ იმედად აღიქმება. მთელი იმედები მისი მეგობრული კავშირების საქართველოს საკეთილდღეოდ გამოყენებას ემყარება. "ჩემი მეგობარი გენშერი", "ჩემი მეგობარი ბუში", "ჩემი მეგობარი ბეიკერი", ხშირად იმეორებს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური და მეგობრებიც დახმარების ხელს უწვდიან. ეროვნული მოძრაობიდან მოსული კადრისათვის ჩაბარებული, სახელ და სახე შეცვლილი უშიშროების კომიტეტი, იმჟამად უკვე ამერიკულ ყაიდაზე საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურად გადაკეთებული, ამერიკელ მრჩეველ-კონსულტანტთა მიღება-გასტუმრებას ვერ აუდის. აფხაზეთის ომის დაწყებასთან ერთად ეს კონტაქტები ძლიერდება. თუმცა, ომის დაწყებამ და მოვლენათა განვითარებამ საქართველოს ხელისუფლებას კიდევ ერთხელ მკაფიოდ დაანახა ის, რაც, ფაქტობრივად, ისედაც არ იყო დაფარული – ამერიკას და საქართველოს ოკეანე აშორებს, მეზობელი რუსეთი კი არ თვლემს.

**"90-იანი წლების დასაწყისში საქართველო რუსეთის გავლენის სფეროდ ითვლებოდა და ამერიკასთან ჩვენი ურთიერთობა არც ისე ადვილი იყო,** - იხსენებს საქართველოს საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის მაშინდელი ხელმძღვანელი ირაკლი ბათიაშვილი, - **გახსოვთ, მიმდინარეობდა აფხაზეთის ომი, სამეგრელოში სამოქალაქო დაპირისპირება იყო და ეს ყველაფერი რუსეთის უკიდურესი ზეწოლით მიმდინარეობდა. რუსეთი ძალზე მტკივნეულად აღიქვამდა ნებისმიერი სხვა ქვეყნის ინტერესების შემოღწევას კავკასიაში. თვლიდა, რომ პოსტსაბჭოთა სივრცე მისი გავლენის ქვეშ უნდა დარჩენილიყო. სწორედ ამ დროს დაიწყო ჩვენი აქტიური თანამშრომლობა ამერიკასთან, კერძოდ, ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან. მათ დიდი წვლილი შეიტანეს უშიშროების კომიტეტის ბაზაზე საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის ჩამოყალიბებაში. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ამუშავდა ოპერატიული, საინფორმაციო-ანალიტიკური მექანიზმები. ასეთი თანამშრომლობა ფაქტობრივად, უპრეცენდენტო გახლდათ, რაც დაგვირგვინდა სპეცდანიშნულების რაზმ "ომეგას" ამერიკაში საწვრთნელად გაგზავნით. რუსეთს ეს ყოველივე ძალიან აღიზიანებდა. მათ არც დაუმალავთ ეს. საქართველოში მყოფმა რუსეთის უშიშროების მინისტრმა ბარანიკოვმა პირდაპირ მითხრა – "ეს აუტანელია – კავკასია ამერიკის პოლიგონად აქციეთო". ის ამბობდა, რომ ამერიკასთან რუსეთის საწინააღმდეგოდ ვთანამშრომლობდით. რა თქმა უნდა, ეს მცდარი მოსაზრება იყო. ჩვენ ამერიკასთან ვთანამშრომლობდით ჩვენი სტრუქტურის ფორმირებისთვის, ამასთან, ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ნარკობიზნესი, კონტრაბანდა, ტერორიზმი.**

**გარდა ამისა ამერიკელებს ჰქონდათ პროექტი, რომლის მიხედვითაც საქართველოში უნდა შექმნილიყო შავი ზღვის აუზის ქვეყნების სპეცსამსახურების რეგიონული ცენტრი. სხვათა შორის ესეც ძალზე მტკივნეული საკითხი გახლდათ რუსეთისთვის".** სწორედ ამერიკასაქართველოს სპეცსამსახურების თანამშრომლობის გააქტიურებასთან დაკავშირებით 1993 წლის აგვისტოში გაზეთი "დეილი ტელეგრაფი" წერდა:

**"ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კავშირი საქართველოსთან აღიზიანებს რუს ნაციონალისტებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლასა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებთან კარგი ურთიერთობის დამყარებას აბრალებს ამერიკის დაზვერვას"**, ამავე პერიოდში ასე აღწერდა გაზეთი "ინდეპენდენტი" საქართველოში არსებულ სიტუაციას: **"რუსეთის პერიფერიაში იზრდება ამერიკის როლი. სპეციალური ძალები საქართველოში იმყოფებიან შევარდნაძის დაცვის გასაწვრთნელად. ქართველები ამერიკის ბაზებზე სწავლობენ. აშშ-ს საელჩო განლაგებულია მე-19 საუკუნის შესანიშნავ ნაგებობაში, მაშინ, როცა რუსეთის წარმომადგენლობა კულტურის ცენტრის შენობის ფართს ინაწილებს ისრაელის საელჩოს, ლტოლვილთა კომიტეტს, სავაჭრო კომპანიისა და სამხრეთ ოსეთის თეატრთან ერთად. მაგრამ, ასეთი კონტრასტი უფრო სასურველის რეალობად გასაღების მცდელობას შეიძლება მიეწეროს, თორემ რეალურად მოქმედ ძალას კავკასიაში, ისევე, როგორც ცენტრალურ აზიაში, რუსეთი წარმოადგენს."**


ვუდროფი (შუაში) მეგობრებთან რამდენიმე დღით ადრე.

რუსეთი ამ ძალის დემონსტრირების ნებისმიერ შესაძლებლობის შემთხვევაში არ აყოვნებდა.

მოკლედ, დგას 1993 წლის ზაფხული. თითქმის ერთწლიანი სისლისღვრის შემდეგ აფხაზეთში დროებითი ზავია გამოცხადებული – კონფლიქტის მონაწილე მხარეები ცეცხლის შეწყვეტასა და კონფლიქტის ზონიდან მძიმე ტექნიკის გამოყვანაზე შეთანხმდნენ. შეთანხმების პირობების შესრულებას თვალს ადევნებს მოლაპარაკებებში მხარედ ცნობილი რუსეთი, რომელსაც ქართულ პოლიტიკურ წრეებში ხშირად კონფლიქტის მონაწილე მხარედ უფრო აღიქვამენ.

საქართველომ შეთანხმება შეასრულა – ქართული მძიმე ტექნიკა აფხაზეთის ტერიტორიიდან გამოყვანილია. სროლის შეწყვეტის გამო ერთგვარმა სიმშვიდემ დაისადგურა. აფხაზეთიდან დევნილთა უზარმაზარმა ნაკადმა მშობლიურ სახლებში დაბრუნება იწყო.

სამეგრელო აჯანყებულია – ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეები იქ იარაღს აჟღარუნებენ.

საქართველოს ხელისუფლება კი ორიენტირების გასაყარზე ბალანსირების პოლიტიკის მახეში გაბმულა – გაცხადებული დასავლური ორიენტაციის საპირწონედ ხელისუფლება რუსეთთან კეთილმეზობლურ ურთიერთობებზე საუბრობს. თუმცა, ბალანსი იმ დროისთვის აშკარად დარღვეულია და ეს არ გახლავთ საქართველოს ხელისუფლების კეთილი ნებით გაკეთებული არჩევანის შედეგი. უბრალოდ, ფინანსურად ძლიერ ოკეანისგაღმელებს სტრატეგიული ადგილმდებარეობის მქონე ქვეყანაზე გავლენის მოპოვების მეტი შესაძლებლობა აქვთ და იყენებენ კიდეც ამ შესაძლებლობას. შესაბამისად, ამერიკაში უკვე გადის წვრთნას საქართველოს საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის სპეცდანიშნულების რაზმი "ომეგა".

ამასთანავე, თბილისში ხშირად ჩამოდის რუსეთის თავდაცვის მინისტრი პაველ გრაჩოვი და, როგორც ამბობენ, უკან ძვირფასეულობით უხვად დაჯილდოვებული ბრუნდება – ქართველი ჩინოვნიკები მისი მოქრთამვით ცდილობენ აფხაზ სეპარატისტებს რუსეთის მხარდაჭერა დააკარგვინონ. თუმცა, ვინ იცის, იქნებ ეს მხოლოდ ჭორია. ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლების მიერ წარმოებულ პოლიტიკას, აფხაზეთის ომის დაწყების შემდეგ აშკარად დაეტყო, რომ დასავლეთის მიმართ გაცხადებული სიმპათიების საპირისპიროდ, რუსეთის რეალური ძალის აღიარებამ მოუწია.

მიუხედავად ამისა, საქართველოს ღიად თუ ფარულად კვლავაც სტუმრობენ ამერიკელი ჩინოსნები.

**"აშშ ამჟამად განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საქართველოსა და სომხეთის სახელისუფლებო წრეებზე გავლენის გაძლიერებას. ამ მიზნით რეგიონში ამწესებს ათასი ჯურის მრჩევლებსა და სპეციალისტებს. რაც შეეხება რუსეთს, აშშ ისწრაფვის კონტროლი დააწესოს მისი სტრატეგიულ ბირთვული ძალების შემცირებისა და განადგურების საკითხზე, რომ შემდგომში, კავკასიაში ტაქტიკური პოტენციალის ქონის პირობებში, რუსეთს საკუთარი პირობები უკარნახოს. ეს სტრატეგიული ხაზი ბუშის ადმინისტრაციამ შეიმუშავა და თავს მოახვია ქლინთონს, რადგანაც ამაში დაინტერესებულნი არიან მსხვილი ფინანსური "ბოსები" და მათ უკან მდგომი სამხედრო სამრეწველო კომპლექსი"**, - ასეთ ინფორმაციას, უცხოელი ინფორმატორის საშუალებით, იმ დროს ისედაც ფლობენ რუსეთის სპეცსამსახურები ("КГБ-ЦРУ. Секретные пружины перестройки"). ამას ემატება ამერიკის ხელისუფლების მხრიდან უკვე საქვეყნოდ გაკეთებული განაცხადი.

1993 წლის 11 აგვისტოს "დეილი ტელეგრაფი" წერს: **"ბოლო კვირას ბილ ქლინთონმა გააკეთა განცხადება: ის ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მიმდინარე ეთნიკურ კონფლიქტებში დაპირისპირებულ მხარეებს ამერიკა არბიტრობას სთავაზობს. პარასკევს კი (ნაგვიანტი) გაეროს უშიშროების საბჭომ ამერიკის ეგიდით მიიღო რეზოლუცია ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში დამკვირვებლის გაგზავნის შესახებ"**.

სიტუაცია იძაბება – ის, რაც აქამდე კონფიდენციალური წყაროებისგან მიღებული დაშიფრული ინფორმაციების დონეზე ცხადდებოდა, რეალურ საშიშროებად იქცა - ჭეშმარიტად შესაბამისი მომენტია საიმისოდ, რომ რუსეთმა ძალების დემონსტრირება მოახდინოს.

## "ფრედი მოკლეს!" - გაისმა ყვირილი

იმჟამინდელ პოლიტიკურ სიტუაციაში, თბილისთან ახლოს ამერიკის სპეცსამსახურის აგენტის მკვლელობა, ეჭვების საფუძველს ნამდვილად იძლეოდა. შესაბამისად, საქართველოს სახელისუფლებო კულუარებში ფრედ ვუდროფის მკვლელობა იმთავითვე პოლიტიკურ აქტად მოინათლა – ავტომაგისტრალზე გასროლილი ტყვიის უკან თითქმის ყველა რუსეთის ხელს ხედავდა. მიუხედავად ამისა, ოფიციალურ დონეზე ყველაფერი გაკეთდა საიმისოდ, რომ სპეცაგენტის მკვლელობას პოლიტიკური სარჩული მოშორებოდა. არც იყო გასაკვირი - საქართველოში ჩამოსული ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის პირველი წარმომადგენლის ფრედ ვუდროფის სიკვდილის მონათვლა რიგითი გვარდიელის ხულიგნობის შედეგად მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევად ხელს აძლევდა ყველას, ვისაც პირადად, სამსახურებრივად თუ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ეხებოდა ეს ამბავი. ყველას, გარდა თავად ამ გვარდიელისა.

სარეკორდო ვადაში – 3 თვეში – ჩატარებული გამოძიების დასრულების შემდეგ შექმნილ საბრალდებო დასკვნაში მკვლელობის სურათი მარტივად დაიხატა: ყაზბეგის ბუნებით აღფრთოვანებული უცხოელი იქაურობის კიდევ ერთხელ დათვალიერებაზე ოცნებობს.

8 აგვისტოს დილით საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის სამთავრობო დაცვის სამმართველოს უფროსის ელდარ გოგოლაძის ავტომანქანა "ნივით" გოგოლაძის დიდი ხნის ნაცნობმა ელენე დარჩიაშვილმა, სასტუმრო მეტეხის ბარმენმა მარინა კაპანაძემ და იმხანად მეტეხშივე მცხოვრებმა ფრედ ვუდროფმა უიკ-ენდზე ყაზბეგის რაიონში ადგილობრივი ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად გაისეირნეს. თანაც, ელდარ გოგოლაძის ყაზბეგელ მეგობარს შეუარეს და ცოტა წაიქეიფეს. უკან, თბილისში შეღამებისას ბრუნდებოდნენ.

**"ალკოჰოლური სასმელი არ დაგვილევია,** - აჩვენა ელდარ გოგოლაძემ საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურში, მკვლელობის მეორე დღეს მიცემულ ახსნა-განმარტებაში, **-მანქანას მე ვმართავდი. ჩემს გვერდით იჯდა ელენა, ჩემს უკან, მგონი, მარინა კაპანაძე, ხოლო უკან, მარჯვნივ იჯდა ფრედ ვუდროფი. გზაში რამდენჯერმე გავჩერდით ბუნების დათვალიერების მიზნით. ფრედ ვუდროფს ჰქონდა ფოტოაპარატი და იღებდა სურათებს. ჩვენ გავჩერდით ჯვრის უღელტეხილზე, მერე გუდაურში – გადმოსახედზე და წამოვედით თბილისისკენ. მოვდიოდით ნელა. ჩემს მგზავრებს ცეცხლსასროლი იარაღი არ ჰქონიათ. მე მქონდა ტაბელური პისტოლეტი ავსტრიული "გლოკი" 9 მმ. გამოვცდით სოფელ ნატახტარს და სანამ ნატახტრის საგუშაგოს მივუახლოვდებოდით, ღერძულა ხაზიდან ჩემგან მარჯვნივ, დაახლოებით 8 თუ 10 მეტრის წინ ფარების შუქზე შევნიშნე სამხედრო ფორმაში ჩაცმული რამდენიმე კაცი, რომელთაგან რომელიღაც შეიარაღებული იყო ავტომატით. ამ პირებს ჩემთვის არ მოუციათ რაიმე ნიშანი გასაჩერებლად. ამ პირებს როდესაც გავუსწორდით თუ ჩავუარეთ, გავიგონე სროლის ყრუ ხმა. სროლის ხმის შემდეგ მარინა კაპანაძემ დაიწყო წივილ-კივილი".**

თავად მარინა კაპანაძე მომხდარს ასე იხსენებს: **"გზასთან ახლოს დავინახე მამაკაცთა ჯგუფი. თვალში მომხვდა შუაში მდგომი პიროვნება, რომელსაც ხელში ეჭირა ჩვენსკენ მომართული ავტომატი. გულში ცუდად გამკრა რაღაცამ და შემეშინდა. ავტომატიან ფიგურას ეცვა ზოლებიანი მაისური "ტელნიაშკა". თვალში მომხვდა შიშველი მხარი, მაისური იყო უსახელოებო. თვალი მივადევნე, რამდენადაც შესაძლებელი იყო, რადგან შემეშინდა. მომენტალურად გაისმა სროლის ხმა. ეს იყო ერთხელ. ისინი უკვე სიბნელეში დარჩნენ. ვერც კი გავიაზრეთ, რა მოხდა. შუშა არ გატეხილა. ყველა გამოვეხმაურეთ ერთმანეთს. ფრედი ჩუმად იჯდა. რაღაცნაირად კი შეინძრა. მე მეგონა, გვეხუმრებოდა, თითქოს მოახვედრესო, რადგან ხუმარა კაცი იყო".**

ფრედ ვუდროფი არ ხუმრობდა და ამას გვერდით მჯდომი ქალბატონი მალევე მიხვდა, როცა მის შუბლზე ჩამოსული სისხლი დაინახა. მან გენერალური პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელს დაკითხვისას უამბო:

**"გააჩერე, გააჩერე, ფრედი მოკლეს" - მეთქი, ვიყვირე. ელდარი უცებ აზრზე ვერ მოვიდა. გააჩერე, მოხვდა, - ამიტყდა ყვირილი. ელდარმა გააჩერა მანქანა. მე გადმოვედი. იდგა ტბა სისხლის. ფრედი გადმოცურდა და უკანა სავარძელზე წაიქცა. მე ერთიანად სისხლში ვიყავი მოსვრილი. უკან ველარ დავჯექი. დავჯექი წინ. ეს რა დაგვემართა, ფრედი – ტიროდა ელდარი... იყო ათის თხუთმეტი წუთი".**

საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის სამთავრობო დაცვის სამმართველოს უფროსს ელდარ გოგოლაძეს, რომელიც რამდენიმე ასეული მეტრით თუ იქნებოდა დაშორებული გზაზე დამხვდურ სამხედრო ფორმიანებს, უკან დაბრუნება არც უცდია. მან სიჩქარეს მოუმატა და მცხეთამდე ერთადერთხელ გაჩერდა. გაჩერების მიზეზს თავად ასე იხსენებდა: **"მანქანა მივიყვანე ნატახტარის ძველ პოსტამდე და იქ მილიციის ფორმიან ხალხს განვუცხადე, რომ მანქანაში კაცი მყავდა დაჭრილი, გვესროლეს მათ ჯიხურამდე დაახლოებით 100-200 მეტრის დაშორებით. მილიციის მუშაკებმა განმიცხადეს, რომ მათ არ გაუგონიათ სროლის ხმა".**

ეს იყო და ეს. მილიციელებისთვის იმ ხალხის მოძებნა, რომლებმაც რამდენიმე წამის წინ ამერიკელ დიპლომატს ესროლეს, არავის დაუვალებია. მათ არც ინიციატივა გამოუჩენიათ.

როგორც თვითმხილველები ყვებიან, ფრედ ვუდროფს პულსი ჯერ კიდევ ესინჯებოდა, როცა მცხეთის რაიონულ საავადმყოფოში მიიყვანეს. მაგრამ, რადგანაც საავადმყოფოში დენი არ იყო და ავადმყოფის მიღება არ წარმოებდა, ელდარ გოგოლაძე თბილისისკენ წამოვიდა. მან გზაში რაციით შეიტყო, რომ დენი თბილისში, უზნაძეს ქუჩაზე მდებარე ალადაშვილის სახელობის 1 კლინიკაში იყო. თუმცა, საავადმყოფოში მიყვანილი ვუდროფი კარგა ხნის გარდაცვლილი აღმოჩნდა.

**"საავადმყოფოში დაახლოებით ერთი საათი დავყავით",** - განაცხადა ელდარ გოგოლაძემ გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, რამდენიმესაათიანმა დაგვიანებამ შედეგი ვერ შეცვალა. სპეციალური შეტყობინებით გამოძახებული სახელმწიფო მეთაურის პირადი დაცვისა და საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურის თანამშრომლებთან ერთად შემთხვევის ადგილზე გასულმა ელდარ გოგოლაძემ ნატახტრის საგუშაგოსთან ერთი ავტომატის მქონე სამი ნასვამი სამხედროფორმიანი დააკავა. ერთ-ერთი ამ სამეულიდან დღესაც იხდის სასჯელს ძალზე მძიმე დანაშაულის – ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (CIA) თანამშრომლის ფრედ რასელ ვუდროფის განზრახ მკვლელობისთვის.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

ნოდარ ლადარია

ოდესღაც, შორეულ წარსულში, მოსკოველი ჟურნალისტისადმი მიცემული ინტერვიუ **ასლან აბაშიძემ** ჩადენილი მკვლელობის აღწერით შეამკო. თხრობისას მან სპეციალური სამხედრო ტერმინოლოგია გამოიყენა: "я вынужден был самостоятельно накрыть огневую точку". ამ პიროვნებამ, რომლის ლინგვისტურ შესაძლებლობებს უკვე სოციოლინგვისტური ტერმინოლოგიის თანახმად თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ *ნახევარენოვანი*, ამჯერად ერთ მეტად ვერაგულ რიტორიკულ ხერხს მიმართა: ყოველი სპეციალური ენა შესაბამისი დარგის საზოგადოებრივი საჭიროებითაა დაკანონებული და საშუალებას არ იძლევა წარმოვიდგინოთ აღწერილი მოვლენის ამაზრზენი კონკრეტულობა, დავინახოთ სამუდამოდ ჩამქრალი თვალები და შევიგრძნოთ სისხლის სუნი...

ასეთივე გრძნობა გამიჩნდა, როცა წავიკითხე "24 საათში" დაბეჭდილი ერთი მასალის სათაური: *კადიროვი ლიკვიდირებულია* (**ლევან ღირსიაშვილი**, 10 მაისი). აქ პოლიტიკური მკვლელობის, პოლიტიკური ტერორიზმის მიმართ გამოყენებულია ტერმინი, რომელსაც იყენებენ სახელმწიფო უშიშროების, პოლიციის, ერთი სიტყვით, იმ ორგანოთა წიაღში, რომელთაც მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა ევალებათ. მიუხედავად სტატიის შინაარსისა, სათაური ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს "24 საათის" მკითხველები იმთავითვე საშინელი ზიზღით იყვნენ გამსჭვალულნი "კრემლის კაცის" მიმართ და სულმოუთქმელად ელოდნენ მის სიკვდილს. მაგრამ არის კიდევ უფრო სერიოზული საშიშროება: პოლიტიკური მკვლელობის მიმართ სპეციალური ტერმინის გამოყენება, თანაც შედგენილი შემასმენლის სინტაქსური ფორმა, სათაურს პატაკის ფრაგმენტს ამსგავსებს და რაღაცნაირად გვაერთიანებს დამკვეთთან და შემსრულებელთან. ამას ისევ მამაპაპური "მოკლულია" ჯობდა.

— კი მაგრამ, — მისაყვედურებენ, — როცა ასლან აბაშიძის გარემოცვას "ბაბუინებს" უწოდებდნენ, რატომ მაშინ არ აღშფოთდი, ან შენ თვითონაც რატომ შეუერთე შენი ხმა ამ შეურაცხყოფას?

ორივე შემთხვევაში გამოყენებული სიტყვა კი არ წყვეტს საკითხს, არამედ ღირებულებათა სისტემა, რომელიც ამ სიტყვის უკან შეინიშნება. ტერორიზმის მიმართ ოდნავი ან თუნდაც მოჩვენებითი ლმობიერება გაცილებით უფრო საშიშია, ვიდრე ლიბერალური დემოკრატიის ღირებულებათა დაცვა და განხორციელება მაგარი გამოთქმებით ან თუნდაც ეპატაჟით. ასე რომ, მე ფორმას კი არ ვიწუნებ, არამედ ამ ფორმის უკან მდგარ შესაძლო შინაარსს. ჩვენში კი ფორმას ხშირად სრულიად გაუმართლებლად ანიჭებენ აბსოლუტურ, თვითკმარ მნიშვნელობას და ვერც კი ამჩნევენ, როგორ ვარდებიან სრულიად აბსურდულ მდგომარეობაში. მაგალითად, გამიგონია, **ზაზა ბურჭულაძეს** იმიტომ არ მიანიჭეს პრემია, რომ უზრდელიაო. ამის მთქმელნი ვერ ამჩნევენ, რომ გამოსდით, თითქოს **ოთარ ჭილაძე** "საბას" ლაურეატი "ზრდილობის" გამო გახდა.

ხშირად გაიგონებთ, სიტყვა ორლესული მახვილიაო. დავსძენდი, რომ ამ მახვილს ვადა არა აქვს და მხოლოდ ის მოახერხებს მის გამოყენებას, ვინც საკუთარი ხელების დასისხლიანებას არ შეუშინდება. ასე რომ, მეც ყოველთვის დამივლის უსიამო ჟრუანტელი, თუ ვინმე ბანალურ ტერორისტულ აქტს "ლიკვიდაციის ოპერაციად" მოიხსენიებს, მაგრამ უყოყმანოდ ვუწოდებ **ედუარდ შევარდნაძეს** პოლიტიკურ გვამს, **ასლან აბაშიძეს** კი — პოლიტიკურ ნარწყევს. ამ ორ გარემოებას შორის მე ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ ვხედავ. რაო, "აკადემიურობას" მაკლებს ზოგი ჩემი გამონათქვამი? — მაგრამ "აკადემიურობა" ჩემთვის არასოდეს ყოფილა არა მხოლოდ თვითმიზანი, არამედ ქათინაურიც. ცხოვრების განმავლობაში მე ძალიან მჭიდრო ურთიერთობა მქონია მუსიკოსებთან, რომლებიც ზედსართავით "აკადემიური" უშეცდომო, მაგრამ უინტერესო შესრულებას ახასიათებენ.

ამდენ ლაპარაკში კი სულ დამავიწყდა, რაზე გავჩერდით. ჰო, გამახსენდა — ნარწყევზე. სწორედ ამაზე უნდა ვისაუბროთ დღეს. ოღონდ არა კულტუროლოგიური თვალსაზრისით (**იულია კრისტევა** და მისი ესეები ზიზღზე), არც ფილოსოფიური კუთხით (**ჟან პოლ სარტრი** და მისი გულისრევანი) და არც ამ მყრალ სუბსტანციაში ჩამალული ესთეტიკური შესაძლებლობების მხრიდან (**ბორის ვიანი** და მისი "დღეთა ქაფი") — ჩვენ ფენომენის სულიერ სიღრმეებს უნდა შევეხოთ: "**მათთვის თქმულა მართალი ანდაზა: ძაღლი მიუბრუნდა თავის ნარწყევს და დაბანილი ღორი კვლავ თავის წუმპეში ჩაგორდა**" (პეტრეს მეორე ეპისტოლე, 2, 22).

ერთი სიტყვით, "წმ. მეფე დავით აღმაშენებლის სახ. მართლმადიდებელი მრევლის კავშირმა" (სწორედ ასე იწოდებიან ისინი) მეორე წერილით გაახარა ქართველი საზოგადოება: *არა ამბორს გიყო, ვითარცა იუდა*, 13 მაისი. რამდენიმე კვირით ადრე "ქრონიკაში" დაბეჭდილთან შედარებით, ეს წერილი უკეთესი ქართულითაა შედგენილი. მაგრამ ამგვარმა დაბანამ მაინც არ უშველა და წუმპე მაინც ეტყობა. ეს ტექსტი ეხმაურება "24 საათის" მიერ გამოქვეყნებულ თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტუდენტთა წერილს. დავით აღმაშენებლის სახ. მართლმადიდებლები წერენ: "**ამ საქციელის გამო მათ** (სტუდენტებს — ნ. ლ.) **მოეთხოვათ პასუხი სასულიერო აკადემიის ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა მიერ — ახალგაზრდებმა აღიარეს ცდომილება და ითხოვეს შენდობა. ამისთვისაც მადლობა ღმერთს**". მარტივად რომ ვთქვათ, ეს სიცრუეა: ხელისმომწერებს არაფერი შეუნანიათ, რადგან მოსანანიებელი არც არაფერი ჰქონიათ. სხვას არაფერს ვიტყვით ამ ტექსტზე, რადგან "24 საათი" იქვე ბეჭდავს საქართველოს ეკლესიის სამღვდელოების წერილს (*არა ცილი სწამო*, 13 მაისი), რომელსაც ხელს აწერს 17 სასულიერო პირი და სადაც ვკითხულობთ: "**საეკლესიო სამართლის მიხედვით არ არსებობს არანაირი "წმ. მეფე დავით აღმაშენებლის სახ. მართლმადიდებელი მრევლის კავშირი", რადგან ამგვარი ორგანიზაციების არსებობას ეკლესიაში სჭირდება მმართველი მღვდელმთავრის ლოცვა-კურთხევა და ნებართვა**". რაც არ არსებობს, იმას როგორ ვეკამათოთ?

მაგრამ, საკითხი მაინც მწვავედ დგას და მის არსში გასარკვევად ოდნავ შორიდან მოვლა მოგვიწევს. მე უკვე არაერთხელ მომიყვანია ერთი ადგილი **გიგი თევზაძის** ცნობილი წიგნიდან, სადაც ნათქვამია, როგორ მოხდა ქართულ მედიაში საეკლესიო თემატიკის ტაბუირება. დღეს ამ პრობლემის კიდევ ერთ და, როგორც მეჩვენება, ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს უნდა შევეხო: როგორია ამ ტაბუს შენარჩუნების მექანიზმი? — ბევრიც რომ ვეცადოთ, ვერ ვიპოვით ვერც ერთ ხილულ ბერკეტს ან თუნდაც სამხილს. ტაბუ თითქოს თავისით არსებობს, ვინმეს მხრიდან ყოველგვარი ჩარევის გარეშე. მაგრამ მექანიზმის არარსებობა არ ნიშნავს უსაფუძვლობას: საფუძვლის აღმოჩენა შესაძლებელია. აი მისი კვალიც: "**არქიმანდრიტი გიორგი (მხეიძე), სქიზმაში იოანე**" — გვამცნობს **დალი კუპრავას** სტატია *ოცდამეერთე საუკუნის წმინდა მამები* (12 მაისი). ერთი პირობა შევცბი: როდიდან გახდა არქიმანდრიტი გიორგი სქიზმატიკოსი?! მაგრამ მერე მივხვდი: **სქიზმა** კი არა, **სქემა** უნდა ეწეროს — უმაღლესი ბერ-მონაზვნური ღირსების ნიშანი — სქიზმატიკოსი კი არა, სქემოსანი უნდა ვიგულისხმოთ. აი, 11 მაისის ნომერში კი მართლაც სასწაულებს ვხედავთ: **თამარ დვალი**, *"საქართველოს გამარჯვების სიმბოლო", სასწაულებით დამშვენებული გზა ცხრუკვეთიდან თბილისამდე*. წავიკითხოთ: "**ჯვარცმის ორი სახება კი ქრისტეს ორბუნებიანობის — ძე ღვთისას და ძე კაცისას ამსახველი. დედამიწაზე ხორციელად ჯვარცმული ქრისტეს სახება, რომელიც შედარებით მცირე ზომისაა, 9 დღეში გამოიკვეთა. ორივე ქმნილება კოპიტის ხისგანაა გამოკვეთილი. პირველს, რომელზეც იესოს სახება იმავე ზომებშია გამოსახული, როგორც მატიანეშია, ჭრილობები და ნაიარევი თავად გაუჩნდა**". რას ნიშნავს "ჯვარცმის ორი სახება"? ან რატომ წერია ღვთიური და კაცობრივი ბუნების მაგიერ "ძე ღვთისა და ძე კაცისა"? რომელ "მატიანეზეა" საუბარი? რატომ წერია "წყლულის" ნაცვლად "ჭრილობა" და "ნაიარევი"? საერთოდ, რას აგვიწერს ეს ტექსტი? ოდნავ ქვემოთ კი ასეთ ოკრობოკრო კონსტრუქციას ვხედავთ: "**შედარებით მცირე ზომის მაცხოვრის ჯვარცმის ამსახველი ქმნილება**". ღმერთო, რა შეგცოდე ასეთი?!

როგორც ვხედავთ, ავტორისათვის სრულიად უცხოა რელიგიური თემატიკა, მაგრამ ცოდნის ნაკლებობის შევსებას ის გარდამეტებული მოწიწების გამომხატველი სიტყვების დახვავებით ცდილობს და საერთო აბსურდი შეუმჩნეველი რჩება. იგივე ხდება ჩვენს საზოგადოებაშიც, სადაც შექმნილი მდგომარეობა ლამის თავდადებული რწმენისა და სრული არარელიგიურობის არნახულ შეხამებად შეიძლება მივიჩნიოთ. ეს შეხამება ხშირად ერთ პიროვნებაშიც გვხვდება. ტყუილად კი არ გაჩნდა ჩვენს მედიაში უცნაური გამოთქმა: "მორწმუნე მრევლი". ამას ფილოლოგიაში **პლეონაზმი** ეწოდება — ჩვეულებრივ პირობებში ხომ არავის მოუვა აზრად, თქვას "სველი წყალი", "ცივი ყინული", "ცხელი ცეცხლი".

ჰოდა, ვიმკით კიდეც ნაყოფს. ამის შესახებ **ზაზა ფაჩუაშვილი** მოგვითხრობს (*აქცია განათლების სამინისტროსთან*, 12 მაისი). აქ საქმე კიდევ ერთ წუმპესთან, კიდევ ერთ ტყუილთან გვაქვს: განათლების მინისტრმა, **ალექსანდრე ლომაიამ** გაზეთ "ხვალინდელ დღეს" მისცა ინტერვიუ (29 აპრილი), რომლის შინაარსმაც განარისხა "მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი". 11 მაისს შესაბამისი საპროტესტო აქცია მოეწყო: "**აქციის მონაწილეებმა ... მთელი ინტერვიუ წაიკითხეს, საიდანაც დაასკვნეს, რომ ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების ზოგიერთ ავტორს მინისტრი დეგენერატს უწოდებს, ხოლო თავად ჰაგიოგრაფიას — მკვდარ ტექსტს, რომელიც შეიძლება სანაგვეზეც აღმოჩნდეს**".

ვცადოთ ამ საკითხში სინათლის შეტანა. თანმიმდევრულად შევუდგეთ საქმეს:

1. ვის უწოდებს მინისტრი დეგენერატებს? ციტატა ინტერვიუდან: "**რატომ მიგაჩნიათ პატრიოტებად ადამიანები, რომლებიც რელიგიურ თემებზე კითხულობენ ვიღაც დეგენერატების ლექსებს, მაშინ როცა არსებობს გალაკტიონის, გოგლა ლეონიძისა და ანა კალანდაძის პოეზია? ჩემი შვილები საშინლად უაზრო ლექსებს სწავლობენ, რაც, ჩემი აზრით, დანაშაულია**". რა არის აქ გაუგებარი? ნუთუ მართლმადიდებელმა მშობლებმა არ იციან, რომ ჰაგიოგრაფია ლექსი არაა? ნუთუ ასე ძნელი გასარკვევია, რომ სასკოლო სახელმძღვანელოები (განსაკუთრებით დაბალი კლასებისა) ძირფესვიან რეფორმას მოითხოვს? ალექსანდრე ლომაიას ორი შვილი ჰყავს, 8 და 11 წლისა — ამ ასაკში ჯერ კიდევ ჰაგიოგრაფიას არ სწავლობენ, ჯერ კიდევ რაღაც მართლაც უაზრო ლექსებს ახვევენ თავს.

2. რატომ არის ჰაგიოგრაფია "მკვდარი ტექსტი"? ციტატა ინტერვიუდან: "**ჰაგიოგრაფია სძულთ მოსწავლეებს, იმიტომ რომ ვერაფერს იგებენ. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ წიგნის დახურვისთანავე ივიწყებენ. ეს არის მკვდარი ტექსტი, რომელიც დღევანდელ ცხოვრებაში გაჩენილ კითხვებზე პასუხს ვერ სცემს**". როგორც ვხედავთ, მინისტრი იმას თვლის ბოროტებად ("ყველაზე ცუდი"), რომ მოსწავლეები მალე ივიწყებენ ჰაგიოგრაფიას. მას მკვდარ ტექსტად სწავლების მანკიერი მეთოდიკა აქცევს, მაგრამ, როგორც ეტყობა, ჩვენს მართლმადიდებელ მშობლებს ყველაფერი უნდა დაუღეჭო — ისე ვერ იგებენ. ტექსტი მასწავლებელმა უნდა გააცოცხლოს, მაგრამ ვერ ახერხებს. განა მარტო ჰაგიოგრაფიაა მკვდარი? — თვით საღვთო წერილიც მკვდარია, რომ არა ღმერთი "**რომელმაც მოგვცა იმისი ძალა, რომ ახალი აღთქმის მსახურნი ვიყოთ; არა ასოსი, არამედ სულისა, ვინაიდან ასო კლავს ხოლო სული აცოცხლებს**" (2 კორინთელთა, 3, 6). რატომ უნდა გავკიცხოთ განათლების მინისტრი იმისათვის, რასაც პავლე მოციქული გაცილებით უფრო მკაცრად ამბობს?

3. რა უნდა გავაყოლოთ ნაგავს? მართლმადიდებელი მშობლები ამტკიცებენ, ჰაგიოგრაფიაო. ვნახოთ ციტატა ინტერვიუდან: "**მერე რა, რომ ეს ჩვენი ისტორიაა. ისტორიაში იმდენი ნაგავია, სად გადავყაროთ არ ვიცით**". სიტყვით "ისტორია" არ შეიძლება აღნიშნული იყოს რეალურად მომხდარი მოვლენები — მათ ვერსად გადაყრი. აქ უთუოდ ჩვენი ისტორიის სახელმძღვანელოში მოთავსებული უამრავი "ნაგავი" იგულისხმება. რატომ არასოდეს აღშფოთებულან მართლმადიდებელი მშობლები, მაგალითად, იმის გამო, რაც ისტორიის ერთ-ერთ სახელმძღვანელოში (ავტორები **რ. მეტრეველი**, **ლ. სანიკიძე**) თამარ მეფის შესახებ წერია (აი, გრაგნილის შეხებისას რომ დაორსულდა თითქოს). მართალია, სახელმძღვანელო გვარწმუნებს, ეს ხალხური ლეგენდააო, მაგრამ ბავშვებმა როგორ გაარჩიონ ლეგენდა სინამდვილისაგან, თუ მათ მშობლებს საგაზეთო ინტერვიუს გაგებაც კი უჭირთ.

სწორედ ისტორიის მითოლოგიზაციის წინააღმდეგ გვაფრთხილებს **გიორგი კაკაბაძე** თავის სტატიაში *აკაკის მრწამსი* (დამატება "წიგნები"). მართლაც, გაცილებით უფრო საინტერესო და სასარგებლო, რაც მთავარია, უფრო ჭეშმარიტი იქნებოდა, გაგვეცნო **თორნიკე ერისთავი** როგორც ისტორიული სინამდვილის მსხვერპლი, ესე იგი, ცოცხალი ადამიანი, ვიდრე როგორც აკაკის მიერ შექმნილი მითოლოგიური მხატვრული სახე. ეს უკანასკნელი უფრო ადვილი გზაა, წარმატებასაც შეიძლება მივაღწიოთ და ჩვენზეც შეიძლება დაწეროს რომელიმე მადლიერმა მოწაფემ ის მგზნებარე სიტყვები, რომლებიც ისტორიის ერთ მასწავლებელს, ლეოპოლდ პეჩს მიუძღვნა მისმა ერთმა ნამოწაფარმა: "**ჩვენი პატარა ეროვნული ფანატიზმი მისთვის ჩვენი აღზრდის იარაღი იყო. სულ უფრო ხშირად მოუწოდებდა იგი ჩვენი ეროვნული ღირსების გრძნობას და გაცილებით უფრო დიდ სიმაღლეებზე ავყავდით, ვიდრე ეს სხვა ნებისმიერი მეთოდით იქნებოდა შესაძლებელი. ამ მასწავლებელმა ისტორია ჩემთვის ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ საგნად აქცია**". ვერ ხვდებით, ვინ იყო ეს ნამოწაფარი? მაშინ კიდევ ერთ დახმარებას მოგაწვდით. ნახეთ, როგორი ძალით ილაშქრებს ეროვნული თვითშეგნებით სკოლის მერხიდანვე აღჭურვილი ეს ყოჩაღი ნამოწაფარი თავისი მტრების წინააღმდეგ: "**ჩემთვის სრულიად გაუგებარი იყო ის სიძულვილი, რომლითაც ისინი თავისივე ქვეყნის ისტორიას შეურაცხყოფდნენ და ტალახში სვრიდნენ მის უდიდეს მოღვაწეებს. ეს ბრძოლა საკუთარი ქვეყნის, საკუთარი ბუდის, საკუთარი კერის წინააღმდეგ უაზრო და გაუგებარია. ეს უბრალოდ არაბუნებრივია**". მეტს აღარ გაგაწვალებთ: ორივე ციტატა აღებულია ადოლფ ჰიტლერის წიგნიდან "ჩემი ბრძოლა", ავტორის მტრები კი სოციალ-დემოკრატები არიან, ანუ ისინი, ვისაც ინგლისში ლეიბორისტებს უწოდებენ. ნუთუ არ გაოცებთ, რომ მომავალი ფიურერის ეს სიტყვები შეიძლება შეუცვლელად გადავიტანოთ **შალვა ნათელაშვილის** ან **ჯონდი ბაღათურიას** რომელიმე საჯარო გამოსვლაში?

რას იზამ, ცხრუკვეთის სასწაულებრივ გზას რომ დავუბრუნდეთ, ის "შედარებით მცირე ზომის ჯვარცმა" ახლა თოკებზე დაჰკიდეს სიონის საკათედრო ტაძრის სტოაში. არ გაუმართლა "შედარებით მცირე ზომის ჯვარცმას" — არაკანონიკურად მიიჩნიეს სამგანზომილებიანი ქანდაკება, მაგრამ ვერც მთლად გადააგდეს. სამი დღის განმავლობაში ეკიდა ყველასაგან ათვალწუნებული, "მორწმუნე მრევლი" კი შიშითა და ძრწოლით გვერდს უვლიდა ხელმეორედ ჯვარცმულ ქრისტეს. ასე ხდება, როცა ღმერთს არ იცნობ, რწმენის წყურვილი კი გკლავს. ჰოდა, ემონები ყველას, ვინც მისი სახელით მოგმართავს და ვისაც სხვა არაფერი აინტერესებს, თუ არა ერთ-ერთ ყველაზე პროგრესულ მინისტრზე იერიშის მიტანა და ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმის დაბრკოლება. ვინ არის ეს იდუმალი, ცხვრის ტყავში გახვეული მგელი? მაგას ვინ იტყვის — ცოტაა ავის მოსურნე, შინაური თუ გარეული?

საზოგადოებაში მხურვალე მოშურნეობასთან შეწყვილებული სრული რელიგიური უმეცრება სუფევს, რელიგიის მესვეურები კი ამით თითქოსდა სარგებლობენ. ესაა ტაბუირების უპირველესი მექანიზმი. აქამდე ხომ არც ერთი "მართლმადიდებელი კავშირი" არ აღმოჩნდა, რომ ემხილებინა, მაგალითად, მთავარეპისკოპოსი **სერაფიმე (ჯოჯუა)** და ეპისკოპოსი **სტეფანე (კალაჯეიშვილი)**, რომლებმაც შარშან ნოემბერში ყველას გასაგონად დაწყევლეს პარლამენტის წინ შეგროვილი ხალხი, რომელიც საკუთარ ღირსებას იცავდა და ხელისუფლების გადადგომას ითხოვდა. აქამდე ხომ არავითარი რეალური შედეგები არ მოჰყოლია იმ უეჭველ და ყველასათვის აშკარა გარემოებას, რომ სინოდის 4 მაისის დადგენილება გაცილებით უფრო უარესი იყო თავისი შინაარსით **ვალტერ შვიმერის** განცხადებაზე. სად არის დავით აღმაშენებლის სული, რომლის წინაშე ასეთი გზნებით იფიცებოდა გელათში პრეზიდენტი სააკაშვილი? რუის-ურბნისის ის პირველი მადლიანი კრება ხომ სხვა არაფერი იყო, თუ არა საერო ხელისუფლების მიერ ეკლესიაში სათანადო წესრიგის დამყარება!

ამის მაგიერ ახლა თვალწინ გაუგონარ ლოზუნგებს გვიფრიალებენ: "სკოლაში სექსოლოგიის შემოღება ნიშნავს საქართველოს დაღუპვას!". განათლების სამინისტროს ერთ-ერთი დეპარტამენტის ხელმძღვანელი კი ბოდიშს იხდის: არა, როგორ გეკადრებათ, ასეთი რამ არც კი გვიფიქრიაო. მით უარესი თქვენთვის, ბატონებო! ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამათი შეგშინებიათ, მეორეც იმიტომ, რომ დაღუპვის მიზეზი სულ სხვაგანაა...

14 მაისის ნომერში დაიბეჭდა სოფიო თოდუას სტატია ჭეშმარიტად ლენინური სათაურით: *სწავლა, სწავლა და სწავლა*. საქმე ეხება დეპუტატ **ნინო კალანდაძის** ფოტოს, რომელიც ჟურნალ რეიტინგის ყდაზე დაიბეჭდა. ავტორი დეპუტატს რესპექტაბელურობის ნაკლებობაში ადანაშაულებს. დეპუტატი ფოტოზე ფეხმორთხმით (და არა ლოტოსის პოზაში!) ზის და წვივები უჩანს. ავტორი ბობოქრობს: "**კაფეშანტანებში ტლინკაობა საამურია, მაგრამ საზოგადოებრივ აზრს, და, შესაბამისად, პოლიტიკურ ამინდს სწორედ ისინი ქმნიან, ასეთ დაწესებულებებს იშვიათად რომ ეტანებიან**". სად ნახა თბილისში "კაფეშანტანი"? ან რატომ ჰგონია, რომ საზოგადოებრივი აზრის და, შესაბამისად, პოლიტიკური ნაწილის საკმაო წვლილი სწორედ "ასეთ დაწესებულებებში" არ იქმნება? ავტორის ტონმა რატომღაც "პუშკინის ინსტიტუტის" რექტორი, **ნათელა ვასაძე** მომაგონა, რომელიც, როგორც ამბობენ, ოდესღაც თავისი დაწესებულების კარებთან იდგა და შარვლით მოსულ გოგონებს სახეში ურტყამდა. სინამდვილემ აჩვენა, ვინ იყო მართალი. მაგრამ სტატიის ტექსტში კიდევ უფრო საინტერესო რამეს ვხედავთ: "**თუ პოლიტიკოსობა გინდა ... რესპექტაბელურად უნდა გამოიყურებოდე და მხოლოდ თინეიჯერების გულის მოგებას არ უნდა ცდილობდე, რადგან საშუალო ასაკის ამომრჩევლის ნდობის მოპოვება გაცილებით მნიშვნელოვანია. ქართული ელექტორატის ეს ნაწილი კი, როგორც წესი, კონსერვატორია და ტიტლიკანა პარლამენტარებს ისევ "ნომენკლატურული პოლიტიკოსები ურჩევნია**". ვერ გავიგე, რამ შეაძულა ასე თინეიჯერები. ან რა არის კარგი იმაში, თუ "ნომენკლატურა" გირჩევნია? მაგრამ განვაგრძოთ: "**ეს ანბანური ჭეშმარიტება ქართველმა პოლიტიკოსმა ქალბატონებმა საკმაოდ იოლად აითვისეს, ამიტომაც დაიარებიან ნინო ბურჯანაძე, მაია ნადირაძე, ფიქრია ჩიხრაძე, სალომე ზურაბიშვილი, თამარ ლებანიძე, თამარ სულუხია თუ თამარ ბერუჩაშვილი ყოველთვის პროტოკოლის შესაბამისად ჩაცმულ-დახურულები**". თავი დავანებოთ იმას, რომ ჩამონათვალში არეულია საკანონმდებლო და აღმსრულებელი ხელისუფლების წევრები, რომლებსაც "პროტოკოლის" მიმართ სხვადასხვა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ. მნიშვნელოვანი სხვაა: რატომ ფიქრობს სოფიო თოდუა, რომ ამ ყბადაღებული პროტოკოლის თანახმად ჩაცმულ-დახურული ქალი ნაკლებად ეროტიკულია, ვიდრე "ფეხებმოშიშვლებული". მართალია, ნინო კალანდაძე ერთი ჩვეულებრივი გოგოა, ალბათ პარლამენტშიც რაღაც გაუგებრობის წყალობით მოხვდა (ხდება ხოლმე), მაგრამ მათ, ვინც მასში ჩიჩოლინას ხედავს, ისევ ჯობდა სკოლაში ესწავლათ სექსოლოგია.

P. S. სასულიერო პირთა 13 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ წერილს მხოლოდ 16 ხელმოწერა აქვს წამძღვარებული. ტექნიკური მიზეზების გამო გამორჩენილია ერთი: მღვდელი **მამუკა თავხელიძე**, მიუნხენის წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის ქართული ეკლესიის წინამძღვარი



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge






## საკონცერტო დარბაზები

**კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
პროფესორ თენგიზ ამირეჯიბის კლასის კონცერტი
ეძღვნება ა. თულაშვილის 130 წლისთავს
დირიჟორი რევაზ ტაკიძე; ევგენი მიქელაძის სახელობის
სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი
პროგრამაშია: შოპენი, ლისტი, რაველი, რახმანინოვი, პროკოფიევი
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**ამირანი**
"ბინძური ცეკვები 2"
დას: 14:00; 20:00; 22:00 სთ.

"ვნების მუდმივი ნათება"
დას: 16:00; 18:00 სთ.
ფასი: 6-9 ლარი

## გამოფენა

**კაფე-სალონი "სახლი"**
ვახო ბესელიას ფოტონამუშევრების გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა

**სალონი "ხელოვნება"**
XIX-XX საუკუნეების ქართველ და უცხოელ მხატვართა
ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა

**"ქარვასლა"**
ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიის
მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა

**ბავშვთა ნახატების გალერეა**
სკოლა-კომპლექს "სადუნთან" არსებული შემოქმედებითი
სახელოსნოს მოსწავლეთა საქველმოქმედო გამოფენა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* ***culture@24hours.ge***

**23 მაისს და 6 ივნისს**

გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი "რუსული კლუბი" წარმოადგენს მუსიკალურ წარმოდგენას ალექსანდრე პუშკინის ზღაპრების მოტივებზე - "Превращения в Лукоморье"

დამდგმელი რეჟისორები: ინგა გარუჩავა და პეტრე ხოტიანოვსკი

კომპოზიტორი თენგიზ ჯაიანი.

დას: 13:00; 15:00 სთ.

# "ვეფხის და მოყმის" ახალი კონცეფციები ქართველ მხატვრებთან

თეონა ჯაფარიძე

კახეთის რეგიონში ამ ერთი კვირის წინათ ლეოპარდი რომ გამოჩნდა, ხომ ყველამ იცით? საინფორმაციო საშუალებები ორი დღის მანძილზე განუწყვეტლივ გადმოსცემდნენ ამ სენსაციურ ამბავს და თან იმასაც გვახსენებდნენ, რომ დაახლოებით 50 წლის წინათ, როცა მსგავს შემთხვევას ჰქონდა ადგილი, ახალი და უცხო ბინადარი ვიღაცის ტყვიამ იმსხვერპლაო. ქართველები ძნელად ვეგუებით, უცხოსა და რაიმე ახალს. დასაწყისში გვიყვარს სიახლეების მოკვლა და თავს ტრადიციებისადმი ერთგულებით ვიმართლებთ. ცოტა მოგვიანებით კი ვითავისებთ ხოლმე ამ ახალს, მაგრამ, სამწუხაროდ, მოგვიანებით...



*ვეფხისა და მოყმის ახალი ვერსია*

ქართველ მხატვართა ერთმა ჯგუფმა ლეოპარდის ახალი ვერსია ახალი ქართული ხელოვნების კონტექსტში გაიაზრა და თბილისის ისტორიის მუზეუმის (ქარვასლის) ერთ-ერთ საგამოფენო დარბაზში გამოფენას "ახალი ბინადარი" უწოდა. გამოფენა, ქართულ სახელოვნებო სივრცეში ჯერ კიდევ აუთვისებელ და ახალ სფეროს – კურატორულ საქმიანობას მიეძღვნა. აფიშაც კი დაიბეჭდა კახეთში გამოჩენილი ლეოპარდის ფოტოთი წარწერით – "ახალი ბინადარი", რომელიც გვატყობინებდა, რომ 16 მაისს ქარვასლაში ხელოვნების გამოფენა გაიმართებოდა.

სემინარები და ვორკშოპები კურატორული საქმიანობის სფეროში "მაფის", ანუ "მედია არტ ფერმის" მიერ მოწვეულმა გერმანელმა და შვეიცარიელმა სპეციალისტებმა ჩაუტარეს უკვე არსებულ, თუ მომავალ კურატორებსა და, რასაკვირველია, მხატვრებს. სემინარების პროგრამა, რომელსაც ასე ერქვა: - "ძიება საზღვრების გარეშე" - ორ კვირას გაგრძელდა, და გუშინ "გოეთეს ინსტიტუტში" დასრულდა, რის შესახებაც დაწვრილებით ინფორმაციას გაზეთი "24 საათი" უახლოვეს პერიოდში შემოგთავაზებთ. მე მხოლოდ გამოფენის "ახალი ბინადარის" შესახებ გიამბობთ.

გამოფენა, რა თქმა უნდა, კურატორის გარეშე შედგა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩვენში ამ "ახალ ბინადარს" ფეხი ჯერ კიდევ ადგმული არ აქვს და ის ახალი ურთიერთობები, რაც კურატორულ საქმიანობას თან სდევს, შემოქმედებითსა თუ ბიზნესის სფეროში ჩვენთვის ჯერ მხოლოდ ახალია. გამოფენის კონცეფციასა და ფორმაზე ისევ და ისევ მხატვრებმა იზრუნეს: "ინსტალირებული სივრცე შევქმენით" – მეუბნება ილიკო ზაუტაშვილი. ეს ინსტალირებული სივრცე ქარვასლის ჩაბნელებული, ფორმით წაგრძელებული, მართხკუთხა დარბაზია, სადაც დარბაზის თავსა და ბოლოში კედელზე ორი ვიდეოპროექცია ანათებს:

ვიდეო-არტი, სადაც მონოტორულად გაისმის ინგლისური, ხმოვანებით თითქოს ერთნაირი, მაგრამ სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვები, მხატვარ მამუკა ჯაფარიძეს ეკუთვნის. მამუკა ჯაფარიძეს აქამდეც ბევრი ნამუშევარი შეუქმნია სიტყვათა კონტექსტუალურ თამაშზეც და ახლაც, სიტყვები Curator (კურატორი), Creative (შემოქმედებითი) და Crater (კრატერი) კურატორის შემოქმედთან თანამშრომლობაზე მიგვანიშნებს. "კურატორის ჩარევის დროს, ერთი შეხედვით თითქოს შემოქმედის თავისუფლება საეჭვო ხდება, მაგრამ ურთიერთობების დროს მხატვარიც კორექტული უნდა იყოს და კურატორიც. მხატვრის ინდივიდუალიზმი კურატორის მიერ შემოთავაზებულ ფორმებს უნდა მოერგოს." – ამბობს მამუკა ჯაფარიძე.

მეორე ვიდეო-არტს ორი ავტორი ჰყავს: ნიკო ცეცხლაძე და მაკა ბატიაშვილი. ნამუშევარს "გულის ცემა" ჰქვია. ლამაზი ნამუშევარია, ერთი შეხედვით, კომპოზიციურად მიქელანჯელოს "ადამის შექმნას" მოგაგონებთ, ვიდეოპროექცია კი ასეთ გამოსახულებას გვიჩვენებს: ორი მოსიყვარულე ადამიანი ფანჯრის დაორთქლილ მინაზე თითებით გულის ფორმებს ხატავენ. ნამუშევრის აუდიო ფონს გულის ცემის ხმა შეადგენს.

ილიკო ზაუტაშვილმა ორი ფოტო წარმოადგინა. ნამუშევრები 1993 წელს ინგლისშია შექმნილი და "სანსარა" (ცხოვრების წრებრუნვა") ჰქვია. ფოტოებს თან წარწერა ერთვის: "ერთხელ სიტყვა Earth-ში (დედამიწა) სიტყვა art აღმოვაჩინე. ამის შემდეგ აღარაა საჭირო ვეძებო არტი, იმიტომ რომ ის ყველგან და ყველაფერშია.

ინსტალაციურ სივრცეში ანთეა ნიკოლსონის ხელით, ფანქარში შესრულებული ჩანახატია, რომელსაც "დაუსრულებელი ნამუშევარი" ჰქვია და როგორც თავად მხატვარმა მითხრა, ის "ტექნოლოგიების წინააღმდეგ მიმართულ რეაქციას გამოხატავს".

გამოფენაზე "ახალი ბინადარი" ოლეგ ტიმჩენკოსა და ვახო ბულაძის მიერ წლების წინ ინტუიციურად შექმნილი ფერწერული ნამუშევრებიცაა, სადაც ლეოპარდებია გამოსახული. ინსტალაციურ სივრცეს კომპოზიციურად ირა კურმაევას ნამუშევარი კრავს, რომელიც დარბაზის ერთ მთლიან კედელს იკავებს. ნამუშევარს "სენსორი" ჰქვია.

დაახლოებით ასეთი ექსპოზიცია შეიქმნა კურატორის გარეშე ქარვასლის ერთ-ერთ საგამოფენო დარბაზში.

**P.S.** "ახალი ბინადრისა" და ჩვენს ძველ გარემოში გამოჩენილ სიახლის კონტექსტს კი ქართველმა მხატვრებმა კიდევ ერთი კონცეფციაც დაამატეს: "ძველი ტრადიცია (შოთა რუსთაველი ან "ვეფხი და მოყმე") ხოცავდა ვეფხვებს. ჩვენ კი გვინდა ჩვენს გარემოში გამოჩენილმა ამ ახალმა ბინადარმა იცოცხლოსო" – განაცხადეს მათ.

# ქუჩის ფესტივალი

ნინო ჯორჯაძე

*თურმე, ბევრია ისეთი ადამიანი, ვისაც სცენაზე, ტელევიზიით ან რადიოში ზოგიერთი კონკრეტული მომღერლის მოსმენას ურჩევნია, ქუჩაში, კერძოდ - ერეკლე მეორის ქუჩაზე იდგეს და მეტ-ნაკლებად უცნობ მომღერლებს უსმინოს.*

ეს კი უკვე რვა კვირაა, ყოველ შაბათს შესაძლებელია. ცოცხალი მუსიკა, ძირითადად, თანამედროვე როკი, კარგი ჟღერადობა, კარგი აპარატურა, რომელსაც მუსიკალური სალონი "მი-fa-სი" უზრუნველყოფს, ბევრს ანიჭებს სიამოვნებას შაბათობით. ამ აქციას უკვე დაერქვა ქუჩის ფესტივალი. ქუჩა არ არის მხოლოდ ბიჭ-ბუჭების და "ბომჟების", ქუჩა კარგი მუსიკის თავშესაფარია (თუმცა, "ბომჟებს" და "მობომჟო" ახალგაზრდებს აქ ბევრს ნახავთ).

აქ მსმენელი მუსიკოსთან ახლო კონტაქტში შედის. მუსიკასთან კონტაქტი... ეს ყველაზე ცხადად და ნათლად, პირადად მე, ცხოვრებაში პირველად ნინო ქათამაძის კონცერტზე ვიგრძენი, ქობულეთის ერთ-ერთ ბუნგალოში. აქ კი, ქუჩის ფესტივალზე ის მომღერლები გამოდიან, ვისაც არ აქვს საშუალება, თავისი მუსიკა ფართო მსმენელს გააცნოს. როგორც ზაზა კორინთელმა აგვიხსნა, შემსრულებლები მოდიან, ტოვებენ თავიანთ მონაცემებს. შემდეგ "მი-fa-სი" მათ აწყობილ ინსტრუმენტებს და ასპარეზს ახვედრებს. მსმენელთა რაოდენობა კი თანდათანობით იზრდება, ჩნდება ახალი სახეები...


*ეს მუსიკოსები თავს ყველაზე კარგად ქუჩაში გრძნობენ*

ღონისძიებას განსაკუთრებულ ხიბლს სძენდა ორიგინალური, ნატიფი ნამუშევრები, რომელთა ავტორი - ლელა კაციაშვილი იქვე, მაყურებელთა თვალწინ, უბრალო საგნებისგან ქმნიდა თავის განუმეორებელ საათებს, ულამაზეს აქსესუარებს...

"ერთფეროვნება ყველას ბეზრდება, - გვითხრა მამუკა ბერიკამ, – ერთფეროვნებაა ის, რასაც მასმედია განუწყვეტლივ აწვდის პუბლიკას." ამ აზრს ეთანხმება ზაზა კორინთელიც. მას სურს, რომ მსმენელს ალტერნატივა გაუჩნდეს. ფსევდო-ხელოვნების გარდა, არსებობს ნამდვილი ხელოვნებაც, რომელიც მუსიკოსებს დიდ შრომად უჯდებათ. "გვაქვს ტელევიზიებთან მოლაპარაკება, რომ ეს შაბათები ექსკლუზიურად გაშუქდეს, იმ დაბალი ხარისხის "პროდუქციის ფონზე", რომლითაც გადატვირთულია ტელესივრცე. ქუჩის ფესტივალმა უკვე 17 ახალი ჯგუფი წარმოაჩინა; ისინი საკუთარ სიმღერებს მღერიან და არა მოპარულს. ჩვენ ჩავწერთ ამ მუსიკალურ ნომრებს კარგი ხმით, კარგი გამოსახულებით და მსმენელს არჩევანის საშუალებას მივცემთ," - ასეთია ქუჩის ფესტივალის ორგანიზატორების გეგმები. გარდა ამისა, გაიმართება შემაჯამებელი, დასკვნითი ღონისძიებაც, რომელზეც ჯგუფებს გადაეცემათ პრიზები, ინსტრუმენტების სახით.

ორგანიზატორებს, მომღერლებს ამგვარი აქციებით თუ კონცერტებით ქალაქის გაცოცხლება სურთ. ამისათვის მათ მთავრობის მხარდაჭერა უკვე აქვთ. ამის განხორციელება, ჯერჯერობით, მხოლოდ შარდენზე და ერეკლეს ქუჩაზე მოხერხდა. იმედია, ეს ხალხი ამ ყველაფრისათვის სისტემატიური და გლობალური სახის მიცემას შეძლებს და ზაზას თქმის არ იყოს, უცხოეთის მსგავსად, ყოველ ფეხის ნაბიჯზე გადაეყრებით ქუჩის თეატრს, კონცერტს, ქუჩის ხელოვნებას ან ხელოვნებას ქუჩაში.

# "მე იალქანი უნდა გავშალო"



ნათია ვადაჭკორია

ერთი წლის წინათ ტრაგიკულად დაღუპული 18 წლის დათა გულუას (ბაკურ გულუას შვილი) ხსოვნას ეძღვნება ერთი მსახიობის თეატრში დადგმული და მაყურებლისთვის წარმოდგენილი ლიტერატურული კომპოზიცია – "მე იალქანი უნდა გავშალო..."

ერთი შეხედვით, რა უნდა მოესწრო და რა უნდა გაეკეთებინა 18 წლის ბიჭს, ამ ქვეყანაზე დიდი კვალი რომ დაეტოვებინა. თუმცა, ეს ერთი შეხედვით. სინამდვილეში კი, უმშვენიერეს ყმაწვილს, დათა გულუას ბევრი რამ მოუსწრია.

მეტერლინკის სევდიანი ზღაპარივით, მის დანატოვარ შემოქმედებას – ჩანახატებს, ჩანაწერებსა და ლექსებს, რაღაც არამიწიერი სდევს თან, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ყველა მის ნაწერს წინასწარმეტყველური ტონი აქვს. ალიონზე განცდილი ტკივილი, მომავლის, გალაქტიკის მზეს, ხელში დაჭერილ ჟანგით დაღრღნილ სინდისს თუ სხვა პერიფრაზებს ავისმომასწავებელი ელფერი დაჰკრავს. სხვა თუ არა, აბა 18 წლის ბიჭს რატომ უნდა დაეწერა – "ჩემს სხეულს მალე სილა ეყრება...", ანდა – "მე არ მოვმკვდარვარ, მხოლოდ ვიცოცხლე...", "ერთიც დამითმე ხნიერი ნოტი". დაბოლოს, რექვიემი – "ჩემს პროცესიას მეგობრებო, მოჰყევით ნელა..." იმქვეყნად კი, ავტორს მძინარე მოცარტი, სალიერი და ტიციანი ეგებებიან. ყველაფერი ამის მოსმენისას, ტანში ჟრუანტელი დაგივლით და ვერც ცრემლებს შეიკავებთ, მით უმეტეს, რომ დათა გულუას პროზასა და პოეზიას მურმან ჯინორიას შესრულებით მოისმენთ.

ბოლოს კი, თითქოს ანდერძი დაგვიტოვაო, ავტორი გვირჩევს – "იბრძოლეთ სიყვარულისთვის, რადგან სიყვარული ყველაზე დიდი განძია ამ ქვეყანაზე..." მოკლედ, გაშლილი იალქნით, სიყვარულით და სევდით დატოვა დათა გულუამ ეს წუთისოფელი. ლიტერატურულ კომპოზიციას თან სდევს ნიაზ დიასამიძის მიერ შესრულებული – "დრო დროზე სწრაფად მიჰქროდა". ასე სწრაფად და უდროოდ გაირბინა დათა გულუას ამქვეყნიურმა ცხოვრებამაც და სამუდამო სასუფეველი დაიმკვიდრა.

# გარდაცვლილის შეურაცხყოფა

მოსკოვში უცნობებმა ვლადიმირ ვისოცკის ძეგლი შეურაცხყვეს. სამართალდამცავი ორგანოების ინფორმაციით, შაბათს, საღამოს ექვს საათზე მილიციას მიაკითხა ვაგანკოვის სასაფლაოს კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელმა, რომელმაც მათ უცნობების მიერ ცნობილი რუსი პოეტისა და მომღერლის საფლავის წაბილწვის შესახებ აუწყა. ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა საფლავზე დაგდებული თეთრი საღებავით სავსე ქილა ნახეს. ამჟამად დაჭერილია ორმოცი წლის მოსკოველი მამაკაცი. ჯერჯერობით საქმესთან დაკავშირებით, ცნობილია რომ მას გაუსვლელობის ხელწერილი დააწერინეს.


*ვლადიმირ ვისოცკი*

## გაზეთები

ტოკიოს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე წარსულ დღეებს იხსენებენ: ახლახანს გაიხსნა ძველი გაზეთების გამოფენა, სათაურით - "პროპაგანდა 1905-1945". გამოფენაზე 450 გაზეთია წარმოდგენილი, რომელთა უმრავლესობაც უკვე 100 წლისაა. გაზეთებში, ძირითადად, რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წლების ომი და მეორე მსოფლიო ომია გაშუქებული.

## წიგნები

ამერიკა განგაშით აღნიშნავს წიგნის სამყაროში არსებულ კრიზისს. ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით 2003 წელს მხოლოდ 2,33 მილიარდი წიგნი გაიყიდა მთელ ამერიკაში, რაც 23 მილიონით ნაკლებია წინა წლის მონაცემებთან – შეშფოთებით აღნიშნავენ წიგნის მაღაზიის მფლობელები, რადგანაც ისეთ წიგნებზეც შემცირდა მოთხოვნა, როგორიცაა საბავშვო, რელიგიური და კლასიკური ლიტერატურა, რაც მფლობელების განცხადებით ყველაზე კარგად იყიდებოდა. სანამ მფლობელები გასაჭირში არიან, ექსპერტები ერთ-ერთ მთავარ გამომწვევ მიზეზად ამერიკაში იაფფასიანი, ნახმარი წიგნების პოპულარიზაციას ასახელებენ. "ჩვენთან 2003 წელს, მხოლოდ 100 ათასი წიგნი გამოვიდა, რომელთა შორის ყველაზე დიდი მოთხოვნით როულინგის "ჰარი პოტერი და ფენიქსის ორდენი", ჰილარი კლინტონის მემუარები და დენ ბრაუნის თრილერი "კოდი და ვინჩი" იყიდება" – სინანულით აღნიშნავენ ამერიკელები.

## კახელები ფრანგ ხელოვანებს მასპინძლობენ

კახეთში გრძელდება საფრანგეთის კულტურის დღეები, რომელიც 12 მაისს დაიწყო და 29 მაისამდე გაგრძელდება. მისი ინიციატორია საფრანგეთის იონის დეპარტამენტის გენერალური საბჭო. დაგეგმილია კახეთის თითქმის ყველა რაიონში, მათ შორის, გურჯაანში, ყვარელსა და თელავში გამოფენები, კონცერტები და თეატრალური წარმოდგენები. ღონისძიებებში მონაწილეობას ფრანგ მსახიობებსა და მხატვრებთან ერთად ქართველი ხელოვანებიც მიიღებენ. 25 მაისს გაიმართება დასკვნითი ღონისძიებები ველისციხეში და თელავში. საფრანგეთიდან კახეთს ეწვევიან იონის დეპარტამენტის გენერალური საბჭოს წარმომადგენლები. *მედია-ნიუსი*

# ქართული მუსიკა ისეთივე ლამაზია, როგორიც თავად ქართველები და მათი ქვეყანა

### ინგოლშტადტის ქართული კამერული ორკესტრი 40 წლისაა

პირველი გვერდიდან


40 წლის ორკესტრი

ამასობაში ორკესტრთან ერთად, მუსიკოსებსაც თმა შეევერცხლათ. თითქოს გუშინ იყო, როდესაც ცნობილმა ქართველმა დირიჟორმა გივი აზმაიფარაშვილმა ახალგაზრდა მუსიკოსებისგან საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი ჩამოაყალიბა. ეს "გუშინ" კი 1964 წელი გახლდათ. ვეცდები, ციფრებისა და თარიღების "კორიანტელით" მკითხველი არ გადავღალო, მაგრამ ჩვენი საამაყო მუსიკოსების მნიშვნელოვანი ბიოგრაფიული ეტაპების გახსენებას ვერც მე და ვერც თქვენ გავექცევით. ყველაფერი კი ასე დაიწყო: 1964 წელს ორკესტრმა გივი აზმაიფარაშვილის დირიჟორობით პირველი ოფიციალური კონცერტი იზეიმა. 1968 წელს დიდი მაესტრო გამოჩენილმა მუსიკოსებმა, მარინე იაშვილმა და მისმა მეუღლემ, იგორ პოლიტკოვსკიმ შეცვალეს. მათ კი მოგვიანებით, 1974 წელს სადირიჟორო პულტი ქაიროს კონსერვატორიის პროფესორსა და ქართული კამერული ორკესტრის ყოფილ წევრს, ედუარდ სანაძეს დაუთმეს. ქართველი დირიჟორების კარიერა კი ლიანა ისაკაძემ, ორკესტრში თავისი 15-წლიანი მოღვაწეობით, დაასრულა. ხელმძღვანელთა შერჩევა და დანიშვნა (მაშინ, როცა წესით ამას ორკესტრის წევრებს არ ეკითხებოდნენ) ამ შემთხვევაში მეტად ლიბერალურად და შეძლებისდაგვარად დემოკრატიულ საწყისებზე ხდებოდა. ყველა ხელმძღვანელი ინიშნებოდა მუსიკოსებთან შეთანხმების საფუძველზე, მათი აქტიური ჩარევითა და უშუალო ინიციატივით. ასე, რომ ორკესტრი ნაწილობრივ თავად წყვეტდა თავის ბედს.

## ბრძოლა გადარჩენისათვის თუ წარმატებული შემთხვევა?

1990 წლის აგვისტოში ორკესტრი შლეზვიგ-ჰოლშტაინის საერთაშორისო ფესტივალზე (ჩრდილოეთ გერმანია) მორიგ ვიზიტად იმყოფებოდა. ფესტივალის ერთ-ერთი სპონსორი და ორგანიზატორი საავტომობილო კონცერნი Audi გახლდათ, რომლის მესვეურები ორკესტრთან დამეგობრებული ატცეროტების ოჯახის დიდი დახმარებითა და შუამდგომლობით (ატცეროტების საკონცერტო სააგენტომ ქართველი მუსიკოსები გერმანიაში 1986 წელს მიიწვია და მას შემდეგ ჩვენი თანამემამულეების დიდი ქომაგი და გულშემატკივარია), ლიანა ისაკაძესთან ოფიციალური შეხვედრით დაინტერესდნენ. გადაწყდა ქართული ორკესტრის რამოდენიმე თვით ინგოლშტადტში დარჩენა. სკანდინავიის ქვეყნებში საგასტროლოდ გამგზავრების წინ ქალაქის ინტელიგენციისა და ახალგაზრდობისთვის ორი უფასო კონცერტი გაიმართა. პუბლიკის აღფრთოვანება და ქართველების წარმატება ინგოლშტადტის მერის სამუშაო კაბინეტში გაფორმებული ერთწლიანი კონტრაქტით დაგვირგვინდა, რომელიც უკვე 14 წელია, სისტემატურად გრძელდება.

**იურგენ კიოლერი, ორკესტრის გენერალური დირექტორი:** "როგორც ქალაქის კულტურის რეფერენტის მოადგილე, თავიდანვე აქტიურად ჩავერთე ქართული ორკესტრის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებში და პასუხისმგებლობა ავიღე მუსიკოსებისთვის სამუშაო და საცხოვრებელი პირობების შექმნაზე. ყველაფერი ქალბატონ ლიანა ისაკაძისა და ქალაქის მერის, პეტერ შნელის ოფიციალური შეხვედრისას გადაწყდა. როდესაც ქალბატონმა ისაკაძემ 1995 წელს ორკესტრიდან წასვლა გადაწყვიტა, დავიწყე რთული მდგომარეობიდან გამოსავლის ძებნა. საბოლოოდ, 1996 წელს, ქალაქმა, ორკესტრის წევრებთან ერთად "შეზღუდული პასუხისმგებლობის საკონცერტო საზოგადოება - ინგოლშტადტის ქართული კამერული ორკესტრი" შექმნა, რომლის წევრობაც ქალბატონმა ლიანამ არ ისურვა და ცოტა ხანში ქალაქი დატოვა. იმ დროიდან მოყოლებული, ვცდილობ გერმანულ ბაზარზე ორკესტრის წარმატებულად გაყვანას. 1996-2000 წლებში უდირიჟოროდ დარჩენილ ქართველებს სხვადასხვა მოწვეულ ხელმძღვანელებთან ერთად უხდებოდათ მუშაობა, ვიდრე 2000 წლის მაისში შესაძლებელი გახდა მარკუს პოშნერის მთავარ დირიჟორად და სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშვნა. ერთობლივი ნაყოფიერი მუშაობის შედეგად ჩვენი კოლექტივი ქალაქ ინგოლშტადტსა და გერმანიის საერთაშორისო ფესტივალებზე დიდ წარმატებებს აღწევს".

## Audi - სპონსორი თუ მეპატრონე?

ორკესტრის უშუალო დამფუძნებელი, მფარველი და ხელშემწყობი, ქალაქი ინგოლშტადტია. Audi-სთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, წელიწადში 5-6 კონცერტი იმართება სააქციო საზოგადოების დაკვეთით. დანარჩენი ღონისძიებების ორგანიზება ქალაქის მერიის პრეროგატივაა. 5 წლის წინ შეიქმნა "ქართული ორკესტრის მეგობართა წრე" (Der Freuneskreis), რომელშიც მუსიკის 320 მოყვარულია გაერთიანებული. მათი დიდ ნაწილს პედაგოგები, იურისტები, სასულიერო პირები, ინგოლშტადტის ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები შეადგენენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ორკესტრიდან ლიანა ისაკაძის წასვლის შემდეგ, 1996 წელს ქართველი მუსიკოსები "მეთაურის" გარეშე დარჩნენ. ასე გაგრძელდა 1999 წლამდე, როცა სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდა. მონაწილეობის მისაღებად 196-მა მსურველმა შეიტანა განცხადება. საბოლოოდ, დღევანდელმა მთავარმა დირიჟორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა, მარკუს პოშნერმა გაიმარჯვა.

**ვიტალი სიხარულიძე, მუსიკოსი:** "სადაც არ უნდა ვყოფილიყავით, ჩვენი უპირველესი ამოცანა ქართული მუსიკის სამსახური იყო. ბედნიერებაა, რომ ჩვენი ორკესტრის ხელმძღვანელი, შესანიშნავი დირიჟორი და ბრწყინვალე პიროვნება, მარკუს პოშნერი დიდ უპირატესობას ანიჭებს ქართულ ნაწარმოებებს, რომლებიც ჩვენს საკონცერტო პროგრამაში დომინირებს. საამაყოა, რომ რეპერტუარში ქართულ მუსიკას, გერმანელ დირიჟორთანაც კი ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს და, ფაქტობრივად, ვაგრძელებთ ჩვენს ამ ტრადიციას".

**მარკუს პოშნერი, მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი:** "ორკესტრი 1998 წელს გავიცანი. ჩვენ თავიდანვე კარგად გავუგეთ ერთმანეთს და პირველმა კონცერტებმაც კარგად ჩაიარა. რა თქმა უნდა, ყოველივე ამის შემდეგ, ჩემის მხრივ, ბუნებრივი იყო მთავარი დირიჟორის თანამდებობაზე საკუთარი კანდიდატურის წარდგენა. მიუხედავად იმისა, რომ ნასიძის, თაქთაქიშვილისა და ცინცაძის ნაწარმოებებს ხშირად ვუკრავთ, ყოველთვის რაღაც ახალსა და განსაკუთრებულს ვპოულობ მათში. ყოველივეს ჩვენი ორკესტრის მიერ შესრულება და სადირიჟორო პულტიდან მოსმენა დიდ სიხარულს მანიჭებს. იმის განურჩევლად, რომ ქართულ კლასიკურ მუსიკას უკვე კარგად ვიცნობ, შესანიშნავი გრძნობაა, არა მხოლოდ წაუძღვე, არამედ მუსიკოსების (რომელთაც ყველა ბგერა და ნოტა ზედმიწევნით იციან) დინებას გაჰყვე. ქართულ მუსიკას ვგრძნობ, როგორც უსასრულოდ მდიდარს, ვინაიდან მასში გულსა და გონებას, ემოციასა და წყობას შორის არსებულ მომაჯადოვებელ ბალანსს ვხედავ".

## "ერთი ოჯახი" თუ ...

**იურგენ კიოლერი:** "ორკესტრის წევრებთან ურთიერთობები მეტად მრავალფეროვანია. მე არა მხოლოდ დირექტორი, არამედ მათი მეგობარი და განსაკუთრებულ სიტუაციებში მრჩეველიც ვარ. ისინი ერთ "დიდ ოჯახს" წარმოადგენენ. თავიდან, უცხო კაცისთვის საკმაოდ რთული იყო მათ წრეში ინტეგრირება. მაგრამ, ამ ურთიერთობის 14-წლიანი ისტორიის მანძილზე, თამამად ვიტყვი, რომ მეც მათ საზოგადოებას ვეკუთვნი. რა თქმაუნდა, არსებობს თემები, რომლებიც ჩემი მხრიდან კონკრეტული და კატეგორიული გადაწყვეტილებების მიღებას მოითხოვენ, მაგრამ დღემდე ყველა ჩემი ნაბიჯი, ხანგრძლივი დისკუსიების შემდეგ, ორკესტრთან შეთანხმებით იქნა გადადგმული. 1999 წელს ინგოლშტადტში "ქართული კამერული ორკესტრის მეგობართა წრის" შექმნა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ქალაქმა იგი მხურვალედ ჩაიკრა გულში. ქართველების მუსიკა მათი ცხოვრებისა და კულტურის შემადგენელი ნაწილია. ყოველ კონცერტზე ისინი არა მხოლოდ ხელებით, არამედ გულით უკრავენ ინსტრუმენტებს, რასაც შესაბამისად ღებულობს პუბლიკა. ეს ყველაფერი წარმატების უმთავრესი წინაპირობაა."

**მარკუს პოშნერი:** "ქართული კამერული ორკესტრის დირიჟორობა ჩემთვის განსაკუთრებული რამაა. არ მსურს, სენტიმენტალური ვიყო, მაგრამ ტერმინი "ოჯახი" ამ შემთხვევაში არ არის უსაფუძვლო. დიახ, ჩვენ ერთი დიდი ოჯახი ვართ მთელი თანამდევი თვისებებით. რა თქმა უნდა, არსებობს ცხარე კამათიც, მაგრამ არავითარ შემთხვევაში - ბოროტად განზრახული კონფლიქტები. ურთიერთგაგება და ნდობა წმიდათაწმიდაა ყოველი წევრისთვის, რომელიც 100 პროცენტიანი თანადგომისა და საერთო საქმის ერთად კეთების გარანტია: იგივეს გრძნობს პუბლიკაც, რომელსაც ქართული ორკესტრის განუმეორებლობა აღაფრთოვანებს".

## "გასტროლები" სამშობლოში

ორკესტრი ყოველწლიურად მართავს კონცერტებს საქართველოში. გასული წლის მოგზაურობა "მეგობართა წრემ" დააფინანსა. ჩვენი თანამემამულე მუსიკოსები კონსერვატორიის დიდ დარბაზსა და ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში წარდგნენ მშობლიური პუბლიკის წინაშე. კონცერტებში კამერულ ორკესტრთან ერთად ანსამბლი "რუსთავი" და ცნობილი გერმანელი მუსიკოსი დანიელ რიონი მონაწილეობდნენ. ა.წ. სექტემბერში ჩვენს დედაქალაქში კვლავ 2 კონცერტია დაგეგმილი: პირველი გოეთეს ინსტიტუტის (თბილისის ფილიალი) 10 წლისთავს ეძღვნება, ხოლო მეორე — ორკესტრის იუბილეს.

**მარკუს პოშნერი:** "ქართული მუსიკა ისეთივე ლამაზია, როგორიც ქართველი ხალხი და მათი ქვეყანა. მსგავსი ურთიერთკავშირი ასე მკაფიოდ, საქართველოს გარდა, არსად მინახავს. ქართული მომაჯადოებელი სტუმართმოყვარეობისა და გულღიობის აღწერა შეუძლებელია. ძალიან მიხარია, რომ სექტემბერში, გოეთეს ინსტიტუტის სპონსორობითა და ხელშეწყობით, კიდევ ერთ მოგზაურობას შევძლებთ თბილისში. ჩემი მიზანია, წელიწადში მინიმუმ ერთხელ საქართველოში ჩასვლა."...

## ორკესტრი და ქართველი კომპოზიტორები

აღსანიშნავია, რომ კოლექტივის ძირითადი "ბირთვი" და "ხერხემალი" დაარსების დღიდან მის შემადგენლობაშია. მუსიკოსი ნათელა ჩხუბიანიშვილი მოღვაწეობის 40 წლისთავს ზეიმობს. 1968 წლიდან, ორკესტრის ბედს ვიტალი სიხარულიძე იზიარებს. ერთი წლით "უმცროსები" არიან თამაზ ლომიძე და სამსონ გონაშვილი. შემდეგ ნაკადს დავით ცხადაია, ლიკა ჩხარტიშვილი და მარინე მკერვალიშვილი წარმოადგენენ. ცხადია, მუსიკოსთა გარკვეული ნაწილი ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული.

**ვიტალი სახარულიძე:** "ორკესტრის სახის ღირსეულად წარმოდგენა ყოველთვის უმთავრესი იყო ჩვენთვის. საბჭოთა კავშირის დროსაც, ანუ როდესაც ბევრი რამ მოსკოვზე იყო დამოკიდებული, პირველ რიგში, ქართულ მუსიკალურ კულტურას წარმოვადგენდით. ქართველი კომპოზიტორების თითქმის ყველა თაობისთვის გვაქვს სამსახური გაწეული. მათ ნაწარმოებებს ვასრულებდით როგორც სამშობლოში, ასევე სსრკ-ს ტერიტორიასა და საზღვარგარეთ. სულხან ნასიძემ ორი მნიშვნელოვანი პრემია მიიღო თავისი მოღვაწეობის მანძილზე: რუსთაველის სახელმწიფო პრემია ("N 3 კამერული სიმფონია") და სსრკ სახელმწიფო პრემია ("ორმაგი კონცერტი ვიოლინოსა და ვიოლენჩელოსათვის", რომელსაც ლიანა და ელდარ ისაკაძეები ასრულებდნენ და რომლის პრემიერაც 1984 წელს გერმანიის ქალაქ შტუტგარტში შედგა). ორივე ნაწარმოები, რომლებიც დღემდე რეპერტუარში გვაქვს შეტანილი, სპეციალურად ჩვენი ორკესტრისთვის დაიწერა. ჩვენთვის ქმნიდნენ ასევე: ოთარ თაქთაქიშვილი, სულხან ცინცაძე, ნოდარ მამისაშვილი, ვაჟა აზარაშვილი, ნოდარ გაბუნია, ბიძინა კვერნაძე და ჩვენც, დიდი სიამაყით ვასრულებდით და ვასრულებთ მათ კომპოზიციებს. 5 წლის წინ, გერმანიაში, ორკესტრის 35-წლისთავისადმი მიძღვნილი ორი კონცერტი ჩატარდა მიუნხენსა და ინგოლშტადტში, სადაც ევროპის მასშტაბით ქართული საკომპოზიტორო სკოლა, სრული სახით პირველად იქნა წარმოდგენილი. თბილისში გამართულ იმავე კონცერტში მარინე იაშვილმა და სახელგანთქმულმა ფრანსუა ლელიუმ მიიღეს მონაწილეობა (ეს უკანასკნელი რამოდენიმე ხნის წინ, ცნობილ ახალგაზრდა მუსიკოსზე, ლიზა ბათიაშვილზე დაქორწინდა)".

## ფინანსური მდგომარეობა და სამომავლო გეგმები

სააბონემენტო კონცერტებზე დიდი მოთხოვნილებაა. ხელმომწერთა რიცხვი შარშანდელთან შედარებით, 104 ერთეულით გაიზარდა. მასმედიის საშუალებები, ორკესტრის 14-წლიანი მუშაობის დადებითი შეფასებით, დიდ დახმარებას უწევენ ქართველ ხელოვანებს. როგორც იურგენ კიოლერი აცხადებს, კამერული ორკესტრი განაგრძობს მსოფლიო ვარსკვლავთან, ჯიორა ფაიდმანთან 2003 წელს დაწყებულ თანამშრომლობას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელთან ერთად გამოცემულ კომპაქტდისკს ხანგრძლივი დროის მანძილზე მე-11 ადგილი ეკავა კლასიკური მუსიკის "ჰიტ-პარადში". ივლისისთვის იგეგმება ფაიდმანთან ერთად მორიგი ფირფიტის ჩაწერა. ა.წ. დეკემბრიდან ორკესტრი ინგოლშტადტის თეატრთან ერთად მიუზიკლ "ფრანკენშტაინზე" მუშაობას იწყებს. თუმცა, გენერალური დირექტორი აღნიშნავს, რომ ჩამოთვლილი წარმატებები ორკესტრის რთულ ფინანსურ მდგომარეობას, სამწუხაროდ, ვერ შველის. ინგოლშტადტის მერის დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ჯერჯერობით ფერხდება სახელმწიფოს მიერ დახმარების გამოყოფა. "მაგრამ სპონსორების წყალობით (Audi AG, Media Market AG) და "მეგობართა წრის" შემოწირულობებით შევძლებთ 2004-2005 წლების "გადატანას"- აცხადებს ბატონი კიოლერი.

**ვიტალი სიხარულიძე:** "ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიიდან ევროპაში, ჩვენ გარდა, ორი ორკესტრი წამოვიდა: სპივაკოვის "მოსკოველი ვირტუოზები" და იური ბაშმეტის კოლექტივი. პირველი ესპანეთში მოღვაწეობდა, მეორე - საფრანგეთში. რამოდენიმე წლის შემდეგ ამ ორ ცნობილ ორკესტრს დაუქნიეს ხელი და სამშობლოში გააცილეს. დიდი ბედნიერებაა, რომ ქალაქი ინგოლშტადტი დღემდე მხარში გვიდგას. ორკესტრთან ერთად მათ ქართული კულტურა უყვართ. საქართველოში კი ყველაფერ ამას სხვანაირად უყურებდნენ: კულტურის სამინისტროს ჩვენი სახელის ხსენებაც კი არ სურდა, იმის გამო, რომ უცხო მიწაზე ვაკეთებთ ქართულ საქმეს. გერმანელებს ჩვენი სახელმწიფოს ოფიციოზის საქციელი უკვირდათ: მათ დახმარებისა და მეგობრობის ხელი გამოგვიწოდეს ჩვენც და სამინისტროსაც, მათ არც სახელის შეცვლა შემოუთავაზებიათ ორკესტრისთვის (უბრალოდ, ვინაიდან ინგოლშტადტში ვმოღვაწეობთ, დაერქვა "ქართული კამერული ორკესტრი ინგოლშტადტში") და არანაირად უფიქრიათ ვინმესთვის ხელის შეშლა. მაგრამ სამინისტროს მესვეურებმა 8 წლის განმავლობაში ზურგი შეგვაქციეს. ბედნიერებაა, რომ ეს დრო წარსულს ჩაბარდა. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, მოვლენები იმდენად სწრაფად ვითარდება, რომ პროგნოზის გაკეთება ძნელია. თუმცა, 2005-2006 წლების პროგრამა უკვე დაგეგმილი გვაქვს."

## ნოსტალგია

როგორც ზემოთ აღვნიშნე, უკვე 14 წელია, რაც ორკესტრი საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფება. ზოგიერთ მუსიკოსს ნოსტალგია ამ ხნის განმავლობაში უფრო გაუღვივდა, ზოგ მათგანს კი ინტეგრაციის ხანგრძლივი პროცესი გავლილი და გადატანილი აქვს.

**ვიტალი სიხარულიძე:** "შეგუებაზე ვერაფერს გეტყვი. ამ შემთხვევაში მე შეუგუებელი კაცი ვარ, მაგრამ ისე აეწყო ყველაფერი, რომ მაინც 14 წელია, აქ ვარ. ჩვენ რომ ჩვენი პროფესიით არ ვმუშაობდეთ, აქ ვერაფერი გამაჩერებდა. განვლილი 14 წელიწადი ჩვენს ქვეყანაში ხომ კატასტროფა იყო?! მუსიკისთვის ვის ეცალა ან საერთოდ, რისთვის ეცალათ?! ერთადერთი გამონაკლისი იყო თეატრი, რომელმაც გადარჩენა შეძლო. მას არასოდეს შეუწყვიტავს არსებობა. მართალია, მე მუსიკოსი ვარ, მაგრამ ვიტყვი, რომ თეატრი და მწერლობა უმთავრესია, თეატრის მოღვაწენი მართლაც გმირები არიან: უშუქობა, სიცივე, ძველი დეკორაციები, გაცვეთილი ტანსაცმელი... მათ ამ ყველაფერს გაუძლეს (ანაზღაურების გარეშე), ენთუზიაზმითა და პატრიოტიზმით გადაარჩინეს ქართული თეატრი და ქართული სიტყვა, რომელიც ასე ომახიანად ისმოდა სცენიდან. მათგან განსხვავებით, ჩვენი ორკესტრი ველარ იარსებებდა. მაგრამ, ამ ქალაქმა და ამ შესანიშნავმა ხალხმა ორკესტრი გადაგვირჩინეს და პროფესია შეგვინარჩუნეს. ჩვენი ორკესტრის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოგზაურობებისა და კონცერტების გარეშე ვერ ვიარსებებდით. ჩვენთან ერთად ამ ქალაქში 63 ადამიანი ჩამოვიდა. რამოდენიმე ჩვენი მუსიკოსის შვილი სხვადასხვა მუსიკალურ უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს და დიდ წარმატებებსაც აღწევს. თამაზ ბათიაშვილის ქალიშვილი, ლიზა, უკვე სახელგანთქმული მევიოლინეა. მეც და ჩემს ოჯახსაც მუსიკა გვარჩენს. ჩემს საყვარელ საქმეს ვემსახურები და ამავე დროს, დღეებსა და თვეებს ვითვლი საქართველოში კონცერტებამდე."

## იუბილე

23 აპრილიდან 1 მაისამდე ინგოლშტადტში ქართული კამერული ორკესტრის იუბილესადმი მიძღვნილი კვირეული ტარდება. კონცერტებში მონაწილეობას ღებულობენ ანსამბლი "რუსთავი" და ლიზა ბათიაშვილი. 1 მაისის დასკვნით, შემაჯამებელ საღამოზე, შესრულდება სულხან ნასიძის "ორმაგი კონცერტი ვიოლინოსა და ვიოლენჩელოსთვის", რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, სპეციალურად საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრისთვის შეიქმნა. სოლისტებად მოწვეულნი არიან დანიელ რიონი და ალეხანდრე სულეიმანი. დასასრულ შესრულდება ბეთჰოვენის 3. სიმფონია.

## სურვილები

**იურგენ კიოლერი:** "გულითადად ვულოცავ ქართულ კამერულ ორკესტრს 40 წლის იუბილეს. ყოველივე კარგს ვუსურვებ ქართველ მუსიკოსებსა და მათ ოჯახებს და ვიმედოვნებ, რომ მომავალშიც კარგად იგრძნობენ თავს ჩვენს ქალაქში და ინგოლშტადტის კულტურულ ცხოვრებას ამ მეტად არაჩვეულებრივი სახით გაამდიდრებენ".

**მარკუს პოშნერი:** "მე ვუსურვებ ორკესტრს და ჩემს თავს მრავალ დაუვიწყარ ერთობლივ კონცერტს, გამბედაობასა და ძალას ახალი გზების გასაკაფად".

## ავტორისაგან

მაშ ასე, იმედი მაქვს, ორკესტრის ისტორიითა და მისი ბედით დაინტერესებულ, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ მკითხველს ამომწურავი პასუხები გავეცი ბევრ ბუნებრივსა და ზოგიერთ, ალბათ, სკანდალურ კითხვაზე. ასეა თუ ისე, ფაქტობრივად, ორკესტრი საქართველოში აღარ მოღვაწეობს. ახალი თაობიდან, ალბათ, ძალზედ ცოტამ თუ იცის, რომ ამ ორკესტრს ყველა კონტინენტის ყველა დიდ ქალაქში გამართული აქვს 4 ათასამდე კონცერტი და დაპყრობილი აქვს მილიონობით ადამიანის გული. ახალმა თაობამ, რომელსაც ბოლო წლებში გემოვნება უცხო და საეჭვო წარმომავლობის ესტრადითა და "ახალი" ქართული მუსიკით "დაუხვეწეს", ალბათ, ისიც არ იცის, რომ ამ ორკესტრთან ერთად სცენაზე დიდი მაესტროები: მსტისლავ როსტროპოვიჩი, იეგუდი მენუჰინი, დავით ოისტრახი, დანიელ შაფრანი, ნატალია გუტმანი, ვლადიმირ სპივაკოვი, ვიქტორ ტრეტიაკოვი, კურტ მაზური, გენადი როჟდენსტვენსკი, ელისო ვირსალაძე და კლასიკური მუსიკის სხვა კორიფეები იდგნენ, რომელთა სრულად ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. იმის მიუხედავად, რომ ორკესტრის უცხო მიწაზე "გადახვეწას" არანაირი პოლიტიკური მოტივი არ უდევს საფუძვლად, როგორ გამართლებას ვუპოვით იმ ფაქტს, რომ ქართულმა კოლექტივმა გერმანიაში გადაირჩინა თავი? თუმცა, როდესაც ბოლოს შეჯამებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, უცხოეთში 1 მილიონზე მეტი თანამემამულეა გადახვეწილი, ერთ ორკესტრზე, რაოდენ სახელოვანიც არ უნდა იყოს იგი, პასუხს აღარავინ აგებს. და, მით უმეტეს, ეს ყველაფერი ხდება იქ, სადაც ბევრმა "ნიჭიერმა" მუსიკის მოყვარულმა, თავის გადასარჩენად პროფესია შეიცვალა და გადაცემა "ა, ტალანტი!"-დან შოუბიზნესს მიაშურა, ჩვენმა საამაყო ორკესტრმა კი - უცხოეთს. ვიცი, ვერც იმ კითხვაზე მივიღებ პასუხს, თუ რატომ დებენ ჩვენი სახელგანთქმული ბიზნესმენები უკანასკნელ თანხებს რესპუბლიკის მოედანზე მოწყობილ ღონისძიებებზე ამდენი, "შოუბიზნესის ლაბირინთებში" თავგზააბნეულის შაბათ-კვირის კარიერაში.

თუმცა, როგორც დიდი ილია იტყოდა, "ამას მხოლოდ სიტყვაზედ ვლაპარაკობ, თორემ საქმე კი საქმეშია".

მარო მაჩხაანელის სვეტი



# დაბრუნება

ჯერ გამარჯობა.

იმიტომ, რომ ადამიანმა რომ გამარჯობა არ იცის, იმისი არაფერი მჯერა.

ეხლა კი ერთ რამეში უნდა გამოგიტყდეთ.

აქ, გაზეთის სწორედ ამ ადგილას, ნინო I-ის ჭორები რომ იბეჭდებოდა...

ეეჰ, რაც არი, არი, ვიტყვი. იმიტომ, რომ ხალხის მოტყუება ერთხელ შეიძლება, რამდენჯერმე შეიძლება, მაგრამ ყოველთვის ვერ მოატყუებ (ჩვენს მთავრობას არ ვგულისხმობ, ეგენი ახერხებენ).

მოკლედ, არც ნინო მქვია, არც I ვარ და, ჭორები რომ სიმართლე არ არის, ეგ ხომ უჩემოდაც იცით.

პირველად რომ მოვედი რედაქციაში, ცუდი სახელი და გვარი გაქვსო, დაიმოკლე და გაილამაზეო. ეხლა ეგეთი რამე კაცისთვის რომ ეთქვათ, თავ-პირს დაამტვრევდა, მაგრამ ისე მინდოდა გაზეთში მუშაობა, თანაც, ქალისთვის მაგას რა მნიშვნელობა აქვს და დავთანხმდი. აი, იმ დღის მერე აღარც მარო მქვია და აღარც მაჩხაანელი ვარ.

მაგრამ, დებო, ეხლა დრო შეიცვალა და ეს ნამდვილი სახელი და გვარი ხომ დამიბრუნეს, ეხლა რომ იცოდეთ, რეები აქვთ ჩაფიქრებული. მალე კაცის ჭაჭანება აღარ იქნება რედაქციაში. ქალები უფრო ერთგულები ხართ, სულ ქალები უნდა მოვიყვანოთო.

სახელი რომ დავიბრუნე, ეგ ერთი, სხვა ბევრი რამეც შესაცვლელია. მაიძულებდნენ, თორემ კანზე, ბექჰემსა და რონალდოზე ჭორაობას აქაურებზე არ მერჩია? თან, გინდა თუ არა, სპორტსმენებით შემოიფარგლეო. ვითომ რათაო, ბექჰემსა და რონალდოს რომ მოუტყუებიათ, ორი იმდენი მარტო შალვას ჰყავს გადაგდებული. ცუდად არ გამიგოთ, პოლიტიკას ვგულისხმობ, ესე იგი, ხალხს, რომელიც გააბრიყვა – თუ აგიშენებთ, მე აგიშენებთ ქვეყანასო. სხვებმა? სხვებმა როგორი ფინტები იციან! რა რონალდო, რის რონალდო! გუშინ რომ ტრადიციონალისტი იყო და ეშმაკის ნაჩურჩულებ კანფერანსიებს აწყობდა, დღეს პირველი ნაციონალისტია.

მოკლედ, ეგრეა, გოგოებო, საქმე, ეს რედაქციაცა და სხვა რედაქციებიც კაცებისგან უნდა გავწმინდოთ. არა, სულ არა, რა თქმა უნდა, ერთი-ორი დავიტოვოთ, კაცის ხმაც რომ ჰქონდეს, სიმაღლეც და ცოტა ჭკუაც, თორემ მთლად უჭკუო კაცი ჩემს მტერს.

ეხლა უფრო კონკრეტულად. ამ სვეტს მარო მაჩხაანელის სვეტი ერქმევა და ლაპარაკი იქნება ყველაფერზე - ფეხბურთზეც, პრესკანფერანსიებზეც, ტრანსსექსუალებზეც, მოღალატე ქმრებზეც და ა.შ.

თუ ამ სპორტის გვერდზე დავრჩი, მაშინ ჩემი პირობაც მექნება. აი, ის რომ არის, სამშაბათობით რომ წერს, საღადაოსა თუ სალაყბოს, ირაკლი რომ არის, ბერიაშვილი, ჩვენებური კია, მაგრამ აქ არ დავინახო. რატო? იმიტომ რომ ეგეც აგვისტოში ყოფილა დაბადებული, ლომია, რალა, და ვერ მოვრიგდებით, წინასწარ ვიცი. ვერ მოვრიგდებით-მეთქი, თორემ განა არ მომწონს! აი, ის ბიჭიც კარგია, მაღალი რომ არის, ბრგე, კახა. სამწუხაროდ, ცოლიანია. მაგრამ არა უშავს, შეხედავ მაინც.

რადგან ჩემი ეს პირველი სვეტი სპორტის გვერდში მოხვდა, ცხადია, სპორტზეც უნდა ვთქვა ერთი-ორი სიტყვა. ბევრი არაფერია, მე კარგსა და სასიამოვნოს ვგულისხმობ, თორემ ჭუჭყსა და ნაგავს რა გამოლევს ჩვენს სპორტში.

აი, ავიღოთ თუნდაც თბილისის "დინამო". ფეხბურთის გუნდზე ვამბობ. კაი ხელში ჩავარდაო, კარგა ხანია მესმის.

ისე, ჩვენში, გოგოებში დარჩეს და, კაი ხელში ჩავარდნა მე, მაგალითად, ყმაწვილქალობაში უიმედო სიყვარულგამოვლილს, ისე მესმის, რომ კაი პატრონი უნდა მყავდეს. ეს რომ ფეხბურთზე გადავიტანო, კაი პირობებს, კაი ფეხბურთელების ყიდვას, ერთი სიტყვით, კაი გუნდის გაკეთებასა და, თასის მოგებას თუ არა, იქ თამაშს მაინც უნდა ნიშნავდეს.

სინამდვილეში კი რა ხდება? აი, დტ-54 ტრაქტორი ხომ გინახავთ, მიწას ბელტებიანად რომ ყლაპავს და ისე გადაუვლის მოსახნავ მინდორს, როგორც ბულა – სამაკედ გამზადებულ ძროხას. ჰოდა, აეგეთ ტრაქტორს მუხლუხი რომ გაუწყდება და ადგილზე დაიწყებს ბუღრაობას, სწორედ იმასა ჰგავს ჩვენი "დინამო". თითქოს შეუძლია, მაგრამ არ შეუძლია. არა, დებო და ძმებო, ეგეთი ულვაშები მქონდეს, ამდენი ფული მიჭყაოდეს და ერთ ტრაწიან გუნდს ვერ მოვუვლიდი?

ეხლა ერთ, როგორც ჩვენი კაცები იტყვიან, მტკივნეულ საკითხზე.

ეს სპორტსმენები, დიდიან-პატარიანად, ფულს ითხოვენ. ვარჯიშისთვის მინდაო, კვებისთვის მინდაო, გასამგზავრებლად მინდაო. გასაგებია, რომ უნდათ, მაგრამ მე, მაგალითად, მარტოხელა ქალი ვარ. ქმარი მე არა მყავს და შვილი. როგორც მოვედი ამქვეყნად გატლეკილი და ცარიელ-ტარიელი, ისევე უნდა წავიდე და არც არაფერი დავტოვო? ტუჩ-კბილი და ფიგურა მე არ მაკლია, მაგრამ ხომ შეიძლება, ვერ გავთხოვდე. რას მირჩევთ, ეგრე უშვილძიროდ გადავეგო? გააჩინე, გააჩინეო, მიჩიჩინებენ გოგოები. მეც ავდგები და გავაჩენ, მაგრამ იმ ბავშვს ჩაცმა უნდა, ჭამა უნდა, გაიზრდება და განათლებისთვის კიდე ცალკე ფული დასჭირდება. რა ჯობია ეხლა, ჭადრაკია თუ რაღაც ოხერი, იმის სათამაშოდ აზმაიფარაშვილს აძლიოს სახელმწიფომ ფული თუ უმამო ბავშვს. მერე, იცით, რამდენია ეგეთი? აღარაფერს ვამბობ უპატრონო მოხუცებზე, პენსიონერებზე, მთელი ცხოვრება ამ ქვეყნის სამსახურში რომ გაატარეს. სპორტი კარგია, მაგრამ აღარ დადგა დრო, ყველამ თავის მამიდას მიხედოს? თუ ხალხს აინტერესებს, თუ ხალხი მოდის შენს საყურებლად, საკუთარი თავის შესანახი ფულიც, ბუნებრივია, გექნება, მაგრამ თუ არავის უნდიხარ, თუ ტყუილად დარბიხარ აღმადაღმა, არც მაყურებელი გყავს და არც არავის აინტერესებ, ერთი გზა გაქვს – შენნაირები უნდა მოაგროვო, კლუბი ჩამოაყალიბო და, თუ აქედან რამე გამოდნება, ხომ კარგი, თუ არადა, ქუდი უნდა დაიხურო და სხვა გზას დაადგე. როდემდე იჯდები სხვის კისერზე?

აი, გაიხედ-გამოიხედეთ, რა ხდება ქვეყანაზე, სად არის ფული, სად არა და იმის მიხედვით ააწყვეთ საქმე. რაც შეეხება ჯანმრთელობას, ფიზიკურ კულტურას, განსაკუთრებით კი სკოლებში, მე ამ ჩვენი მთავრობისა რომ ვიყო, მთელ ფულს ამაში დავხარჯავდი. იმიტომ, რომ ავადმყოფი და ხერხემალმრუდე არც მუშა ვარგა, არც ინჟინერი, არც მასწავლებელი და არც ექიმი.

თავისუფალი ყოფაქცევის ქალებს რომ ეძახიან, ისინიც კი თვითონ უვლიან თავს. სპორტსმენები ვართო, კუნთებს ათამაშებთ, არა გრცხვენიათ?

ეტყობა, არა გრცხვენიათ.

ჯერჯერობით გვეყოფა სპორტზე, ხომ გაგიგონიათ, ბევრი "ჰამო" ხარს გააგიჟებსო.

ერთი სიტყვით, დავბრუნდი ჩემი ნამდვილი სახელითა და გვარით და, ომისა და მშვიდობისა კი არა, ჩემი გეშინოდეთ, ბიჭებო!

მარო ვარ, მაჩხაანელი!

ფეხბურთი

# პოსტრევოლუციური ფედერაციის სიახლეები

მიხეილ აბაიშვილი

15 მაისს გაიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საკმაოდ არაორდინარული აღმასკომის სხდომა. განსახილველად და გადასაწყვეტად გამოიტანეს სამი საკითხი, რომელთაგან თითოეული საფეხბურთო საზოგადოებრიობისა და მედიის ცხოველ ინტერესს იწვევდა.

1. საქართველოს 21, 19 და 17 წლამდე ასაკის ნაკრები გუნდებისთვის მთავარი მწვრთნელის დანიშვნა. ამ საკითხის გადაწყვეტით დასრულდა ის სამწვრთნელო თრილერი, რომელმაც ჯერ კიდევ 2003 წლის ოქტომბერში, წინა შესარჩევი ცილკის დასრულების შემდეგ აიღო სტარტი. მთავარი პრობლემა – ეროვნული გუნდისთვის კვალიფიციური მთავარი მწვრთნელის მოძიება და დანიშვნა – არც ისე ოპერატიულად მოგვარდა. ფრანგ სპეციალისტზე, ალენ ჟირესზე გასვლას და მასთან მოლაპარაკებების წარმატებით დასრულებას ლამის 6 თვე დასჭირდა. ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ქვეყნის ყველა ნაკრები გუნდის მთავარი კურატორია, ამიტომაც ფედერაციამ ჟირესის კანდიდატურის დამტკიცებამდე არ იჩქარა, ასაკობრივი ნაკრები გუნდებისთვის დამრიგებლები დაენიშნა. ასეთი გადაწყვეტილება გამართლებული აღმოჩნდა, რადგან, მაგალითად, ფედერაციის ხელმძღვანელობის სურვილი, ახალგაზრდული ნაკრებისთვის მწვრთნელად ქართულ საფეხბურთო სამყაროში კარგად ნაცნობი ჰოლანდიელი სპეციალისტი, იოჰან ბოსკამპი ჩამოეყვანა, ჟირესმა არ მოიწონა. ფრანგს ბოსკამპის საწინააღმდეგო არგუმენტები არ გაუხმაურებია, თუმცა, სფფ-ს შეფებს გასაგებად მიანიშნა, რომ იგი ასაკობრივი ნაკრები გუნდების მწვრთნელებად ადგილობრივი სპეციალისტების ხილვას ისურვებდა. სფფ-ს აღმასკომის წევრთა დიდი ნაწილი, პრინციპში, იზიარებდა ჟირესის ამ პოზიციას და 15 მაისს გამართულ სხდომაზე ეს საკითხი საკმაოდ ოპერატიულად გადაწყდა.

ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელად, მოლოდინისამებრ, გოჩა ტყებუჩავა დაინიშნა, 17 წლამდე ნაკრებს თამაზ კოსტავა უხელმძღვანელებს. აზრთა სხვადასხვაობა მხოლოდ 19 წლამდე ასაკის ნაკრები გუნდისთვის მწვრთნელის შერჩევა-დანიშვნამ გამოიწვია. ამ პოსტზე ორი კანდიდატურა იყო წარმოდგენილი – კახაბერ ცხადაძე და ვახტანგ კოპალეიშვილი. კოპალეიშვილს ამ პოსტზე წარმატებული მუშაობის გამოცდილება აქვს. მისი ხელმძღვანელობით, საქართველოს 19-წლამდე ასაკის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდა. როგორც ჩანს, ამ გარემოების წყალობითაც, აღმასკომის წევრთა უმეტესობის სიმპათია კოპალეიშვილმა დაიმსახურა და კენჭისყრაში მან ხმების უმრავლესობა მიიღო. მომდევნო ორი წლის განმავლობაში 19 წლამდელებს ვახტანგ კოპალეიშვილი უხელმძღვანელებს.



სხდომის შემდგომ პრესკონფერენციაზე

